დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ-დასავალი

WWW.ASAVALI.COM

2025 წლის 19 - 25 მაისი

N 21 1592

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

## ახლა მაინც ჩამოართვით!







## 2-3 17 მაისს ქართული ოჯახის სიწმინდემ ლიბერალური სიბილწე კიდევ ერთხელ სასტიკად დაამარცხა!



### გოგა ხაინდრავა:

**აშშ-ის მომავალი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას,**




რადგან ერთი-ერთში დაემსგავსა ჩერნენკოს დროინდელ საბჭოთა კავშირს!

### რამაზ საყვარელიძე:




**კობახიძის ღია წერილი მოზომილი და საჭირო იყო!**

### მაყვალა ბერიანიძე:

**რატომ დადიოდა სანდრა რულოვსი ციხის პროზექტურაში?**




**რა ცდები ტარდებოდა ქალთა კოლონიაში?**

## სალომე ზაბოს არ აჩვენოთ! 22

### გიორგი ხოჭაავა:




მე მაყურებინეს, როგორ მიაყენეს დედაჩემს ფიზიკური შეურაცხყოფა მეგის ქარდავამ და კოხტა კოდუამ!

### ნანა ქადაგიშვილი:

**რეჟიმის უფროსმა მითხრა – ნუ შიმშილობ, თორემ თირკმელი გაგეთიშება და 17 თეთრად ჩამოგწერენო!**




### ზურაბ ხუციშვილი:

ეს არის გარყვნილების პროპაგანდაც, ღვთისგმობაც და სამების უარყოფაც, რის გამოც




**დათა თავაძის ე.წ. სპექტაკლი რეპერტუარიდან უნდა მოიხსნას!**

## ვაგონდება თუ არა? 15

## კონჩიტას სიყვარულმა ვერ გაჭრა!




მიუხედავად იმისა, რომ კაბაში გამოწყობილი კაცი თავის ფავორიტად გამოაცხადა, მარიამ შენგელია „ევროვიზია-2025“-დან გამოისროლეს!



სამწუხაროა, რომ მარიამ შენგელიას ერთმანეთში აერია გზა ქრისტესი და გზა კონჩიტასი!

### ეკა ხასაია:



**ვგრძნობ, რომ ბუდლა აღარასოდეს მიმატოვებს!**

**23 ბედი კატისა**

# 2025 წლის 17 მაისს

# ქართული ოჯახის სიწმინდეებმ ლიბერალური სიბილწე კიდევ ერთხელ სასტიკად დაამარცხა!

**და გამზირები ქართული ოჯახების სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს ვერ იტევდა, რაც ნამდვილად ამაღელვებელი სანახაობა გახლდათ და უსათუოდ აღძრავდა სიამაყის განცდას საქართველოს ყოველ მოქალაქეში, ტვინგამორეცხილი ნაცლიბერალებისა და უსამშობლო აგენტების გამოკლებით.**

პატრიარქის მიერ დაარსებული ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღე, რომელსაც ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს და ზეიმობს, ტვინგამორეცხილი ნაცლიბერალებისა და უსამშობლო აგენტებისათვის გლოვის, ტრაურისა და ბოღმის ნთხევის დღეა, რადგან 17 მაისი საქართველოში „ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღედ“, ანუ ლგბტ მარშებისა და პრაიდების დღესასწაულად ვერ დაამკვიდრეს.

თუ როგორი უნიჭო, უსუსური და მდაბიო მეთოდებით ცდილობენ უსამშობლო ნაცლიბერალები ოჯახის სიწმინდის დღისა და, ზოგადად, ქართული ოჯახის დისკრედიტაციას, ამის მაგალითი გახლავთ **ნაცების დროინდელი „რუსთავი-2“-ის ყოფილი ჟურნალისტის თენგიზ გოგოტიშვილის ფეისბუქ-პოსტი,** რომელიც მას შემდეგ გამოაქვეყნა, რაც 2025 წლის 17 მაისს საქართველოში ოჯახის სიწმინდის დღის აღსანიშნავად ქუჩაში გამოსული მი-



***2025 წლის 17 მაისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის მიერ დაარსებულ ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღეს, ქართველმა ერმა მთელ მსოფლიოს კიდევ ერთხელ აჩვენა და დაუმტკიცა, რომ ბილწი ლიბერალური იდეოლოგია და ლგბტ პროპაგანდა საქართველოში ვერასოდეს გაიმარჯვებს!***

საქმე ის არის, რომ შარშანდელი 17 მაისის მსგავსად წელსაც მთელი ქვეყნის მასშტაბით მილიონამდე ადამიანი გამოვიდა ქუჩაში, რათა ოჯახის სიწმინდის დღე საზეიმო მსვლელობითა და მართლმადიდებლურ ტაძრებში წირვა-ლოცვით აღენიშნა.

**2025 წლის 17 მაისს თბილისის, რუსთავის, მცხეთის, გორის, ქუთაისის, ბათუმის, ზუგდიდისა და საქართველოს სხვა დიდი ქალაქებისა თუ რაიონული ცენტრების ქუჩები**



**მართლმადიდებელმა ეკლესიამ, პატრიარქმა და ქართველმა ხალხმა საერთაშორისო ლგბტ მაფიას ხელიდან გამოსტაცეს მძლავრი იდეოლოგიური იარაღი, რომლითაც ქართული ოჯახის ინსტიტუტის მოსპობას ლამობდნენ!**

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



როცა **ევროკავშირის ელჩი** არჩევნების წინ ხალხს მოუწოდებს, რომ **სისხლიანი პოლიტიკოსები, აგენტურა უნდა დააბრუნონ ხელისუფლებაში,** ეს არის ძალიან ტრაგიკული მოვლენა და ვენის კონვენციის ძალიან უხეში დარღვევა. დარწმუნებული ვარ, **ბატონ ჰერჩინსკის უნდა ელჩობა საქართველოში, თუმცა, სამწუხაროდ, დიფ სთეითი არ აძლევს ამის საშუალებას,** აკეთებინებენ ისეთ განცხადებებს, რომლებიც ძალიან მძიმედ აისახება მის იმიჯზე ქართველი საზოგადოების თვალში. ქალბატონი **რასა იუკნევიჩიენე,** როგორც ჩანს, **ვერ გამოვიდა საბჭოთა გამოცდილებიდან,** ის არის **დიქტატორ სააკაშვილის** მეგობარი.

„იმედინიუსი“

**შიო მუჯირი**
*საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე*



ჩვენს თანამედროვე ეპოქაში, როდესაც **მიმდინარეობს მიზანმიმართული ბრძოლა ტრადიციული ოჯახის წინააღმდეგ,** მეტად გვმართებს, რომ **მოვუფრთხილდეთ ოჯახს, ოჯახის სიწმინდეს, ოჯახის ღირებულებებს** და ვილოცოთ და ვიზრუნოთ იმისთვის, რომ ჩვენს ქვეყანაში **ოჯახი გადარჩეს და გაძლიერდეს.**

„იმედინიუსი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



არჩევნებში **ოპოზიციის არმონაწილეობა კარგია დემოკრატიისთვის,** საბოლოოდ ჩაიხსნებიან პოლიტიკიდან, **მონაწილეობას თუ მიიღებენ, ესეც კარგია,** რადგან საზოგადოება განაჩენს გამოუტანს.

„იმედინიუსი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



**ქართველისთვის ოჯახი იყო, არის და იქნება უმნიშვნელოვანესი.** ეს არის ჩვენი ერის იდენტობის ნაწილი და **ამას გაფრთხილება სჭირდება.**

„იმედინიუსი“

# 2025 წლის 17 მაისს

## კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ქართული ოჯახი, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული თვითმყოფადობის დედაბოძი, კვლავაც შეურყეველია!

ლიონამდე ადამიანის დანახვამ გული შეუღონა და ნერვები დააგლიჯა:

***„უცხოეთში ვარ. აქ მსვლელობა არაა დღევანდელი დღესასწაულის. ჰოდა, ავდექი და უბრალოდ ვაგინე ჩემს ცოლს მკვდარ-ცოცხალი. ეგ ხო მეთვლება?“***

ესე იგი, საქართველოში ოჯახის სიწმინდის დღეს ცოლების მაგინებელი ქმრები და ქმრების ნაგინები ცოლები ზეიმობენო! — **ამის თქმა სურს ნაცდოქსოპულო ბოგოტიშვილს და ასე უნდა, რომ დასცინოს არამხოლოდ ქართულ ოჯახებს, არამედ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა დ პატრიარქსაც, რომლებმაც 17 მაისი ოჯახის სიწმინდის დღედ დაადგინეს.**

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ოჯახის სიწმინდის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით თუნდაც უსამშობლო ნაცლიბერალების კონვულსია და ისტერიკა ადასტურებს, რომ ამ დღის დაწესება აბსოლუტურად სწორი და აუცილებელი იყო!

**რაც დრო გადის, კიდევ უფრო მკაფიო და თვალსაჩინო ხდება, როგორი ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელმა, როცა 17 მაისი — „ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე“, რომელსაც ლიბერალური სიბილწისა და სოდომური იდეოლოგიის ჭაობში მოფართხალე დასავლური სამყარო ლგბტ აღლუმებითა და გეიფესტივალებით აღნიშნავს, საქართველოში ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღეს გამოაცხადა!**

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ და პატრიარქმა 17 მაისს ოჯახის სიწმინდის დღის დაწესებით, ხოლო ქართველმა ხალხმა ამ დღის მძლავრი აღნიშვნით, ლიბერალ-გლობალისტებსა და საერთაშორისო **ლგბტ მაფიას ხელიდან გამოსტაცეს მძლავრი იდეოლოგიური იარაღი, რომლითაც ისინი ქართული ოჯახის ინსტიტუტის მოსპობას ლამობდნენ!**





**ქართული ოჯახის ინსტიტუტის დასანგრევად და ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის თავზე ლგბტ დროშის ასაფრიალებლად დახარჯული ათეულობით მილიარდი დოლარი, რომელიც უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში ამერიკული და ევროპული ფონდებიდან მოედინებოდა, წყალში გადაყრილი აღმოჩნდა!**

მოკლედ, 2025 წლის 17 მაისს მთელი საქართველოს მასშტაბით ქუჩაში გამოსულმა და ეკლესია-მონასტრებში შეკრებილმა მილიონობით ქართველმა ოჯახის სიწმინდის დღის აღნიშვნით კიდევ ერთხელ და, ალბათ, საბოლოოდ დაადასტურა, რომ **ქართული ოჯახის ინსტიტუტის დასანგრევად და ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის თავზე ლგბტ დროშის ასაფრიალებლად დახარჯული ათეულობით მილიარდი დოლარი, რომელიც უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში ამერიკული და ევროპული ფონდებიდან მოედინებოდა, წყალში გადაყრილი აღმოჩნდა!**

2025 წლის 17 მაისს ქართული ოჯახის სიწმინდემ ლიბერალური სიბილწე კიდევ ერთხელ სასტიკად დაამარცხა!

**2025 წლის 17 მაისს კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ქართული ოჯახი, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული თვითმყოფადობის დედაბოძი, კვლავაც შეურყეველია!**

და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ მოერევიან მას!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**მამუკა მდინარაძე**
*საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი*



გვაინტერესებს, რატომ ხდება, რომ **ჩვენი და აშშ-ის ადმინისტრაციის პათოსი ერთიერთში ემთხვევა ერთმანეთს** და ამის მიუხედავად, აშშ-ის ახლად არჩეული პრეზიდენტისა და ადმინისტრაციისგან **ერთი სიტყვაც არ თქმულა საქართველოზე.**

„იმედინიუსი“

**ირაკლი კირცხალია**
*პარლამენტარი*



თუ ვინმე განულებულია და პულსი არ ესინჯება, ეს არის **კოლექტიური ნაცმოძრაობა.** ასე რომ, თუ გადაწყვეტენ მონაწილეობას თვითმმართველობის არჩევნებში, **64-ვე მუნიციპალიტეტში გამანადგურებელი ანგარიშით, მეათედ დამარცხდებიან.**

„იმედინიუსი“

**კრისტიან ტერეში**
*ევროპარლამენტარი*



ჩვენ უნდა ვიცოდეთ, სად და რისთვის მიდის ჩვენი ფული. **თუ არასამთავრობო იღებს ფულს, უნდა ვიცოდეთ, რისთვის იხარჯება** და ხომ არ ხდება ირიბად რამე სხვა მიზნით პოლიტიკური კამპანიის დაფინანსება.

„იმედინიუსი

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ აღმასრულებელი მდივანი*



„MEGOBARI აქტზე“ ხელის მოწერის საკითხი **დონალდ ტრამპის** გადასაწყვეტია. **აქტში რაც წერია, იმის საწინააღმდეგო პოლიტიკის მომხრეა დღეს ამერიკის პრეზიდენტი** და თუ ამ დოკუმენტზე ხელს მოაწერს, რა თქმა უნდა, **ეს იქნება ცუდი ჩვენთვისაც და მისთვისაც.**

„იმედინიუსი“

*საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ გასულ კვირას გამოაქვეყნა ღია წერილი, რომლის ადრესატებიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპი და ვიცე-პრეზიდენტი ჯეი დი ვენსი არიან. წერილში წუხილი და გაკვირვებაა გამოთქმული იმის გამო, რომ აშშ-ის ახალი ადმინისტრაცია საქართველოსთან მიმართებაში დღემდე დუმს და არაფერს აკეთებს იმისათვის, რომ შეცვალოს ბაიდენის ხელისუფლების, რბილად რომ ვთქვათ, დესტრუქციული, ხოლო შეულამაზებლად თუ ვიტყვით, მტრული პოლიტიკა ქართული სახელმწიფოსა და მისი სუვერენიტეტის წინააღმდეგ. კინორეჟისორ გოგა ხაინდრავასთან საუბარი სწორედ ამ თემით დავიწყეთ:*






უილსონი-ჩერნენკო

# აშშ-ის მომავალი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რადგან ერთი-ერთში დაემსგავსა ჩერნენკოს დროინდელ საბჭოთა კავშირს!

— თუ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებას ელემენტარული სახელმწიფოებრივი თავმოყვარეობა გააჩნია, კეთილი უნდა ინებოს და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ღია წერილს პასუხი გასცეს. საერთოდ, ამერიკის შეერთებული შტატების მომავალი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რადგან ერთი-ერთში დაემსგავსა ჩერნენკოს დროინდელ საბჭოთა კავშირს! ამერიკული პოლიტიკის სრული დეგრადაციის განსახიერებაა **ე.წ. მეგობარი აქტის ავტორი, კონგრესმენი ჯო უილსონი,** რომელიც „ჰელსინკის კომისიასაც“ ხელმძღვანელობს! როცა ამ **ქეზერაშვილის** ფულზე გაყიდულ არსებას ვაშინგტონში პოლიტიკური წონა გააჩნია, ეს მეტყველებს, რომ მთელი ევროატლანტიკური ცივილიზაცია, თავის ამერიკიან-ევროკავშირიანად სრულიად გადაგვარდა და დასაღუპად არის განწირული!

**— საქართველოს პარლამენტმა „მეგობარ აქტთან“ დაკავშირებით ოფიციალური განცხადება გააკეთა და მას საქართველოს მიმართ „უაღრესად მტრული აქტი“ უწოდა!**

— კონგრესის მიერ **„მეგობარი აქტის“** მიღება იმის ნიშანია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა მარტო დიპლომატიური ეტიკეტი კი არა, გონება და აზროვნების უნარიც დაკარგა. ერთხელ უკვე ვნახეთ, როგორ დაუჭირა მხარი ევროპარლამენტის 450 დეპუტატმა საქართველოსთან დაკავშირებულ სამარცხვინო რეზოლუციას ისე, რომ მისი ტექსტი წაკითხულიც არ ჰქონდა, ახლა კი იგივე ამერიკის კონგრესის 340-მა დეპუტატმა გაიმეორა და საქართველოსადმი მტრულ აქტს წაუკითხავად მისცა ხმა.

**— რატომ ფიქრობთ, რომ დემოკრატ და რესპუბლიკელ კონგრესმენებს, რომლებმაც ე.წ. მეგობარ აქტს ხმა მისცეს, მისი ტექსტი წაკითხული არ ჰქონდათ?**

— კონგრესის მიერ 2025 წლის 6 მაისს მიღებულ **„მეგობარ აქტში“** ბევრ სხვა პოლიტიკურ აბსურდთან და ფაქტობრივ სისულელესთან ერთად ისიც კი წერია, რომ საქართველოსთან დაკავშირებით სტრატეგიის შემუშავება და ანგარიშის მომზადება „იუსაიდს“ ევალება... არადა, „იუსაიდი“ 2025 წლის თებერვლის დასაწყისიდან აღარ არსებობს, რადგან ტრამპის ადმინისტრაციამ კორუმპირებულ, თაღლითურ ორგანიზაციად გამოაცხადა და დახურა.

**— როგორ ფიქრობთ, პრეზიდენტი ტრამპი საქართველოს მიმართ მტრულ აქტს ხელს მოაწერს?**

— იმის ფონზე, რაც რამდენიმე დღის წინათ არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ტრამპის ვიზიტისას ვნახეთ, არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება!

**— რას გულისხმობთ?**

— ერ-რიადში **ტრამპი** შეხვდა სირიის დროებით პრეზიდენტს **აჰმედ ალ-შარაას,** იგივე **აბუ მუჰამედ ალ-ჯოლანს,** რომელმაც ერთი თვის წინათ სირიაში ალავიტებისა და ქრისტიანების სასტიკი ხოცვა-ჟლეტა მოაწყო. ეს არის პირსისხლიანი ტერორისტი, რომლის მკვლელობისთვისაც ამერიკას 2017 წელს ჯილდო — 10 მილიონი დოლარი ჰქონდა დაწესებული, დღეს ამერიკის პრეზიდენტი მას ხელს ართმევს და „ძლიერი წარსულის მქონე მომხიბვლელ ბიჭს“ უწოდებს.

**— ტრამპმა სირიას ბაიდენის ადმინისტრაციის მიერ დაწესებული სანქციებიც მოუხსნა, თუმცა, საქართველოსთან დაკავშირებით იმავეს არ აკეთებს!**

— ტრამპის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის დროს და პრეზიდენტობის პირველი 100 დღის განმავლობაში გაკეთებული განცხადებები ზუსტად ემთხვეოდა ჩვენი ხელისუფლების რიტორიკასა და ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილის განწყობას, მაგრამ ფაქტია, რომ აშშ-ის პრეზიდენტი ჯერჯერობით ერთს ლაპარაკობს და მეორეს აკეთებს.

წლების განმავლობაში ითვლებოდა, რომ ამერიკა და საქართველო სტრატეგიული პარტნიორები იყვნენ, მაგრამ ეს არაფერში არ გამოიხატებოდა, **ბარდა იმისა, რომ ქართული საჯარისო ფორმირებები ნატო-ს საერთაშორისო მისიებში მონაწილეობდნენ და ავღანეთში 32 ქართველი**







**„ეს არის პირსისხლიანი ტერორისტი, რომლის მკვლელობისთვისაც ამერიკას 2017 წელს ჯილდო — 10 მილიონი დოლარი ჰქონდა დაწესებული, დღეს ამერიკის პრეზიდენტი მას ხელს ართმევს და „ძლიერი წარსულის მქონე მომხიბვლელ ბიჭს“ უწოდებს!“**

## კვირგვინოსნები

**დონალდ ტრამპი**
*აშშ-ის პრეზიდენტი*



ვფიქრობ, **ზელენსკი ისტორიაში საუკეთესო ვაჭარია.** ჩვენ უკრაინაში **350 მილიარდი დოლარი დავხარჯეთ** — უბრალოდ, ვაჩუქეთ. **არავინ იცის, სად წავიდა ეს ფული.**

**არასდროს მოვერიდები ძალის გამოყენებას,** თუ ეს აუცილებელია **აშშ-ის ან პარტნიორების დასაცავად.**

„იმედინიუსი“

**კაროლინ ლევიტი**
*თეთრი სახლის სპიკერი*



**აშშ-მა თავი დაანება საგარეო ჩარევას, სხვებისთვის სახელმწიფოს მოწყობის სწავლებას და ლექციების კითხვას,** როგორ მოაწყონ საკუთარი ცხოვრება.

„იმედინიუსი“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



ჩვენთვის ნაკლებად საინტერესოა **ეს დაქირავებული კაცი — ჯო უილსონი** რას დაწერს და რა განცხადებას გააკეთებს. **ვინმე საერთაშორისო აქტორი გინახავთ, რომ უილსონს ხვდებოდეს?** მაქსიმუმ, შეხვდეს **ბოკუჩავებს და ვაშაძეს.**

„იმედინიუსი“

**რუმენ რადევი**
*ბულგარეთის პრეზიდენტი*



ევროპას არა აქვს **უკრაინაში ომის დასრულების ხედვა,** ეს საქმე განწირულია.

„რეზონანსი“

**ვახტანგ ჩოჩია**
*საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის კაბინეტის უფროსი*



**უცხოელები** აქტიურად მონაწილეობენ აქციებში და **გამოირჩევიან განსაკუთრებული აგრესიით.**

„რეზონანსი“

ჯარისკაცი დაიღუპა, ათობით კი დაიჭრა და დასახიჩრდა. სამაგიეროდ, აშშ-ისგან არც პირდაპირი ფრენები მიგვიღია, არც — უვიზო რეჟიმი და არც — თავისუფალი ვაჭრობა... ერთი სიტყვით,

## ამერიკისა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა ლაი-ლაი იყო და მეტი არაფერი!

**— კოლექტიურ სანაცეთში სიხარულისაგან ცქმუტავენ — ბიძინა ივანიშვილმა ტრამპის ადმინისტრაციასთან ურთიერთობა ვერ დაალაგაო! რამდენად აქვთ ნაცებსა და ლიბერალებს ზეიმის საფუძველი?**

— ოლე-ოლა ნაცევროპელების კინო დამთავრებულია! მათ უცხოეთიდან დაფინანსების ბევრი წყარო უკვე გადაეკეტათ და ცოტა ხანში უარესი ელოდებათ — საქართველოში დესტაბილიზაციის მოსაწყობად ფულს საერთოდ ვეღარ მიიღებენ!

ტრამპის ადმინისტრაციის სიტყვა და საქმე ერთმანეთს რომ არ ემთხვევა, ამის ერთ-ერთი დასტური საქართველოში **ამერიკის საელჩო** გახლავთ, რომელიც კვლავ რჩება დესტაბილიზაციის მთავარ ბუდედ. ევროკავშირისა და გერმანიის დიფსთეითელი ელჩები — **ჰერჩინსკი** და **ფიშერიც,** რომლებიც დესტაბილიზაციის გაუთავებელი მცდელობით არიან დაკავებული, სწორედ ამერიკის საელჩოს დირექტივებს ემორჩილებიან.

**— ევროკავშირთან უკიდურესად დაძაბული და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ბუნდოვანი ურთიერთობების ფონზე, საქართველოს საერთაშორისო იზოლაცია ხომ არ ემუქრება?**

— ევროკავშირისა და ამერიკის გახრწნილ ბიუროკრატებს სრულიად ევროპასთან და ამერიკასთან ნუ გავაიგივებთ. თანაც, ვინ თქვა, რომ აშშ და ევროკავშირი არიან მთელი მსოფლიო? მსოფლიო ბევრად უფრო დიდია! გასულ კვირას ევროკავშირის სასამართლომ ევროკომისიის პრეზიდენტი **ურსულა ფონ დერ ლაიენი** კოვიდის საწინააღმდეგო ვაქცინების შესყიდვის შესახებ ინფორმაციის დამალვაში დამნაშავედ ცნო, რაც, ფაქტობრივად, მისი მექრთამეობის დადასტურებას ნიშნავს. **ფონ დერ ლაიენმა,** ვაქცინების შესყიდვის მიზნით, კომპანია „ფაიზერთან" 40-მილიარდიანი ხელშეკრულება გააფორმა, რის შემდეგაც მისი ქმარი, რომელიც გერმანიაში აფთიაქარი იყო, „ფაიზერის" დირექტორატში აღმოჩნდა. გარდა ამისა, **კვირა ისე არ გავა, რომელიმე ევროპარლამენტარის მექრთამეობასთან დაკავშირებით სკანდალი არ ატყდეს. ამ ფონზე, კოლექტიური ფონ დერ ლაიენები იზოლაციით კი არ უნდა გვაშინებდნენ, არამედ ჩვენ თვითონ დავფიქრდეთ — საერთოდ გვჭირდება კი კორუფციის ჭაობში ჩაფლულ ევრო(ს)კავშირთან ურთიერთობა?!**

ცხადია, თუნდაც დეგრადირებულ და დანგრევის პირას მყოფ ევროატლანტიკურ სივრცესთან დაპირისპირება საქართველოსათვის სასიამოვნო არ არის, მაგრამ ნამდვილად არ უნდა ჩავყვეთ იმ გარყვნილებასა და უბედურებაში, რაც დღეს ე.წ. დასავლურ ბიუროკრატიაშია გამეფებული. ჯალათების იმპერიას — საბჭოთა კავშირს არ შევეპუეთ და კოკაინით გაბრუებული მმართველების ხელში ჩავარდნილ ევროკავშირს შევუშინდებით?!

**— „კოკაინით გაბრუებულში" ვის გულისხმობთ?**

— მთელმა მსოფლიომ ნახა კადრები, რომ 9 მაისს კიევში მატარებლით მიმავალ საფრანგეთის პრეზიდენტ **მაკრონს,** გერმანიის კანცლერ **მერცსა** და დიდი ბრიტანეთის პრემიერ **სტარმერს,** რომლებიც კუპეში მაგიდასთან სხედან, წინ თეთრ ხელსახოცზე დაყრილი **კოკაინი** და მის შესაყნოსად საჭირო სპეციალური კოვზი უდევთ. როგორც კი კამერები გამოჩნდებიან, მაკრონი მყისიერად მალავს კოკაინს, ხოლო მერცი — კოვზს.



„ევროკავშირისა და გერმანიის დიფსთეითელი ელჩები — ჰერჩინსკი და ფიშერიც, სწორედ ამერიკის საელჩოს დირექტივებს ემორჩილებიან!"

დანიგანი-ჰერჩინსკი-ფიშერი

# „საქართველოში ამერიკის საელჩო დესტაბილიზაციის მთავარ ბუდედ რჩება!"




## „დავფიქრდეთ - საერთოდ გვჭირდება კორუფციის ჭაობში ჩაფლულ ევრო(ს)კავშირთან ურთიერთობა?!"

**მას შემდეგ, რაც ეს ვიდეო ინტერნეტში გავრცელდა და დიდი სკანდალი ატყდა, საფრანგეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ განცხადება გაავრცელა — მაკრონმა ჯიბეში კოკაინი კი არა, დაჭმუჭნილი ხელსახოცი ჩაიდოო, მაგრამ მაგას ვინ „ჭამს"?!**

ეტყობა, ევროპელი ლიდერები მაშინაც კოკაინის ზემოქმედების ქვეშ იყვნენ, როცა ეგონათ, რომ რუსეთს ომს მოუგებდნენ, მაგრამ კარგად ვხედავთ, როგორც იგებენ და რა უბედურ დღეში ჩააგდეს უკრაინა, რომელსაც ოქროს კოშკებს ჰპირდებოდნენ!

**— ეს გასაგებია, მაგრამ, თუ საქართველო დასავლური სამყაროსაგან გაირიყება, რუსეთთან პირისპირ მარტო დარჩენილს საფრთხე არ დაემუქრება? მითუმეტეს, ვნახეთ, როგორი პატივით მიიღო პუტინმა 9 მაისის აღლუმზე რუსეთში ჩასული აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტები!**

— პუტინმა 9 მაისს აფხაზეთისა და ოსეთის სეპარატისტული რეჟიმების ლიდერები რომ მიიღო, ამაში არც ახალია რამე და არც — გასაკვირი, რადგან საქართველოსადმი რუსეთის იმპერიალისტური დამოკიდებულება საუკუნეებია, არ იცვლება, მაგრამ **სწორედ იმ ფონზე, როცა რუსეთის პრეზიდენტი ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო მმართველებს ლამის გულში იხუტებს, კიდევ უფრო უსინდისოდ და ამაზრზენად მოჩანს აშშ-ის საელჩოს მიერ მოგონილი ნარატივი, თითქოს საქართველოს ხელისუფლება პრორუსულ რელსებზე გადავიდა და კრემლთან გააბა ურთიერთობა.**

რაც შეეხება რუსეთთან პირისპირ დარჩენის საფრთხეს, საქართველო მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში ხან ერთი ურჩხულის პირისპირ რჩებოდა, ხან — მეორის და ხან — მესამის, მაგრამ ზოგი მათგანი დღეს აღარ არსებობს, ჩვენ კი — ეს ერთი ციცქნა ქვეყანა და ერთი მუჭა ხალხი — ისევ იქ ვართ, სადაც 3000 წლის წინათ ვიყავით! რასაც დღეს ვუძლებთ, ბევრად უარესებისათვის გაგვიძლია და რუკიდან ვერ წაგვშალეს! გავძელით, გადავრჩით და კიდევ გადავრჩებით, ამ გარყვნილი და წარწყმედილი ევროატლანტიკური სივრცისგან განსხვავებით, რომელსაც მომავალი არ უწერია!

**17 მაისს, ოჯახის სიწმინდის დღეს, მთელი საქართველოს მასშტაბით ქუჩაში გამოსულმა მილიონამდე ადამიანმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მამულის, ენისა და სარწმუნოების ერთგულ ერს ვერავინ და ვერაფერი მოერევა!**

*ესაუბრა*
***გიორგი ძაძამია***

## კვირგვინოსნები

**პაველ ჰერჩინსკი**
*საქართველოში ევროკავშირის ელჩი*



ევროკავშირის დონეზე **სანქციების დაწესებისთვის, ჩვენ გვჭირდება 27 წევრი სახელმწიფოს თანხმობა** და ამ ეტაპზე, სამწუხაროდ, **ჩვენ არ გვაქვს ერთსულოვნება.** არიან წევრი სახელმწიფოები, რომლებიც ამას ეწინააღმდეგებიან. **სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ჩვენი წევრი სახელმწიფოების უმეტესობამ ორმხრივი სანქციების შემოღება** და სულ უფრო მეტი ქვეყანაა, რომლებიც მიზნად ისახავენ **ფიზიკურ პირებს, თანამდებობის პირების დასანქცირებას,** რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ძალადობაზე თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების ქუჩებში. ამავდროულად, ევროკავშირის დონეზე **ჩვენ კვლავ ვცდილობთ სანქციების შემოღებას** და იმედია, მივაღწევთ იმ მომენტს, როდესაც **27 წევრი სახელმწიფო ერთსულოვნება იქნება.** „ACCENT NEWS"

**დავით ჩიხლაძე**
*ექსპერტი*



**პაველ ჰერჩინსკი არის დიპლომატიას ამოფარებული მავნებელი,** რომელიც საქართველოში **რადიკალური ოპოზიციის ინტერესებს ატარებს!**

„რეპორტიორი"

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს" წევრი*



დიპლომატის მანტიაშემოხვეული **ევროკავშირის ელჩი ჰერჩინსკი** ფიქრობს, რომ **ხელისუფლებას აზარალებს, შესაბამისად, ოპოზიციას ახალისებს,** ბოლომდე ვერ რისკავს, თორემ, **„მოლოტოვის კოქტეილს" ესროდა სახელმწიფო ინსტიტუტებს.**

„რეპორტიორი"

**ირაკლი გოგავა**
*პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი*



ევროკავშირის დახმარება არის დიდი ბლეფი! დღევანდელ **ანიტიკოლონიურ აჯანყებას** მხოლოდ პოლიტიკური მიზეზები არა აქვს, რომ **ომში ჩართვას გვთხოვდნენ,** პროტესტი, პირველ რიგში, **ეკონომიკური კოლონიალიზმის** წინააღმდეგ გვაქვს!

„საქართველოს რესპუბლიკა"



# მაყვალა ბერიანიძე: რატომ დადიოდა სააკაშვილის აწ უკვე ყოფილი ცოლი სანდრა რულოვსი ციხის პროზექტურაში და რა ცდები ტარდებოდა პატიმრებზე?

***ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს ეხმიანება და აცხადებს, რომ ირაკლი კობახიძე პრეზიდენტ ტრამპისთვის წერილის გაგზავნას ვერ გაბედავდა, ძლიერი ზურგი რომ არ ჰქონდეს:***

— ვიდრე საქართველოში და მის გარშემო არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე ვისაუბრებ, გაგახსენებთ 2025 წლის 20 იანვარს, **დონალდ ტრამპის** ინაუგურაციის დღეს, ამერიკელი სენატორის **რიჩარდ ბლექის** გამოსვლას: *„ჩვენ, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ნატოც არ გვაინტერესებს. არ გვაინტერესებს, რამდენი უკრაინელი დაიღუპება — სამხედრო თუ მშვიდობიანი მოქალაქე, ბავშვი თუ ქალი... მე ვფიქრობ ბოლო შედეგზე — რუსეთი აჯობებს უკრაინას!“* აი, ამ განცხადების შემდეგ ვიღაც ამერიკელი პოლკოვნიკი **ლოურენს ვილკერსონი** ასეთ რამეს აცხადებს: *„საქართველოს მთავრობას კარგი ურთიერთობა სურს ევროკავშირთან, ვაშინგტონთან, ნატოსთან, მოსკოვთან... ჩვენ კი მისი დამხობა და წინა ხელისუფლების მოყვანა გვსურს!“* მოდით, დროებით დავივიწყოთ ეს ორი უმნიშვნელოვანესი და სკანდალური განცხადება და შევაფასოთ რუსეთ-უკრაინის მოლაპარაკება თურქეთში, სადაც **უკრაინას პირდაპირ ეუბნებიან, რომ მან რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები უნდა დათმოს!** ამას უკრაინელებს არამარტო რუსები, არამედ ამერიკელებიც ეუბნებიან... ზემოხსენებული განცხადებების გათვალისწინებით, როგორ გამოვრიცხოთ, რომ საქართველოსაც უთხრან — **აფხაზეთი და სამაჩაბლო დათმეო?!**




## პოლკოვნიკი ლოურენს ვილკერსონი:



**საქართველოს მთავრობას კარგი ურთიერთობა სურს ევროკავშირთან, ვაშინგტონთან, ნატოსთან, მოსკოვთან... ჩვენ კი მისი დამხობა და წინა ხელისუფლების მოყვანა გვსურს!**

**— ქალბატონო მაყვალა, თუ ირაკლი კობახიძის მიერ ტრამპისა და ჯეი დივენსის სახელზე გაგზავნილ წერილს არავითარი რეაგირება არ მოჰყვა, თუ საქართველოსადმი ამერიკელი სენატორებისა და კონგრესმენების უსამართლო დამოკიდებულება გაგრძელდა, საქართველომ რა გზას უნდა მიმართოს?**

— თქვენ გგონიათ, ტირანაში გამართული შეხვედრის დროს ირაკლი კობახიძის გარშემო **პრეზიდენტი მაკრონი** ტყუილად დასუნსულებდა? მალე სხვა ქვეყნების პრეზიდენტებიც დაიწყებენ სირბილს ჩვენ გარშემო! **ირაკლი კობახიძე პრეზიდენტ ტრამპისადმი იმ წერილის გაგზავნას ვერ გაბედავდა, ძლიერი ზურგი რომ არ ჰქონდეს!**

**— მაინც ვინ არის ეს ძლიერი ზურგი?**

— მაგას მალე დაინახავთ! გაიხსენეთ, რა თქვა ტრამპმა — **ჩემი და პუტინის შეხვედრის გარეშე არაფერი გადაწყდებაო!** გაიხსენეთ, ჯერ კიდევ როდის ვამბობდი, ტრამპისა და პუტინის გარეშე არაფერი გადაწყდება-მეთქი? ამერიკას დღეს ისე სჭირდება რუსეთი, როგორც არასდროს! **ახლა ამერიკა და რუსეთი ერთ თოკზე ჩამოკიდებული ორი ალპინისტის დღეში არიან, რომლებსაც ერთმანეთი სძულთ, მაგრამ თოკს ვერ გადაჭრიან, რადგან ორივე დაიღუპება!** ხომ ხედავთ, რა ხდება — იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმაც კი გაბედა და ამერიკელებს „მოძალადეები“ უწოდა! ხოლო **ტრამპის** განცხადებას ირანის შესახებ იმდენად დიდი ამბავი მოჰყვა, რომ ირანის ხელისუფლებამ განაცხადა — **ჩვენი ქვეყანაა, როგორც გვინდა, ისე მოვიქცევით და პრეზიდენტი ტრამპი ვის ემუქრებაო?!** ამით იმის თქმა მინდა, რომ შეცვლილია ვითარება და ამერიკას დაღმავალი ხანა უდგას. აი, მაგალითად, ძალიან არ მომწონს, როცა ჩემი ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარე ნებისმიერი ამერიკელი სენატორისა და კონგრესმენის ნაბჟუტურევს ეხმიანება... ეგენი არ არიან ღირსი, ყურადღება მივაქციოთ და ყველაფერზე ვუპასუხოთ.

**— წინა ინტერვიუში თქვენ საკმაოდ საშიში სურათი დახატეთ და ხელისუფლება გააფრთხილეთ, რომ ე.წ. ოპოზიცია 26 მაისს 2011 წლის 26 მაისის მსგავსი სისხლისღვრისა და უბედურების პროვოცირებას შეეცდებოდა! მათი გეგმა ისევ ძალაშია?**

— 2025 წლის 26 მაისს ე.წ. ოპოზიცია, სინამდვილეში კი — აგენტურა პარალელურ პროცესს გეგმავს, ანუ ისევ გაყოფასა და დაპირისპირებაზე მუშაობს. ის შეეცდება, ჩაატაროს დამოუკიდებელი „მარში“, ან მსგავსი ღონისძიება... თუ ეს მოახერხეს, შესაძლოა, ვინმე პროვოკაციაზე მართლაც წამოაგონ. თუმცა, მაინც მგონია, რომ ხელისუფლებაც ემზადება და ყველანაირი პროვოკაციის აღკვეთას მოახერხებს. ისე კი, ყველამ კარგად დაიმახსოვროს — ნაცები 2011 წლის 26 მაისის მსგავსი სისხლისღვრის პროვოცირებისთვის მართლა ემზადებიან და ამ მიზნის მისაღწევად ნებისმიერ სიბინძურეზე მოაწერენ ხელს!

2025 წლის 9 აპრილს, როდესაც კრიტიკული სიტუაცია შეიქმნა, ხელისუფლება პროვოკატორებს გაერიდა და ტაძარში შევიდა, რაც იმხანად სწორი გადაწყვეტილება იყო. ამით ხელისუფლებამ ვითარება გადააგორა, მაგრამ, თუ ხელისუფლება მიმდინარე წლის 26

## კვირგვინოსნები

**ვახო შაქარიშვილი**
*„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი*



შვეიცარიაში **აშშ-სა და ჩინეთს შორის მოლაპარაკება გაიმართა,** რასაც **ტრამპი** გამოეხმაურა და დიდი სიხარულით ამცნო მსოფლიოს, რომ შეხვედრა **უაღრესად მეგობრულ გარემოში** წარიმართა; რომ **ამერიკის საკეთილდღეოდ სურს ჩინეთთან მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა.** ეს არის **ამერიკული სტანდარტი** — მხოლოდ მას აქვს უფლება, საკუთარი ქვეყნის ინტერესების შესაბამისად გადაწყვიტოს, ვისთან ითანამშრომლოს და ვისთან — არა, **საქართველოს კი ეკრძალება ჩინეთთან პარტნიორობა და საერთოდაც საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვა.**

ალბათ, **ჯო უილსონს** ჯერ არ გაუღვიძია, თორემ აუცილებლად დაგმობდა მისი პრეზიდენტის ამ განცხადებას, რომელიც **ჩინეთის კომუნისტური პარტიის მიმართ ლოიალობის გამომხატველია.**

„იმედინიუსი“

**ჟოუ ციენი**
*ჩინეთის ელჩი საქართველოში*



**ჩინეთსა და საქართველოს** ტრადიციულად მეგობრული პარტნიორობა აკავშირებთ. **ჩინეთი ყოველთვის პატივს სცემდა საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.**

„იმედინიუსი“

**თორნიკე შარაშენიძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი*



ორი ვარიანტია — **ან ამერიკას მოუწევს რუსეთთან რაღაცის სერიოზული დათმობა, რათა ომი დაასრულოს,** ან ვერ მოახერხებს ამას ფაფხურის მიუხედავად. საბოლოოდ, თუ კომპრომისს ვერ მიაღწევენ, **რუსეთი და ჩინეთი უფრო დაახლოვდებიან.** ეს ომი მალე არ მორჩება, მაგრამ ამერიკას მისი გაგრძელება არ აწყობს, რადგან **ის ისევ და ისევ ჩინეთს აძლიერებს.**

„კვირის პალიტრა“

**გიორგი ჩაკვეტაძე**
*პარლამენტარი*



**დამოუკიდებლობა წინა თაობებმა მოგვიტანეს და ჩვენი ვალია, შევინარჩუნოთ,** ახლა, როდესაც გეოპოლიტიკა ასე შეიცვალა, **არავის მივცემთ უფლებას, სამშობლო წაგვართვას.**

„პირველი არხი“

# „სააკაშვილის დროს ქალთა კოლონიაში პატიმარ ქალებზე ცდები ტარდებოდა!

## ქალებს პირდაპირ აცლიდნენ ქალურ ორგანოებს და ღეროვანი უჯრედები მიჰქონდათ!“

მაისსაც დათმობს, მაშინ ხალხი ხელისუფლებას ამას აღარ აპატიებს!

იცით, თუ არა, რომ რუსთაველზე, პირველი სკოლის წინ, ამ მავნებლების მიერ დაჯღაბნილი და წაბილწული ილიასა და აკაკის ძეგლი სკოლის დარაჯმა გაწმინდა?! უფრო მეტიც, როცა რუსთაველის გამზირს 50 კაცი კეტავს, ეს ჩვენს კულტურაზე, „ვეფხისტყაოსანზე“, ილიაზე, აკაკიზე ფეხის შეწმენდას ნიშნავს. გეუბნებით: **თუ ხელისუფლება არ აკრძალავს საზიზღარ წივილ-კივილს და 30 აგენტის მიერ ქუჩის გადაკეტვას, მაშინ ხალხი ლინჩის წესით დაიწყებს ამ უგვანი და გარეწარი მოძალადეების გასამართლებას!**

განცხადებების დრო დასრულდა, ჩვენი ხელისუფლება ქმედებაზე უნდა გადავიდეს! აბა, ვინმემ გაბედოს თურქეთში ის, რაც ამ გარეწრებმა ექვთიმე თაყაიშვილის საფლავთან ჩაიდინეს!

### ახლა კი მინდა, მივმართო ჩვენს სპეცსამსახურებს და მოვუწოდო, რომ გაასაჯაროონ ინფორმაცია საქართველოში მოღვაწე ნიდერლანდელი ექიმის ელისაბედ დებრიუს შესახებ!

**— ვინ არის ელისაბედ დებრიუ?**

— პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიაზე ისეთ ისტორიებს ვისმენ, ძარღვებში სისხლი მეყინება. ალბათ, გახსოვთ შვილმოკლული მამების მონათხრობი, რომლებიც ამბობდნენ, რომ სააკაშვილის საპატიმროდან გამოატანეს მიცვალებული, რომელსაც ამოღებული ჰქონდა ყველა ორგანო! ახლა მე ვკითხულობ — რატომ დადიოდა სააკაშვილის ყოფილი ცოლი **სანდრა რულოვსი** ციხის პროზექტურაში? რატომ ეძახდნენ მას „მფატრავს“? რა ცდები ტარდებოდა პატიმრებზე?

**— სად და რა ცდები ჩატარდა?**

— სააკაშვილის დროს ქალთა კოლონიაში პატიმრებს პირდაპირ აცლიდნენ ქალურ ორგანოებს და ღეროვანი უჯრედები მიჰქონდათ... რაც შეეხება ნიდერლანდელ ექიმ **ელისაბედ დებრიუს,** უკრაინულ, რუსულ და დასავლეთის მედიაში უკვე გამოქვეყნდა ცნობები იმის შესახებ, რომ ეს ქალი ადამიანის სხეულიდან 7-10 წუთში ნებისმიერ ორგანოს იღებს! კითხვებიც დაისვა — **იყო თუ არა ელისაბედ დებრიუს შეფი სანდრა რულოვსი, რადგან სანდრა მას ძალიან ხშირად ურეკავდა!** სად არის და რატომ არ ქვეყნდება მასალები ამ ყველაფრის შესახებ? უფრო მეტიც, **ვინ არის, მაგალითად, ლატვიური წარმოშობის ფრანგი ბერნარ ქ.?** როგორც ამბობენ, ამ კაცს აქვს ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის დიდი კომპანია. გავრცელებული ინფორმაციით, მან მხოლოდ ბოლო პერიოდში 23 წყვილი თირკმელი გაგზავნა ბაზაზე. ისიც დასადგენია — ვინ ბრძანდება **ვლადიმერ მიშჩენკო?** ევროპულ და ბრიტანულ გაზეთებში უკვე ხშირად იწერება უკრაინული 128-ე ქვეითი ბრიგადის შესახებ...

**— მაინც რას წერენ ამ ბრიგადის შესახებ?**

— 128-ე უკრაინული ბრიგადის დაჭრილი მებრძოლები პირდაპირ ბრძოლის ველიდან გაჰყავდათ და ორგანოებს უღებდნენ! **თქვა თუ არა მიხეილ სააკაშვილმა უკრაინაში ყოფნის დროს, რომ ორგანოების გაყიდვით მიღებული ფულით გაჭირვებულებს ვეხმარებითო?** ამ ყველაფრის შესახებ ხალხს სიმართლე სწორედ სპეცსამსახურებმა უნდა უთხრან!






### არის თუ არა ქართველი ხალხი იმის ღირსი, გავიგოთ, 2004-2008 წლებში რატომ არის ამდენი უგზოუკვლოდ დაკარგული, სად არიან მათი მშობლები, ნათესავები და ოჯახები? რატომ არ ცხადდება მათი გვარები და სახელები?

ეს არის ტრაგიკული ფაქტები უკრაინიდან, ასეთივე უბედურება ტრიალებდა ჩვენშიც და ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენი უშიშროება უაღრესად სკანდალურ მასალებს ფლობს. აქვე მოვუწოდებ მის ხელმძღვანელობას, რათა გამომზეურდეს ეს ფაქტები!

**— ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რას ურჩევთ საქართველოს ხელისუფლებას?**

— თუ ჩვენმა ხელისუფლებამ კლანურ მმართველობას თავი არ გაანება და საკადრო პოლიტიკას ნორმალურად არ შეხედა, ცუდად დაამთავრებს! მე ხომ ლიმუზინებით არ დავდივარ და საზოგადოებრივი ტრანსპორტით ვმოძრაობ? აქედან გამომდინარე, საზოგადოების მაჯისცემას ვგრძნობ და კარგად ვიცი, რას ამბობს ხალხი. აი, მაგალითად, „საქართველოს რკინიგზის“ შეფად რომ **ლაშა აბაშიძე** დანიშნეს, ეს ის კაცია, რომელიც მერიიდან გააგდეს და **გიორგი მარგველაშვილის** პირველი ცოლისძმაა? თუ მართლაც ის ლაშა აბაშიძე ბრძანდება, მაშინ მთელი ეს კომისიები და დაკითხვები თამაში ყოფილა და მეტი არაფერი! მეორე და მთავარი — თუ საქართველოში სასამართლო რეფორმა არ ჩატარდა, მაშინ ამ ქვეყანას არავითარი მომავალი არ ექნება! **გუშინ მცხეთაში ვიყავი და რადგან ადვოკატის ფული არ მაქვს, თავად ვიცავ იმ ქონებას, რომელიც წინა ხელისუფლების დროს წამართვეს.** ისე მოიქცა პროცესზე მოსამართლე და ისეთ ხალხს ვერ ერევიან, რომ ორი დღე ვერ დავიძინე. **მე რომ მდგომარეობიდან გამოვალ, ამ დროს სხვამ რა უნდა ქნას? აი, ამას უნდა მიეხედოს!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

### *სენატორი რიჩარდ ბლექი:*

**ჩვენ, ამერიკის შეერთებულ შტატებს, არ გვაინტერესებს, რამდენი უკრაინელი დაიღუპება — სამხედრო თუ მშვიდობიანი მოქალაქე, ბავშვი თუ ქალი!**



## კვირგვინოსნები

**ლევან მახაშვილი**
*პარლამენტარი*



ოპოზიციური პარტიები **საკუთარ ამომრჩეველს ატყუებენ და ჩუმად ემზადებიან** ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის.

„პირველი არხი“

**გიორგი სოსიაშვილი**
*პარლამენტარი*



**ევროკავშირთან ურთიერთობის დალაგებისთვის,** პირველ რიგში, ორმაგი სტანდარტი უნდა მოიშალოს, როცა **მუქარით და შანტაჟის ენით გელაპარაკებიან** და თან უნდათ, რომ მათთან იმეგობრო და პარტნიორობა გაუწიო.

„TV იმედი“

**მაია ბითაძე**
*პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე*



ევროკავშირში გაერთიანება, კანდიდატის სტატუსი, მოლაპარაკებების გახსნა-არგახსნა, ქართველი ხალხის საშანტაჟოდ არის გამოყენებული, რომ **იქნებ როგორმე ძალადობრივი გზით დაამხონ ხელისუფლება ქართველებმა.**

„პირველი არხი“

**ლევან მაჭავარიანი**
*პარლამენტარი*



აშშ-ს **ვესაუბრებით თანასწორად,** ვინაიდან **ქვეყნის ფართობი არ განსაზღვრავს სუვერენიტეტს.**

„REZONANSIDEILI“

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ერთადერთი ჯანსაღი დერეფანი,** რაც არსებობს **აზიიდან ევროპისკენ,** საქართველოზე გადის.

„ახალი თაობა“

# გიორგი ხოჭავა: დორბლიანი სააკაშვილი ახლა „ვივამედიდან“ მიყურებს და თავიდან ბოლომდე კარგად მომისმინოს, როგორ მიქცია ცხოვრება ჯოჯოხეთად 19 წლის უდანაშაულო ბავშვს!

***2025 წლის 13 მაისს პარლამენტის საგამოძიებო კომისიის წინაშე სააკაშვილის ჯალათური რეჟიმის კიდევ ერთი მსხვერპლი — ზუგდიდის მკვიდრი გიორგი ხოჭავა წარდგა, რომლისგანაც საზოგადოებამ აქამდე ნაკლებად გახმაურებული, შემზარავი ისტორია მოისმინა.***

*34 წლის გიორგი **ხოჭავამ,** რომელიც 2010 წელს, 19 წლის ასაკში, შეთითხნილი ბრალდებით დააკავეს და სასტიკად აწამეს, საგამოძიებო კომისიის სხდომაზე გამოსვლა ემოციურად დაიწყო:*



— მივესალმები ყველა სწორად და ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანს ჩვენს ქვეყანაში. ძალიან ძნელია იმ ყველაფრის გახსენება, რაც ბოროტმა, ფაშისტურმა, დიქტატორულმა რეჟიმმა პირადად მე და ჩემს ოჯახს გადაგვატანინა. ეს იყო 15 წლის წინათ და მე მაშინ ვიყავი 19 წლის.

პირველ რიგში, მე მინდა, ჩემს მშობლებს მივმართო... **მე აქ უნდა მოვსულიყავი ჯერ კიდევ 10-15 დღის წინათ, როცა დამიკავშირდნენ და მითხრეს, თუ სურვილი მექნებოდა, მოვსულიყავი და მომეყოლა ისტორია, რომელიც თავს გადამხდა. თუმცა, ჩემს მშობლებს ჩემი აქ მოსვლის ეშინოდათ და მითხრეს — თუ ისინი ოდესმე დაბრუნდებიან, უარესს გვიზამენო!** მე მინდა, ჩემი მშობლები დავამშვიდო და ვუთხრა, რომ სააკაშვილის დიქტატორული რეჟიმი არასოდეს არ დაბრუნდება! საქართველოში ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანები ძალიან ბევრნი ვართ და ამას არ დავუშვებთ! ასე რომ, ჩემი მშობლები მშვიდად იყვნენ! ვიცი, რომ ახლა მისმენენ, ყოველ ჩემს სიტყვას ყურადღებით აკვირდებიან და მინდა, ვუთხრა, რომ ყველაფერი კარგად იქნება!

თეა წულუკიანი: — **ყველაფერი კარგად იქნება და ჩვენც ვუდასტურებთ მათ პატივისცემას, თუ გვისმენენ. დარწმუნებული ვარ, ნერვიულობენ, რადგან შვილის გასაჭირზე უფრო დიდი გასაჭირი მშობლისთვის არ არსებობს. ვუერთდები თქვენს ნათქვამს, რომ ჩვენ ბევრნი ვართ და სააკაშვილი, ახალაიების კლანი და კიდევ სხვა კლანები ვერასოდეს დაბრუნდებიან საქართველოში!**

**გიორგი ხოჭავა:** — დორბლიანი სააკაშვილი ახლა „ვივამედიდან“ მიყურებს, როგორც ჩემს, ასევე აქ მოსული ყველა ადამიანის სიტყვას ყურადღებით აკვირდება და, ალბათ, იწერს, ვინ რამდენჯერ ახსენა მისი სახელი. **მე მას ვეტყვი, რომ თავიდან ბოლომდე კარგად მომისმინოს, თუ როგორ მიქცია ცხოვრება ჯოჯოხეთად 19 წლის უდანაშაულო ბავშვს!** იმავენაირად მივმართავ **მეგის ქარდავას,** რომელმაც ამიკვიატა, გამამწარა და დაგეგმა ეს სპეცოპერაცია ჩემ წინააღმდეგ!

საღამო იყო, როცა ნათესავის სახლიდან შინ ვბრუნდებოდი. სახლამდე გასავლელი მქონდა დაახლოებით 600-700 მეტრი. გაჩერდა ორი „პიკაპი“, საიდანაც გადმოცვივდნენ პოლიციელები, ჩამსვეს მანქანაში და მიმიყვანეს პოლიციის სამმართველოში. დაახლოებით 5 წუთში სამმართველოს ეზოდან გამოვიდა **მეგის ქარდავა,** ჩაჯდა თავის მანქანაში და მეც მასთან ჩამსვეს. ეს არაადამიანი, მხეცი, ცხოველი... რა ვიცი, ცხოველიც არ ეწოდება, ალბათ... **მეუბნება, რომ ქურდობა ჩავიდინე და უნდა მეღიარებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში, რამდენიმე წუთიც კი არ ვიცოცხლებდი. მე ვუთხარი, რომ ქურდობა არ ჩამიდენია და არ ვაპირებ ამის აღიარებას.**

ალექსანდრე ტაბატაძე: — **ვინ არის ამ დროს მეგის ქარდავა, რას წარმოადგენს?**

**გიორგი ხოჭავა:** — თუ არ ვცდები, ამ დროს იყო სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილე. თვითონ დაძრა მანქანა და ინგირის ყოფილი აეროპორტის ტერიტორიაზე წამიყვანა. დაახლოებით ათი მანქანა გამოჰყვა უკან. უკვე მოსაღამოვებული იყო, წრეზე დააყენეს მანქანები, აანთეს ფარები და შუაში დამაყენეს. მეუბნებოდნენ, რომ მუხლებზე უნდა დავჩოქილიყავი, მაგრამ აბსოლუტურად არანაირი რეაქცია არ მქონდა, ვერ ვხვდებოდი, ჩემს თავს რა ხდებოდა. ამ დროს **მეგის ქარდავამ** დამარტყა და ძირს დავეცი. დაახლოებით 20 ადამიანი ფეხებითა და ხელებით მცემდა. ცემის პროცესში, კონკრეტულად **კოხტა კოდუამ** ჩამიდო ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი. ისეთი ნაცემი ვიყავი, სხეულზე, ალბათ, ადგილიც კი არ მქონდა დარჩენილი, საიდანაც სისხლი არ მომდიოდა. ძირს ვეგდე და სისხლის გუბეები იდგა.

**მეგის ქარდავამ** თმებში ჩამავლო ხელი (მაშინ დიდი, ხუჭუჭა თმები მქონდა), გადამატრიალა, ჩემივე სისხლის გუბესთან დამადებინა თავი და მითხრა, რომ ამელოკა. მე კვლავ არ მქონდა რეაქცია, თვითონ ჩამადებინეს თავი სისხლის გუბეში და ჩემივე სისხლით მომისვარეს სახე. ახლაც კი არ ვიცი და ვერ ვაცნობიერებ, დაახლოებით რამდენი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა ჩემი წამება.

*სოფელ ინგირის ყოფილი აეროპორტის ტერიტორიაზე სასტიკი ცემისა და წამების შემდეგ გიორგი ხოჭავა ზუგდიდის პოლიციის სამმართველოში წაიყვანეს, სადაც მასზე ძალადობა გაგრძელდა. კვლავ აიძულებდნენ, არჩადენილი დანაშაული — ქურდობა ეღიარებინა და ეთქვა, სად წაიღო ე.წ. ფაქტები, ანუ ნაქურდალი ნივთები, თუმცა, ჯალათების ხელში ჩავარდნილი 19 წლის ბიჭი არ ტყდებოდა.*

**გიორგი ხოჭავა:** — **მე მათ ვუთხარი — რასაც მაბრალებთ, არ გამიკეთებია, ნუ მაწამებთ, შეგიძლიათ, მომკლათ!** დამცინოდნენ, მაფურთხებდნენ, ყველანაირ შეურაცხყოფას მაყენებდნენ... წამიყვანეს ჩემთან სახლში და მოითხოვეს, მეზობლები შემოსულიყვნენ, რათა მოწმის სახით დასწრებოდნენ ე.წ. ჩხრეკას, მაგრამ წინასწარ ვიტყვი, რომ ჩემი სახლიდან არაფერი ამოუღიათ.

დედაჩემმა როცა დამინახა, დაიწყო ყვირილი და ცუდად გახდა, ხოლო, როგორც კი მოასულიერეს, **მეგის ქარდავამ და კოხტა კოდუამ** დედაჩემს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ამაზე ჩემმა მეზობლმა **გონერი ჩუხუამ,** რომელიც ე.წ. მოწმის სახით იყო შემოსული, ხმა ამოიღო — რას სჩადიხართ! **ამის გამო ისე სცემეს, რომ ადგილზე მიაღებინეს ინსულტი, რომელიც შემდეგ გაუმეორდა და მისმა შვილმა საფრანგეთში წაიყვანა სამკურნალოდ.**

მე მაყურებინეს, როგორ მიაყენეს დედაჩემს ფიზიკური შეურაცხყოფა! მე შეიძლება, მათთვის ჩემი ყველანაირი შეურაცხყოფა მეპატიებინა, მაგრამ ჩემს გამჩენ და გამზრდელ დედას რომ შეეხნენ, ამას არ ვაპატიებ! **მაპატიე, დედაჩემო!**

გადამიყვანეს სამმართველოში და შემიყვანეს ე.წ. ამოსაცნობ ოთახში. დედაჩემი და მამაჩემი „ამოსაცნობი“ ოთახის მეორე მხარეს დააყენეს. მე მათ ვხედავდი, ისინი კი ვერ მხედავდნენ. ისევ დამაჩოქეს, **მეგის ქარდავამ** თავზე იარაღი დამადო და მითხრა — **თუ ახლა არ მეტყვი, „ფაქტები“ სად არის, გესვრი და მერე შენს მშობლებს და ძმას დავხოცავო!** მაშინ ჩემი ძმა 14 წლის იყო. ვუთხარი, რომ ეს არ გაეკეთებინა და მის კაბინეტში ერთიერთზე გვესაუბრა.

*__მეგის ქარდავა__ მსხვერპლის წინადადებას დათანხმდა და **გიორგი ხოჭავა** პირისპირ სალაპარაკოდ თავის კაბინეტში წაიყვანა. ეტყობა, იფიქრა — ოჯახის განადგურების მუქარა მაინც გატეხავს და აღიარებით ჩვენებას მომცემსო, მაგრამ უდანაშაულო ახალგაზრდამ, რომელსაც არამხოლოდ ფიზიკური წამებით ხდიდნენ სულს, არამედ მშობლებისა და 14 წლის ძმის მოკვლის მუქარით ფსიქოლოგიურ ტერორსაც უწყობდნენ, არჩადენილი დანაშაული მაინც არ დაიბრალა.*

*ამის შემდეგ **გიორგი ხოჭავა** ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორში ჩასვეს, უფრო სწორად, შეაგდეს, როგორც თვითონ თქვა!*

**გიორგი ხოჭავა:** — 2-3 დღის განმავლობაში არ მაძლევდნენ წყალს, არ მაჭმევდნენ საჭმელს, რამდენიმე საათის ინტერვალით გავყავდი და მაწამებდნენ. თითქმის ყველა ცემის დროს ელექტროშოკერს იყენებდნენ. დადგა სასამართლო პროცესის დღე. დანგრეული ვიყავი, ფეხზე ვერ ვდგებოდი. სასამართლო პროცესზე დედაჩემმა და ჩემმა ნათესავებმა რომ მნახეს, ტირილი დაიწყეს, ისეთ დღეში ვიყავი. მოსამართლეს ვუთხარი — უკვე აღარ შემიძლია, ვგრძნობ, რომ ვერ გავძლებ და გთხოვთ, რამე მოიმოქმედოთ, რომ ციხეში შეყვანის დროს ფიზიკურად არ შემეხონ! მოსამართლემ მიპასუხა, რომ ეს მის კომპეტენციაში არ შედიოდა!

**როგორც კი ზუგდიდის ციხეში შემიყვანეს, მიმღებში**

## „მეგის ქარდავამ თმებში ჩამავლო ხელი, ჩემივე სისხლის გუბესთან დამადებინა თავი და მითხრა, ამელოკა!“



მეგის ქარდავა

## კვირგვინოსნები

**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის“ ლიდერი*



**ზაზა მეიშვილი,** რომელიც **ზეწოლას ახდენდა მოსამართლეზე, იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე** თავის დროზე, იყო **უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე,** დღეს არის **ილიას უნივერსიტეტის სამართლის პროფესორი** და გასაგებია, რა სამართალსაც ასწავლის სტუდენტებს და **რა უნდა გამოვიდნენ მისი სტუდენტები.**

„იმედინიუსი“

**თეიმურაზ ქორიძე**
*ჟურნალისტი*



იქნებ ხელისუფლებამ გაგვაგებინოს, **კიდევ რამდენ ხანს შეიძლება ასე დაუსჯელად ინავარდოს ქვეყნის დამსმენ-მოღალატეთა ბანდამ,** ერიც და სამშობლოც ფეხებზე რომ ჰკიდია და **დანაშაულებრივი გზებით ნაშოვნი მილიონებით აშკარად ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს ეწევა?!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**თენგიზ შარმანაშვილი**
*პარლამენტარი*



ჩვენ საკუთარ ინტერესებს **თავად უნდა მივხედოთ** და ჩვენი ქვეყნის ინტერესების საზიანოდ **სხვის ჭკუაზე არ უნდა ვიაროთ.**

„რეპორტიორი“

**თემურ წულაია**
*ბიზნესმენი*



**ახალაიამ წაგვართვა 21 ობიექტი,** „უნივერმაღი ენგური“ **თავის შვილს გადასცა.**

„რეზონანსი“

**ირაკლი ოქრუაშვილი**
*თავდაცვის ყოფილი მინისტრი*



**გირაო არ გადავიხადე,** ხილვა მქონდა, ვიღაცამ ჩამომძახა — **არ გადაიხადოო.** ვინ ხარ-მეთქი, ვკითხე და — **დიფ სთეითი ვარო.** მაგათთან ხუმრობა არ შეიძლება, ამიტომ **ვერ გადავიხდიდი.**

„ახალი თაობა“

# „მინდა, ჩემი მშობლები დავამშვიდო და ვუთხრა, რომ სააკაშვილის დიქტატორული რეჟიმი არასოდეს დაბრუნდება!“



**უთხრეს — მოკალით და ათქმევინეთო! ისევ დაიწყო ჩემზე ფიზიკური ძალადობა, წამება და არაადამიანური მოპყრობა. ენით ვერ აღვწერ, რა მეთოდებით მცემდნენ და მაწამებდნენ. წრეს გააკეთებდნენ და შუაში დაგაყენებდნენ** (ყველას ასე უშვრებოდნენ), **ყველა ერთად გირტყამდა ხელს, ფეხს და ვისაც ხელში რა ეკავა, იმას...** ამ დროს მოვიდა დიმიტრი ჯიჭონაია, რომელსაც ჩემს საქმეზე ბრალი აქვს წაყენებული და 10 წელზე მეტი სასჯელი აქვს შეფარდებული... გეტყვით, რომ ჩემს საქმეზე 2014 წელს ციხის რამდენიმე თანამშრომელი მიეცა პასუხისგებაში, მაგრამ ვითხოვ, ბრალი წარედგინოთ **მეგის ქარდავას, კოხტა კოდუას** და პოლიციის კიდევ რამდენიმე თანამშრომელს.

თეა წულუკიანი: **— ბატონო გიორგი, რის ქურდობას გედავებოდნენ? თუ ადამიანი ავად არ არის და ნორმალურია, რატომ უნდა სჭირდებოდეს 19 წლის ბიჭის ასეთი მეთოდებით წამება და მისი მშობლის შეურაცხყოფა? და მეორე კითხვა: ხომ არ იცნობდით მანამდე ან კოხტა კოდუას, ან მეგის ქარდავას, რის გამოც შესაძლოა, ისინი სხვა მიზეზით გერჩოდნენ?**

**გიორგი ხოჯავა:** — ჩემი დაპატიმრებიდან 8-9 დღე იყო გასული, როცა ციხეში შემოვიდა ჩემი ადვოკატი, ბატონი **ვახტანგ ბაბედავა** და მითხრა, რომ ამ საქმეზე ვიღაცა დაიჭირეს და მე მომეხსნა ქურდობის ბრალდება. დამრჩა მხოლოდ ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი, რომელიც თვითონ ჩამიდეს და ამ მუხლით გამასამართლეს.

სანამ დამაკავებდნენ, რამდენიმე თვით ადრე, ჩემს სახლთან ახლოს მდებარე საბილიარდოდან მოვდიოდი და უკვე ჩემს ჭიშკართან ვიყავი მოსული, როცა იქვე ავტომანქანა გაჩერდა, მაგრამ მე ყურადღება არ მივაქციე, ჭიშკარი გავაღე და ეზოში შევედი. ამ დროს მანქანიდან გადმოვიდა **მეგის ქარდავა** და დამიძახა — მოდი აქო! მივედი და მითხრა — მანქანა რომ გაჩერდა, მაშინვე რატომ არ წამოხვედი ჩვენკენო! მანქანიდან კიდევ ოთხი თანამშრომელი გადმოვიდა, ჩემი სახლის წინ მცემეს, დამაგდეს და წავიდნენ. ეს შეხება მქონდა **მეგის ქარდავასთან.**

თეა წულუკიანი: **— პოლიციის მანქანა იყო?**

**გიორგი ხოჯავა:** — არა, შავი „პრადოთი“ დადიოდა.

თეა წულუკიანი: **— შესაბამისად, თქვენ ვერ მიხვდებოდით, რომ პოლიციელი მოგიწოდებდათ მასთან მიახლოებისკენ.**

**გიორგი ხოჯავა:** — კი ბატონო! მაგრამ იმ პერიოდში ზუგდიდში 2 წლის ბავშვმაც კი იცოდა, ვინ იყო **მეგის ქარდავა.** სამაგიეროდ, დღეს ჩემი სახლიდან 2-3 კილომეტრში არის პოლიციის განყოფილება, მაგრამ მე არ ვიცი, ვინ არის იქ უფროსი, მოადგილე და არც თანამშრომლებს ვიცნობ, იმიტომ, რომ მე ვცხოვრობ ჩემი წესიერი, პატიოსანი ცხოვრებით და არანაირი შეხება არ მაქვს ამ ხალხთან.

***გიორგი ხოჯავასთვის** დაბრალებულ ქურდობის ფაქტზე სხვა პირის დაკავების შემდეგ მასზე ფიზიკური ძალადობა შეწყვიტეს, რამაც წამებით დაუძლურებულ ახალგაზრდას საშუალება მისცა, ოდნავ მოღონიერებულიყო და თვალებში გამოეხედა, თუმცა, **ზუგდიდის მე-4 სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებმა** თავიანთ ჯალათურ ვნებებს ცოტა ხანში ისევ მოუხმეს.*

**გიორგი ხოჯავა:** — ერთი მეთოდი ჰქონდათ, რომელსაც „კვატიას“ ეძახდნენ — პატიმარს ორივე ხელი კეფაზე უნდა დაეწყო, ჩაკუზულიყო და იქითაქეთ ევლო, სანამ გაჩერებას არ უბრძანებდნენ. ამის გაკეთება მომთხოვეს, მაგრამ არ გავაკეთე. ამდენი რამ მქონდა გადატანილი, ამდენი უსამართლობა იყო ჩემში დაგროვილი და, პირდაპირ ვამბობ, მათ მიმართ აგრესიული ვიყავი. **ციხის ათამდე თანამშრომელმა მცემა და ფეხი ისე დამიზიანეს, რომ დაახლოებით 4 თვის განმავლობაში საწოლიდან ვერ ვდგებოდი. არც მიმკურნალეს.** გარკვეული ხნის შემდეგ მოხერხდა, რომ ჩემს მშობლებს წამლები და ნემსები შემოეგზავნათ და 4 თვის შემდეგ ფეხზე დავდექი. ამ 4 თვის განმავლობაში კვლავ მიმდინარეობდა ჩემზე ზეწოლა, ჩემი დამცირება და ა.შ.

ალუდა ღუდუშაური: **— კონკრეტულად ვინ ახორციელებდა თქვენს წამებასა და დამცირებას?**

**გიორგი ხოჯავა:** — ციხის თითქმის ყველა თანამშრომელი! როცა ფეხი მოვირჩინე, სიცხე მომცა და ტემპერატურა არ იკლებდა, თურმე, ტუბერკულოზი დამემართა. **რამდენიმე თვის განმავლობაში არ გადამიყვანეს ე.წ. ტუბზონაზე, სადაც მე-11 თვეს მოხდა ჩემი ეტაპირება.** ძალიან ცუდად ვიყავი, ფეხზე ვერ ვდგებოდი, ოფლად ვიღვრებოდი... ახლა ვარ 79 კილოგრამი, მაშინ კი 38 კილოგრამამდე ვიყავი ჩამოსული. დღეში მიწევდა 22 ცალი წამლის დალევა, რამდენიმე დღის ინტერვალით კი — გადასხმები... ერთ დღეს საკანში შემოვიდა ტუბზონის თანამშრომელი და პატიმრების თვალწინ დაუწყო ცემა ჩემს ერთ-ერთ თანასაკნელს, რომელსაც გადავეფარე. ამის შემდეგ საკანში შემოვიდა დაახლოებით 20 თანამშრომელი, რომლებმაც საკნიდან გამიყვანეს. დეკემბრის თვე იყო და ქსანში თოვლი იდო. დამაგდეს თოვლში, მირტყეს და ეს გრძელდებოდა 15-20 წუთის განმავლობაში. კიდევ ვიმეორებ — ვმკურნალობდი და დღეში 22 ცალ წამალს ვსვამდი. შემიყვანეს კარცერში. რადგან ტანსაცმელი მთლიანად სველი მქონდა, გავიხადე და იქ იყო ე.წ. პლიტა, რომელზეც დავიწყე გაშრობა. 18 დღის განმავლობაში დამტოვეს კარცერში, თითქმის ყოველდღე გავყავდი და მცემდნენ.

*19 წლის ასაკში სააკაშვილის ჯალათების ხელში ჩავარდნილმა და ნაცრეჟიმის დილეგში უღვთოდ ნაწამებმა **გიორგი ხოჯავამ** საგამოძიებო კომისიის სხდომიდან იმ ახალგაზრდების მშობლებს მიმართა, რომლებიც რუსთაველის გამზირზე მიმდინარე ძალადობრივი საპროტესტო აქციების დროს დააკავეს და სხვადასხვა სისხლისსამართლებრივი ბრალდებით წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან:*

— თქვენმა შვილებმა კანონი მაინც დაარღვიეს, მე კი საერთოდ არაფერი დამიშავებია. ბეჯითი მოსწავლე ვიყავი, სკოლა წარჩინებით დავამთავრე და ჩემი ოცნებები და მიზნები მქონდა. თქვენ ამბობთ, რომ თქვენმა შვილებმა უნდა ისწავლონ და ციხეში არ უნდა ისხდნენ. პატივცემულებო, მე რატომ ვიჯექი ციხეში და რატომ ვერ ვისწავლე? დავაშავე რამე? მე არაფერი დამიშავებია! **ეს იყო დიქტატორული რეჟიმი, ეს იყო ფაშისტური რეჟიმი, რომელიც საქართველოში არასდროს დაბრუნდება!** ვერაფერს ვერ გახდებით! პოლიციელებს, მთავრობის წევრებს დაელაპარაკეთ ადამიანურად და ასე შეიძლება, თქვენმა შვილებმა მიიღონ ნაკლები სასჯელი!

**მე მივმართავ აქციის მონაწილეებს და პირდაპირ ვიტყვი... არ მეშინია არც რომელიღაც ტელევიზიებისაგან გაშავების, იმიტომ, რომ ცხოვრებაში არაფერი ცუდი არ გამიკეთებია და ვერაფერს ვერ იპოვით ჩემი ცხოვრებიდან ისეთს, რითიც გამაშავებთ...**

## პირდაპირ ვამბობ და ვეხები 90 პროცენტს, ვინც

## აქციებზე დგას – ქალი ქალს არ ჰგავს და კაცი კაცს არ ჰგავს! ეს არის ჩემი პირადი აზრი და ეს იცოდეთ ჩემგან!

თეა წულუკიანი: **— ბატონო გიორგი, მოდით, თუ არ გეწყინებათ, დროდადრო კითხვებს დაგისვამთ... თქვენ რომ კარგად სწავლობდით, ეს საუბარზეც გეტყობათ... იმ გაცუდებული განათლების სისტემის გამო, რომელიც ბევრ სხვა უბედურებასთან ერთად სააკაშვილის რეჟიმმა დაამკვიდრა ჩვენს ქვეყანაში, ახალგაზრდების გარკვეულ ნაწილს ქართულად და სწორად აზრის ჩამოყალიბება უჭირს. ამიტომ მადლობა თქვენ და თქვენს მშობლებს, რომ კარგად სწავლობდით და თქვენს პედაგოგებს, რომ კარგად გასწავლიდნენ!** ჩემს დაკვირვებას გეტყვით: **მეჩვენება, რომ თქვენ დღემდე ხართ გაბოროტებული იმ ძალიან ბევრი უბედურების გამო, რაც მოყევით და რასაც ვერ მოყვებით, რადგან ან არ ითქმის, ან კიდევ დრო არ არის ამისთვის. ეს მე მეჩვენება, თუ ეს ასეა? თქვენ როგორ თვლით?**

**გიორგი ხოჯავა:** — მე ბოროტი ადამიანები არ მიყვარს!

თეა წულუკიანი: **— ბოროტი და გაბოროტებული სხვადასხვაა. თქვენ ქართული ძალიან კარგად იცით, რასაც გისმენთ, როგორ აყალიბებთ აზრს, სიამოვნებაა, შინაარსს თუ არ ჩავთვლით. ხომ არ ფიქრობთ, რომ გაბოროტებული ხართ? და მერე აგიხსნით, რატომ გეკითხებით ამას.**

**გიორგი ხოჯავა:** — მოკლედ გიპასუხებთ — არა!

თეა წულუკიანი: **— თუ არა ხართ გაბოროტებული, ეს ძა-**

*გაგრძელება მე-10 გვერდზე*

## „მე მაყურებინეს, როგორ მიაყენეს დედაჩემს ფიზიკური შეურაცხყოფა მეგის ქარდავამ და კოხტა კოდუამ!“



კოხტა კოდუა

## კვირგვინოსნები

**ედიშერ გვენეტაძე**
*ანალიტიკოსი*



**სააკაშვილის** საკითხის გააქტიურება გამოწვეულია იმით, რომ **ნაციონალური მოძრაობა საბოლოოდ გაკოტრდა...** მაგრამ მკვდარი არ გაცოცხლდება.

„რეზონანსი“

**ზაზა შათირიშვილი**
*ფილოსოფოსი*



ხელისუფლება უნდა გასცდეს რიტორიკის ფარგლებს და **ქმედითი ნაბიჯები გადადგას „დიპლომატიური კორპუსის“ რევოლუციური და ანტიქართული ქმედებების ასალაგმად,** რადგან წარმოუდგენელია, ამ ქვეყანამ მუდმივ რყევებსა და ჯანჯღარში იცხოვროს.

„იმედინიუსი“

**გიორგი გაბუნია**
*კულტურის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე*



**რადიკალური ოპოზიციის ადგილი ხელისუფლებაში არ არის!** ერთი რამ შემიძლია გითხრათ დარწმუნებით — „ქართული ოცნება“ ემზადება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის და **ჩვენ დამაჯერებელ, მეათე გამარჯვებას მოვიპოვებთ 64-ვე მუნიციპალიტეტში.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**გოჩა მირცხულავა**
*ანალიტიკოსი*



პარლამენტში **ნაციონალების გასასამართლებელი პროცესი** მიდის და ვიღაც გარედან ზანს აძლევს! სწორედ ეს ძალა მერე **ბახარიასთან** ხომ არ აღმოჩნდება?!

„ახალი თაობა“

**ბექა ლილუაშვილი**
*„გახარია საქართველოსთვის“ წევრი*



**სააკაშვილის** სივრცე ქართულ **პოლიტიკაში ამოწურულია.**

„რეზონანსი“



## გიორგი ხოჭავა:

# დაზუსტებით მინდა, გითხრათ, რომ ჩემი ყველა წამება გადაღებულია! ვიღაცა სიამოვნებას იღებდა ამით!

*დასაწყისი მე-8 გვერდზე*

**ლიან კარგი ამბავია და აი, რატომ: თქვენ ბევრჯერ თქვით, რომ ჩვენ ბევრნი ვართ; რომ ისინი ვეღარ დაბრუნდებიან; რომ სააკაშვილის, ახალაიების, კოხტა კოდუას და მეგის ქარდავას ადგილი ხელისუფლებაში არ არის...** კი, ჩვენ ბევრნი ვართ, მაგრამ, თუ ჩვენ ვიქნებით გაბოროტებულები, ეს ამ ბრძოლის ბოლომდე მისაყვანად შეიძლება, წინააღმდეგობა აღმოჩნდეს. ბრძოლაში ჩვენ უნდა ვიყოთ მშვიდად, წყნარად და ჩვენი ბრძოლა უნდა იყოს ქვეყნისთვის და არა იმისთვის, რომ ვინმეზე ჯავრი ვიყაროთ. მე აქ არ გამოვდგები იმისთვის, რომ ვინმეს ჭკუა დავარიგო, თუმცა, თქვენზე უფროსი ვარ და ამიტომ გაძლევთ ამ რჩევას... **ისინი, ვინც თქვენ გაწამათ, არასდროს არ უნდა დაბრუნდნენ ხელისუფლებაში! ეს მძიმე ბრძოლაა და ამიტომ ამ ბრძოლას სჭირდება ის, რომ გავმიჯნოთ პიროვნული და სახელმწიფოებრივი, რაც თქვენ არ გაგიჭირდებათ, იმიტომ, რომ განათლებული ადამიანი ბრძანდებით!** ახლა საქმეს რომ დავუბრუნდეთ — **გაქვთ თუ არა დღემდე ჯანმრთელობის პრობლემები? თქვენ თქვით, რომ ტუბზონაში 38 კილოგრამი შეხვედით... მაინტერესებს, რა სიმაღლის ბრძანდებით? იმიტომ, რომ რაღაც ზღვრის მერე ეს უკვე არის კახექსია და შეიძლება, ადამიანი რამდენიმე საათში დაიღუპოს.** და კიდევ, რამდენი პატიმარი დაგხვდათ იმ ტუბზონაში, სადაც მკურნალობის ნაცვლად თუ მკურნალობის პარალელურად, როგორც თქვენ თქვით, ყოველდღე გცემდნენ და გამცირებდნენ?

**გიორგი ხოჭავა:** — ჩემი სიმაღლე არის 171 სანტიმეტრი.

**თეა წულუკიანი: — ესე იგი, 171 სანტიმეტრი სიმაღლის ადამიანი ტუბზონაში შევიდა 38 კილოგრამი! ეს უნდა გაიგოს ბევრმა, რომელიც იძახის, რომ, თურმე, რაღაცები იყო გამოგონილი და, სინამდვილეში, სააკაშვილის დროს ყველაფერი იყო კარგად!** ეს მინდა, გაიგოს იმ კარგად გაბუთქუნებულმა სააკაშვილმა, რომელსაც სამჯერადი კვება აქვს საპატიმრო სამედიცინო კლინიკაში! რაც შეეხება გადატვირთულობას, ტუბზონაში რამდენი პატიმარი იყავით?

**გიორგი ხოჭავა:** — დაახლოებით 700-800 პატიმარი. ტუბზონა სამ ზონად იყო დაყოფილი: ერთს ინდიას ეძახდნენ, მეორეს — ქრონიკებს და მესამეს — პლუსებს. მე სამივეგან ვიყავი.

**თეა წულუკიანი: — რამდენი ხანი დაჰყავით ციხეში და როდის გამოხვედით?**

**გიორგი ხოჭავა:** — დაახლოებით 3 წელი ვიჯექი და გავთავისუფლდი 2013 წლის თებერვალში, „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული ამნისტიის შედეგად.

**თეა წულუკიანი: — ამნისტია რომ არ ყოფილიყო, რომელ წელს გამოხვიდოდით?**

**გიორგი ხოჭავა:** — დიდი ალბათობით, ვერ გამოვიდოდი! **აუცილებლად მინდა, ჩემი სიცოცხლისთვის დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ ბიძინა ივანიშვილს!** ის რომ არ ყოფილიყო, მე დღეს აქ არ ვიჯდებოდი!

**თეა წულუკიანი: — თქვენ ფიქრობთ, ციხეში დაიღუპებოდით?**

**გიორგი ხოჭავა:** — დიახ! პატივცემულო თავმჯდომარევ, მე არ ვარ გაბოროტებული ადამიანი! **მე რაც გადავიტანე, ცოცხალი ადამიანებიდან, ალბათ, ძალიან ცოტას აქვს გადატანილი. დაზუსტებით მინდა, გითხრათ, რომ ჩემი ყველა წამება გადაღებულია.**

**თეა წულუკიანი: — თუ არ გამიბრაზდებით, გკითხავთ — ვინ გადაიღო?**

**გიორგი ხოჭავა:** — თვითონ იღებდნენ!

**ალექსანდრე ტაბატაძე: — რას ფიქრობთ, რატომ იღებდნენ?**

**გიორგი ხოჭავა:** — ვიღაცა სიამოვნებას იღებდა ამით! შეუტანდნენ კაბინეტში და ანახებდნენ, თუ როგორ აწამებდნენ ადამიანებს! მათ ქართველი კაცის გენოციდი უნდოდათ და ასეთ ხალხს უნდა დღეს ხელისუფლებაში მოსვლა! **მე, როგორც ამ ქვეყნის რიგითი მოქალაქე, მზად ვარ, კანონის ფარგლებში ყველაფერი გავაკეთო იმისათვის, რომ ისინი ხელისუფლებაში არ მოვიდნენ და არ ჰქონდეთ არანაირი ძალაუფლება საქართველოში! მე დღეს აქ იმიტომ არ მოვსულვარ, რომ კონკრეტული პირების დაპატიმრება მოვითხოვო, არამედ მოვედი, რომ ჩემი პრეტენზიები გამოვთქვა იმ დიქტატორული, ავადმყოფი, ჯალათი რეჟიმის მიმართ!**

**თეა წულუკიანი: — ანუ ვთანხმდებით, რომ ჩვენ ერთად ვიბრძვით ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის!**

**გიორგი ხოჭავა:** — რა თქმა უნდა! ქალბატონო თეა, მე ძალიან დიდ პატივს გცემთ, ძალიან პირდაპირი ადამიანი ვარ და პირდაპირ გეტყვით, რომ თქვენგან ამ კითხვას არ ველოდი! რას ნიშნავს — გაბოროტებული ხომ არ ხარო? ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ მე არ ვარ გაბოროტებული! მე რაც გადავიტანე, არ ვიცი, დღეს აქ როგორ ვზივარ! ეს არის უფლის წყალობით! მე, უბრალოდ, მინდა, რომ არასდროს დაბრუნდეს ის ფაშისტური რეჟიმი, რომელსაც უნდოდა ქართველი კაცის გენოციდი ამ ქვეყანაში!

**თეა წულუკიანი: — ბატონო გიორგი, ახლა ესეც არ გეწყინოთ, მაგრამ უნდა ვთქვა ჩემი აზრი: მიკვირს, 19 წლის ბიჭმა როგორ შეძელით, რომ ამდენი წამების მიუხედავად, აღიარებითი ჩვენება არ მიეცით. ეს ძალიან ბევრმა ზრდასრულმა კაცმა ვერ შეძლო.** ეს მიუთითებს თქვენი სულის სიმტკიცეზე და თქვენ გარდა მშობლებს უნდა ვუთხრა მადლობა, რომლებიც გისმენენ და დღესაც ნერვიულობენ! **ჩვენი კომისიის მიზანი, პირველ რიგში, არის უფრო ფართო სურათის დანახვა, იმ დროის პოლიტიკური თანამდებობის პირთა შეფასება და თქვენთან ერთად, ჩვენს მომხრეებთან, ქართველ ხალხთან ერთად ყველაფრის გაკეთება იმისათვის, რომ ისინი არ დაბრუნდნენ. მე მიხარია, რომ, თუკი თქვენ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ასაკში, ასე ფართოდ უყურებთ ამ სურათს.**

**გიორგი ხოჭავა:** — რაც შეეხება აღიარებას... როცა ქურდობის ბრალდება მომიხსნეს, ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი ჩემი ნებით ვაღიარე. მაგასაც არ ვაღიარებდი, უბრალოდ, ჩემი ადვოკატი შემოვიდა და მითხრა — დედაშენი მოკვდებაო! **პროკურორმა შემოგითვალა — თუ აღიარებს, 7 წელს მივუსჯით, თუ არა, 14 წელს მივცემთო! ამიტომ დედაჩემისა და ჩემი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის ხათრით, ვაღიარე! პროცესზე მოსამართლეს სიცილით ვუთხარი — დიახ, ეს ნარკოტიკული საშუალება მე მქონდა!** გეტყვით ერთ რამეს — ჩემი ცხოვრების განმავლობაში არანაირი ნარკოტიკული საშუალება ერთხელაც არ გამისინჯავს და არც ისეთ ადამიანებთან მაქვს ურთიერთობა, რომლებიც ამ საქმით არიან დაკავებული.

**როცა მცემდნენ და მაწამებდნენ, ორლიტრიან ბოთლში ჩასხმული რაღაც სითხე მომაწოდეს — წყალია და დალიე, ცუდად ხარო! ვიცოდი, რომ მსგავს სიტუაციაში არც წყალი და არც სხვა რაიმე სითხე არ უნდა დამელია, ამიტომ უარი ვთქვი, რის შემდეგაც ისევ ძირს დამაგდეს, პირი ძალით გამაღებინეს და ნელ-ნელა დამალევინეს, რაც აღმოჩნდა წყალში გახსნილი ოპიუმი და დამიდგინეს ნარკოტიკის მოხმარება.**

**ალექსანდრე ტაბატაძე: — ციხიდან გამოსვლის შემდეგ სწავლის გაგრძელება შეძელით?**

**გიორგი ხოჭავა:** — სწავლა ვერ გავაგრძელე, მაგრამ ძალიან ბევრს ვკითხულობდი. ვერც გავაგრძელებდი სწავლას, რადგან ძალიან დიდი ხნის განმავლობაში დამჭირდა ჯანმრთელობის რეაბილიტაცია. მადლობა ღმერთს, დღეს კარგად ვარ. ოჯახი არ მყავს. ორჯერ მყავდა ცოლი, მაგრამ... **რთული და მტკივნეულია ამის თქმა... ყველანაირი ჯანმრთელობა წამართვეს იმისათვის, რომ ბუნებრივი გზით შვილი მყავდეს.**

*კომისიის თავმჯდომარისა და წევრების დაჟინებული თხოვნის მიუხედავად,* ***გიორგი ხოჭავამ*** *არ ისურვა, საჯაროდ დაესახელებინა იმ პროკურორის სახელი და გვარი, რომელმაც ადვოკატის პირით შეუთვალა, რომ, თუ ნარკოტიკის ქონას არ აღიარებდა, მაქსიმალურ სასჯელს — 14-წლიან პატიმრობას მიუსჯიდნენ.* ***მან ასევე არ გაამჟღავნა იმ პოლიციელის ვინაობა, რომელმაც ზუგდიდის ციხის თანამშრომლებს უთხრა — მოკალით და ყველაფერი ათქმევინეთო!***

**გიორგი ხოჭავა:** — მე ვიცი მისი სახელი და გვარი. დარწმუნებული ვარ, ახლა მიყურებს და ძალიან კარგად მისმენს. დარწმუნებული ვარ, ძალიან ეშინია იმის, რომ დავასახელებ. ამ ეტაპზე თავს შევიკავებ მისი დასახელებისგან, მაგრამ, ძალიან დიდი ალბათობა არსებობს, რომ ეს მოხდება. დაველოდები მოვლენების განვითარებას.

***ძნელი სათქმელია, რატომ შეიკავა თავი გიორგი ხოჭავამ მისი მწამებელი ერთ-ერთი ჯალათის საქვეყნოდ დასახელებისაგან, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, კონკრეტულ სახელსა და გვარს დიდი მნიშვნელობა არც აქვს, რადგან მთელ იმ სადისტურ სისტემას, რომელმაც საქართველოში სისხლის მდინარეები დააყენა და გვამების მთები აღმართა, ერთი კრებსითი სახელი და გვარი აქვს — მიხეილ სააკაშვილი!***

**სოზარ სუბარი:** — ის, რაც თქვენ გადაგხდათ, არ არის მხოლოდ ერთი ადამიანის ისტორია, რომელიც რამდენიმე კრიმინალმა ჩაიდინა, არამედ ეს არის სისტემური დანაშაული, რაც დადასტურებულია, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ. ძალიან მალე მას შემდეგ, რაც თქვენ დაგიჭირეს და გაწამეს, 2010 წლის 20 დეკემბერს, საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით — **უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოთი, რომელიც მხედრული მამაცობისა და განსაკუთრებული წვლილისთვის ენიჭებათ — დააჯილდოვა კოხტა კოდუა.** ამავე ჯილდოთი დააჯილდოვა **ზუგდიდის პოლიციის მაშინდელი უფროსი თენგიზ გუნავა,** რომლის გარეშეც ეს ყველაფერი ვერ მოხდებოდა. იმავე დღეს, 2010 წლის 20 დეკემბერს, სააკაშვილმა **მეგის ქარდავა** — ეს მთავარი მწამებელი — დააჯილდოვა ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით, ხოლო წელიწადნახევრის შემდეგ, 2012 წლის 19 მაისს, ღირსების ორდენით დააჯილდოვა იგივე **მეგის ქარდავა,** შემდეგი ფორმულირებით: **„სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების, მაღალი პროფესიონალიზმისა და ღირსეული სამსახურისთვის“,** ანუ ადამიანების წამება სააკაშვილისთვის „მაღალი პროფესიონალიზმი“ და „სამშობლოს ღირსეული“ მსახურება იყო.

ქალბატონმა თეამ თქვენ გკითხათ — ხართ თუ არა გაბოროტებული? — და პასუხიც მივიღეთ, რომ გაბოროტებული არ ხართ, მაგრამ ადამიანები, რომლებიც ამ ყველაფერს სჩადიოდნენ და ამ ყველაფერს მხარს უჭერდნენ — ჟურნალისტები, სტუდენტები, რაც ყველაზე საოცარია, პროფესორები, დღეს ამბობენ — კი, დანაშაული ხდებოდა, მაგრამ სახელმწიფო შენდებოდა და სახელმწიფოს მკაცრი ხელი სჭირდებაო! თქვენი წამება, თურმე, სახელმწიფოს სჭირდებოდა! ამბობენ იმასაც, რომ დიახ, ჩვენ რომ გავიმარჯვებთ, იგივე უნდა გავიმეოროთო! ასე რომ, მათთვის არაფერი შეცვლილა, არაფერი დამთავრებულა და არასოდეს დავუშვებთ, რომ ის რეჟიმი დაბრუნდეს ქვეყანაში!

**თეა წულუკიანი: — დღევანდელი სხდომა ჩემთვის ყველა სხდომაზე გამორჩეული იყო, ცუდი გაგებით, იმიტომ, რომ ძალიან ძნელია, მოისმინო ახალგაზრდა კაცის ისტორია... თქვენ, დაახლოებით, გიორგი ზერეკიძის თაობა ხართ! თქვენ ის თაობა ხართ, რომლის განადგურებასაც შეეცადა მიხეილ სააკაშვილი, იმიტომ, რომ თქვენნაირ ქართველ ახალგაზრდა ბიჭებში დაინახა სამომავლო საფრთხე! იმ რეჟიმის მთავარი მიმართულება იყო, რომ ის, რაც არის ქართული, ვაჟკაცური, ტრადიციებზე დაფუძნებული, უნდა განადგურებულიყო და შექმნილიყო ახალი ქართველი, ანტიქართველი, რომელიც მათთვის იქნებოდა მისაღები.**

**გიორგი ხოჭავა:** — მადლობა უფალს ყველაფრისთვის, როგორც ვარ დღეს და რაც მაქვს დღეს! მადლობა უფალს, რომ დავიბადე და გავიზარდე საქართველოში — ამ უძველეს, ულამაზეს, ტრადიციულ ქვეყანაში! მადლობა ჩემს მშობლებს, რომ ტრადიციულ, ქართულ ოჯახში ქართული წესებით აღმზარდეს!

**თეა წულუკიანი: — ვისი სახელები და გვარებიც იცით და გინდათ, რომ კომისიას მოაწოდოთ, ჩვენ ღია ვართ ამისთვის. ეს შეიძლება, წერილობით გაკეთდეს, დახურული ფორმით გაკეთდეს, ამის პრობლემა არ არის. მოდით, იმათი გვარები, ვინც თქვენ 19 წლის ასაკში მიზანმიმართულად დაგანგრიათ, დავუტოვოთ კომისიას, დავუტოვოთ კანონს და ჩვენ ვიყოთ ჩართული იმ დიდ ბრძოლაში, რასაც სამშობლოსთვის ბრძოლა ჰქვია!**

***ჯაბა ხუბუა***

## თეა წულუკიანი:

# 171 სანტიმეტრი სიმაღლის ადამიანი ტუბზონაში შევიდა 38 კილოგრამი!

### ეს მინდა, გაიგოს იმ კარგად გაბუთქუნებულმა სააკაშვილმა, რომელსაც სამჯერადი კვება აქვს საპატიმრო სამედიცინო კლინიკაში!



# მიხეილ ყაველაშვილმა ნაცრეჟიმის ჯალათებს სააკაშვილის მიერ ჩამორიგებული სახელმწიფო ჯილდოები უნდა ჩამოართვას!

# პრეზიდენტო, გააკეთე!!!




***ბოლო ორი კვირის განმავლობაში, პარლამენტის საგამოძიებო კომისიის სხდომებზე არაერთხელ აღინიშნა, რომ ნაცრეჟიმის პირსისხლიანი ჯალათები, რომლებიც პატიმრების წამებასა და გაუპატიურებაში მონაწილეობდნენ, მიხეილ სააკაშვილს სახელმწიფო ორდენებით ჰყავს დაჯილდოებული.***

კერძოდ, საგამოძიებო კომისიის წევრმა, დეპუტატმა **სოზარ სუბარმა** ნაცრეჟიმის სხვადასხვა მსხვერპლის გამოკითხვისას რამდენჯერმე მოიხმო **პრეზიდენტ სააკაშვილის განკარგულებები მეგის ქარდავას, კოხტა კოდუასა და სხვა სადისტებისათვის სახელმწიფო ჯილდოების გადაცემის შესახებ** და განაცხადა — *ეს ადასტურებს, რომ ნაცმოძრაობის მმართველობის დროს ადამიანების წამებას სისტემური ხასიათი ჰქონდა და ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებისაგან არამხოლოდ ნებადართული, არამედ წახალისებული იყოო!*

**დასტურ, ასე იყო!**

თანაც,

**„ასავალ-დასავალი“ ამის შესახებ ჯერ კიდევ 5 წლის წინათ წერდა და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას მოუწოდებდა,** სააკაშვილის მიერ დაჯილდოებული ჯალათებისათვის, რომელთაგან ზოგი დღეს საქართველოში იხდის სასჯელს და ზოგიც მართლმსაჯულებას უცხოეთში ემალება, **სახელმწიფო ორდენები ჩამოერთმია.**

ჩვენი გაზეთის **2020 წლის 3-9 აგვისტოს 32-ე ნომერში** გამოქვეყნებულ წერილში მაშინდელ პრეზიდენტ **სალომე ზურაბიშვილსაც** მოვუწოდებდით, ჯალათებისათვის სახელმწიფო ჯილდოების მინიჭების შესახებ **პრეზიდენტ სააკაშვილის განკარგულებები გაეუქმებინა** და ქართული სახელმწიფოსათვის სირცხვილი ჩამოერეცხა.

თუმცა, **სალომე ზურაბიშვილმა** ეს არ გააკეთა!

მეტიც, **სალომე ზურაბიშვილი** თავადვე გადაიქცა მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელთა პოლიტიკურ მოკავშირედ!

არადა, **სააკაშვილის მიერ ორდენებით დაჯილდოებულ სისხლის სამართლის დამნაშავეთა ნუსხა იმაზე ვრცელია, ვიდრე ბოლო დროს პარლამენტის საგამოძიებო კომისიის სხდომებზე გახმიანდა.**

2010 წლის 20 დეკემბერს პრეზიდენტმა სააკაშვილმა **ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის** ორდენით დააჯილდოვა ცივსისხლიანი ჯალათი **კოხტა კოდუა,** რომელიც იმხანად სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის დეტექტივ-გამომძიებელი იყო. სააკაშვილის მიერ გამოცემულ ბრძანებაში წერია, რომ **კოხტა კოდუას** *სახელმწიფო ჯილდო* ***„ქვეყნის უსაფრთხოებისა და კონსტიტუციური წყობილების დაცვის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისათვის“ გადაეცა.***

ისიც აღსანიშნავია, რომ **კოხტა კოდუა** სახელმწიფო ჯილდოზე იმჟამინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა **ვანო მერაბიშვილმა** წარადგინა და დაახასიათა, როგორც *„შრომისმოყვარე, პრინციპული, ენერგიული, ერუდირებული, კეთილსინდისიერი ხელმძღვანელი მუშაკი“, რომელიც „დაკისრებული მოვალეობის შესრულებას ეკიდება მაღალი პასუხისმგებლობით, ხელმძღვანელობის მიერ მიცემულ დავალებებს ასრულებს დროულად და ხარისხიანად“.*

ესე იგი, **მერაბიშვილმა** აღიარა, რომ ყველაფერი, რასაც **კოხტა კოდუა „დროულად და ხარისხიანად“** აკეთებდა, მას ხელმძღვანელობისაგან, ანუ თვითონ მერაბიშვილისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა მაღალჩინოსნებისაგან ჰქონდა დავალებული.

დღეს უკვე მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ის, რასაც **კოხტა კოდუა „დროულად და ხარისხიანად“** ასრულებდა, პატიმრების წამება და გაუპატიურება იყო.

**კოხტა კოხტად აწამებდა და აუპატიურებდა!**

**კოხტა** ისე **კოხტად** აკეთებდა ამ საქმეს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა სახელმწიფო ჯილდოზე წარადგინა და პრეზიდენტმა სახელმწიფო ჯილდო მიანიჭა!

**კოხტა კოდუა,** რომელიც მართლმსაჯულებას დღემდე უცხოეთში ემალება, ქართულმა სასამართლომ დაუსწრებლად გაასამართლა და 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, რადგან პროკურატურის მიერ შეკრებილი მტკიცებულებებით უტყუარად დადასტურდა ბრალდება, რომელიც სააკაშვილის მიერ ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოებულ დეტექტივ-გამომძიებელს ჰქონდა წარდგენილი — **თავისუფლების უკანონო აღკვეთა, წამება და გაუკუღმართებული ფორმით სქესობრივი კონტაქტის ძალადობრივად დამყარება.**

თავისუფლების უკანონო აღკვეთის, წამებისა და გაუკუღმართებული ფორმით სქესობრივი კონტაქტის ძალადობრივად დამყარების მუხლით, ქართულმა სასამართლომ, **კოხტა კოდუასთან** ერთად, 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა **მეგის ქარდავასაც,** რომელიც სხვადასხვა დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაღალჩინოსანი იყო.

გარდა ამისა, **მეგის ქარდავა,** რომლის უკრაინიდან საქართველოში ექსტრადირება 2021 წლის სექტემბერში მოხდა, გლდანის ციხეში **პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის** წამების საქმეზეც არის მსჯავრდებული. იგი სასამართლომ დამნაშავედ ცნო **წამებასა და სექსუალური სახის ძალმომრეობაში**, რისთვისაც 12 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, მაგრამ, ამნისტიის შესახებ კანონის თანახმად, სასჯელი ერთი მეოთხედით შეუმცირდა და 9-წლიანი პატიმრობა განესაზღვრა.

ბუნებრივია, **პრეზიდენტი სააკაშვილი მეგის ქარდავასნაირ ჯალათს დაუფასებელს არ დატოვებდა და სახელმწიფო ჯილდო მიანიჭა, თანაც — ორჯერ!** პირველად 2010 წელს დააჯილდოვა ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით, მეორედ კი 2012 წელს — ღირსების ორდენით. პირველ შემთხვევაში **ჯალათი ქარდავას** დაჯილდოების მიზეზი ***„ქვეყნის უსაფრთხოებისა და კონსტიტუციური წყობილების დაცვის საქმეში განსაკუთრებული პირადი წვლილის შეტანა“*** იყო, ხოლო მეორე ჯერზე — ***„სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულება, მაღალი პროფესიონალიზმი და ღირსეული სამსახური“.***

ორი ჯალათის — **კოხტა კოდუასა** და **მეგის ქარდავასათვის** სახელმწიფო ჯილდოების მიმნიჭებელ სააკაშვილს უყურადღებოდ არც მათი უშუალო ხელმძღვანელი, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსი **თენგიზ გუნავა** დაუტოვებია და ისიც ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა.

სააკაშვილის მიერ დაჯილდოებულ სისხლის სამართლის მძიმე დამნაშავეებს შორის გახლავთ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის (**კუდ**-ის) მეორე მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი, **მეგის ქარდავას ძმა ლევან ქარდავა,** რომელსაც ნავთლუღის ავტოსადგურის ტერიტორიაზე სამი უდანაშაულო აჭარელი ახალგაზრდის დახვრეტის საქმეზე 11 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი, ხოლო **ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის მომზადების საქმეზე, განზრახ უკანონო დაკავებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით,** 7 წლითა და 9 თვით პატიმრობა აქვს შეფარდებული.

სააკაშვილმა **ლევან ქარდავა** *„კანონიერების განმტკიცების საქმეში შეტანილი წვლილისა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოვლენილი პროფესიონალიზმისათვის“* ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით 2010 წლის ოქტომბერში დააჯილდოვა.

**ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით** არის დაჯილდოებული **კუდ**-ის აფხაზეთის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი **რომან შამათავაც,** რომელსაც 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს იმის გამო, რომ 2008 წლის აგვისტოში მეტყევე-რეინჯერი **დათო ცინდელიანი** და შეიარაღებული ძალების ოფიცერი **პაატა ქარდავა** ბათუმში, შუა ზღვაში კატერზე დახვრიტა, ცხედრებს ფეხზე ბეტონის ნაჭერი მოაბა და წყალში დაძირა.

ნიშანდობლივია, რომ სააკაშვილმა **შამათავას** სახელმწიფო ჯილდო სწორედ 2008 წლის აგვისტოში მიანიჭა. როგორც ჩანს, ნაცრეჟიმის ფიურერს ძალიან მოეწონა შამათავას მიერ გახსნილი **„წყალქვეშა სასაფლაო“,** ვითარცა ნოუ-ჰაუ ადამიანების დახოცვისა და გვამების გაქრობის ნაცმოძურ შემოქმედებაში.

მოკლედ, **სააკაშვილის მიერ მწამებლების, გამაუპატიურებლებისა და მკვლელების ორდენებით დაჯილდოება მოწმობს, რომ მწამებელი, გამაუპატიურებელი და მკვლელი სისტემის მთავარი და ერთპიროვნული შემოქმედი სწორედ იგი იყო და ცივსისხლიან ჯალათებს სრულიად შეგნებულად ახალისებდა, რათა დანაშაულებრივი საქმიანობა კიდევ უფრო მეტი შემართებით გაეგრძელებინათ!**

დღეს, როცა პარლამენტის საგამოძიებო კომისიის სხდომებზე ნაცრეჟიმის მსხვერპლთა მიერ მოყოლილი შემზარავი ისტორიები ქართველი ხალხის მეხსიერებაში თავიდან აცოცხლებს სააკაშვილის 9-წლიანი მმართველობის აბსოლუტურ სისასტიკეს,

**კიდევ უფრო აბსურდულად და სამარცხვინოდ გამოიყურება ის ფაქტი, რომ სისხლიანი ჯალათები მაღალ სახელმწიფო ჯილდოებს ინარჩუნებენ!**

ამ აბსურდისა და სახელმწიფოებრივი სირცხვილისათვის წერტილის დასმა **საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ ყაველაშვილს** შეუძლია!

მან უნდა გააკეთოს ის, რაც **სალომე ზურაბიშვილმა** არ ქნა და სააკაშვილის რეჟიმის ჯალათებს სახელმწიფო ჯილდოები ჩამოართვას, რის უფლებასაც პრეზიდენტს კანონი ანიჭებს!

კერძოდ, **საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების წესის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, ჯილდოზე წარმდგენი ორგანოს შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით, დაჯილდოებულს სახელმწიფო ჯილდო ჩამოართვას.** ამის საფუძველს დაჯილდოებული პირის მიერ ჯილდოს შეურაცხმყოფელი საქციელი ან სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა წარმოადგენს.

მაგალითად, **მსგავს პრეცედენტს ადგილი ჰქონდა 2004 წლის 23 აპრილს, როცა სახელმწიფო ღალატში ბრალდებულ გენერალს — რომან დუმბაძეს, პრეზიდენტ სააკაშვილის ბრძანებით, წარსულში მიღებული სახელმწიფო ჯილდოები ჩამოერთვა.**

ასე რომ, საქართველოს პრეზიდენტმა **მიხეილ ყაველაშვილმა** სააკაშვილის რეჟიმის ჯალათებისათვის სახელმწიფო ჯილდოების ჩამორთმევა აღარ უნდა დაახანოს!

**ეს სამართლიანობის აღსადგენად გადადგმული სიმბოლური, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება!**

***ჯაბა ხუბუა***

## ჯერ კიდევ 5 წლის წინათ ვწერდით:


სასწრაფოდ ჩამოართვით!

კოხტა კოდუა

მეგის ქარდავა

რომან შამათავა

ლევან ქარდავა

თენგიზ გუნავა

წამების, გაუპატიურების ორგანიზებისა და განზრახ მკვლელობისათვის გასამართლებული პირები დღემდე ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის ორდენების კავალერებად რჩებიან!

დამოუკიდებელი და ზეპარტიული ASAVALI.GE ASDAS.GE

ასავალ დასავალი 2020 წლის 3 - 9 აგვისტო N32 (1340)

ჩამოართვით საპრეზიდენტო ბრწყინვალების ორდენი საქართველოს მოსახლეობის ფინანსურ მწამებელს, ყაჩაღ-ბანკირ მამუკა ხაზარაძეს, რომელიც პოლიტიკურად და მორალურად კოხტაკოდუებისა და მეგისქარდავების ალიკვალია!

მოვუწოდებთ საქართველოს პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს:

სასწრაფოდ ჩამორეცხეთ ქართულ სახელმწიფოს გაუგონარი სირცხვილი და სააკაშვილის მიერ დაჯილდოებულ ჯალათებს — კოხტა კოდუას, მეგის ქარდავას, ლევან ქარდავასა და რომან შამათავას სახელმწიფო ჯილდოები ჩამოართვით!

**მთელმა ქვეყანამ შეიტყო იმის შესახებ, რომ ე.წ. რეჟისორმა და სინამდვილეში დოხუჩინმა დათა თავაძემ სამეფო უბნის თეატრის სცენაზე მამუკა ხაზარაძის უზორნიის ფილიალი გახსნა და თავისუფლების სახელით, გარყვნილებას, სოდომიასა და ღვთისგმობას ძეგლი დაუდგა!**

# ზურაბ ხუციშვილი: ეს არის გარყვნილების პროპაგანდაც, ღვთისგმობაც და სამების უარყოფაც, რის გამოც დათა თავაძის ე.წ. სპექტაკლი რეპერტუარიდან უნდა მოიხსნას!



ე.წ. სპექტაკლმა **„ლიბერტემ“**, სადაც უკანალმოტიტვლებული კაცები სცენაზე დარბიან და პირიდან სიბილწეს აფრქვევენ, **დათა თავაძის საქვეყნოდ ცნობილი ბებია-ბაბუების ნაწილი** საფლავში ამოატრიალა, ხოლო ნაწილი — ცოცხლად დამარხა. ქართველი მესაჯდომეებისა და „პრო....კავშირელების“ **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** ბილწ იდეოლოგიას აყოლილ **თავაძეს** იმდენი სახელოვანი ბებია აღმოაჩნდა, სიმართლე გითხრათ, **ჩვენც კი დავიბენით და გაზეთის წინა ნომერში აწ განსვენებული იზა გიგოშვილი იმ ზინაიდა კვერენჩხილაძეში აგვერია, რომელმაც მართლაცდა გენიალურად განასახიერა ეფემია წინამძღვრის როლი გიგა ლორთქიფანიძისა და გიზო გაბესკირიას კინოშედევრში „დათა თუთაშხია“.**

ამ უნებლიე, მაგრამ ფაქტობრივი შეცდომის მიუხედავად, ლგბტ პროპაგანდისტებისა და გეი-კონჩიტების აყროლებულ ჭაობში ამოვლებული **დათა თავაძის** მიმართ გამოთქმულ არცერთ პრეტენზიასა და შენიშვნას არ ვემიჯნებით და კიდევ ერთხელ მივმართავთ მას გენიალური ეფემია წინამძღვრის სიტყვებით: **„საიდან შემოგიარა სატანამ, რა გზითა და ხვრელით შემოაღწია შენს სულში, როგორ განდევნა შენში მადლი სიკეთისა?..“**

კინოპროდიუსერი, აუდიოვიზუალური ხელოვნების დოქტორი, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგი **ზურაბ ხუციშვილი** აცხადებს, რომ **თეატრალურ უნივერსიტეტში ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და პროფესორ-მასწავლებლების სახით არსებობს გარკვეული ჯგუფი, რომელიც რადიკალების პროტესტსა და ლგბტ იდეოლოგიას ახალისებს:**

— უბედურება, რომელიც ე.წ. თეატრალებში ტრიალებს, **მიხეილ სააკაშვილის** დროიდან დაიწყო. კინოფაკულტეტის საქმიანობაში კარგად ვარ ჩახედული და ზუსტად შემიძლია გითხრათ, რომ მაშინდელი ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელობა, კონკრეტულ პიროვნებებს, რომლებსაც ზემოდან მფარველობდნენ, აბსოლუტურად უკანონოდ აძლევდა საკმაოდ სოლიდურ თანხებს!

**— ბატონო ზურაბ, სააკაშვილის დროს ეროვნული კინოცენტრის დირექტორი ვინ იყო და მაინც ვის აძლევდნენ დიდ თანხებს?**

— სააკაშვილის დროს ეროვნული კინოცენტრის დირექტორი იყო **თამარ ტატიშვილი,** რომელიც სააკაშვილის კულტურის მინისტრის **ნიკა რურუას** ფავორიტი გახლდათ. ეს ქალბატონი, რომელიც ცხოვრობდა საზღვარგარეთ, საქართველოში ჩამოიყვანეს და კინოცენტრის დირექტორად დანიშნეს. რაც შეეხება იმას, თუ ვის აფინანსებდნენ მილიონებით, ფულს, ძირითადად, არიგებდნენ ანტიქართული, ანტიეროვნული, სოდომისტური, ანტიმართლმადიდებლური და ლგბტ თემატიკის ფილმების გადასაღებად, სადაც საქართველო და ქართველი კაცი გამოყვანილი იყო დაბეჩავებულ და გაუბედურებულ პლანში. **კინოცენტრში პროექტის შეტანას აზრი არ ჰქონდა, რადგან კომისია, რომელსაც ფილმის დაფინანსების საკითხი უნდა გადაეწყვიტა, თავიდან ბოლომდე სააკაშვილის მომხრეებით იყო დაკომპლექტებული.** ე.წ. ექსპერტებად ხშირად იწვევდნენ იმათ, ვინც თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი გუშინ დაამთავრეს და ამ დროს ოსტატი კინორეჟისორის ნამუშევარი უნდა შეეფასებინათ. სწორედ ასეთი განუკითხაობა და უსამართლობა იყო იმის მიზეზი, რომ, მაგალითად, ცნობილმა კინორეჟისორმა **ლევან ანჯაფარიძემ** კულტურის სამინისტროს შენობასთან შიმშილობა დაიწყო. კიდევ ვიმეორებ: **კინოცენტრი ხან 1 მილიონ ლარს და ხანაც 2 მილიონ ლარს აძლევდა და აფინანსებდა ისეთ ხალხს, ვინც იღებდა ფილმს ქართველ მეძავებზე, ქართველ ნარკომანებზე, ქართველ ლგბტ თემის წარმომადგენლებზე, სადაც ყოველივე ქართული, ეროვნული და წმინდა იქნებოდა გალანძღული, დამცირებული და შებინძურებული!**

**— მაინც ვინ წყვეტდა ამ მილიონების გაცემის საკითხს?**

— დარწმუნებული ვარ, **ნიკა რურუას** გარეშე ეს ვერ მოხდებოდა!

**— „სოროსის ფონდი“ და სხვა მსგავსი მტრული ორგანიზაციები ასეთ ანტიქართულ პროექტებს არ აფინანსებდნენ?**

— „სოროსის ფონდი“ და მსგავსი ფონდები დაფინანსებას ახდენდნენ არაპირდაპირი, შემოვლითი გზებით. ცხადია, ეროვნულ თემატიკაზე შექმნილ ფილმს არავითარი პერსპექტივა არ ჰქონდა.

**— ცნობილია, რომ საქართველოში გადაიღეს არაერთი ლგბტ ფილმი, სადაც წაბილწეს ქართული ეროვნული სამოსი, ქვევრი, ღვინო, ტრადიციები... ახლახან დათა თავაძემ სამეფო უბნის თეატრის სცენაზე დადგა გარყვნილი და ღვთისმგმობელი ე.წ. სპექტაკლი „ლიბერტე“, სადაც გაუგონარი რამ მოხდა და ქართველმა მამაკაცმა სახალხოდ უკანალი მოიშიშვლა... მაინც ვინ დგას ამ სიბილწისა და ლგბტ პროპაგანდის უკან?**

— 2012 წლის 1 ოქტომბერს, როცა „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა და სააკაშვილის რეჟიმისგან გაგვათავისუფლა, კულტურისა და განსაკუთრებით თეატრისა და კინოს სფერო დარჩა იმ ოაზისად, სადაც სააკაშვილის რეჟიმის აპოლოგეტები და დამქაშები დღემდე თავს აფარებენ და ქვეყანას პრობლემებს უქმნიან. **ახალმა ხელისუფლებამ დაუშვა შეცდომა, როცა ამ სფეროს საქმიანობაში ქირურგის სკალპელით არ ჩაერია!** აი, მაგალითად, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების დროს ეროვნული კინოცენტრის დირექტორად დაინიშნა სააკაშვილის ფანი **გაგა ჩხეიძე,** რომელსაც სხვა კინემატოგრაფისტებთან ერთად შევხვდი. ამ შეხვედრაზე მან ასეთი რამ თქვა — *მე სტუდენტობისას ზვიად გამსახურდიას ეროვნულ მთავრობას ვებრძოდი და უნივერსიტეტი რომ გაიფიცა, კიბეზეც ვიჯექი, რადგან მხარს ვუჭერდი სახელმწიფო გადატრიალებას. ზვიადი იყო დიქტატორი და ანტიევროპელი. აქედან გამომდინარე, სანამ ეროვნული კინოცენტრის დირექტორი ვარ, ზვიადისტები არ დაფინანსდებიანო!* ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ მე, როგორც პროდიუსერმა, ასევე კინორეჟისორებმა და სცენარისტებმა **მაია არჩვაძემ** და აწ განსვენებულ-









*სოციალური ქსელებითა და „იმედის“ ეთერით გავრცელებული კადრი და ტიტრები დათა თავაძის სპექტაკლიდან „ლიბერტე“*

**შიშველი უკანალით მაყურებლისაკენ!**

## კვირგვინოსნები

**დათა თავაძე**
*მსახიობი, რეჟისორი*



ხელისუფლებაში ფიქრობენ, **დოის დაარტყეს, ჰოლას დაარტყეს, ან მე დამარტყეს** — ესენი ურტყამენ ქართულ თეატრს და საქართველოს, **იმიტომ, რომ მოღალატეები არიან.** ისე, როგორც არასდროს, უხდება ეს სიტყვა სათითაოდ ყველას.

„ახალი თაობა“

**ვახო ხუზმიაშვილი**
*„თავისუფალი სივრცის“ ავტორი და წამყვანი*



**ვისაც არ ეზარება,** საინფორმაციო სააგენტო აქვს გახსნილი, **ვისაც არ ეზარება,** ჟურნალისტი გახდა. **ყველაფერი მოსულა ქართულ მედიაში, არავითარი ზღვარი აღარ არსებობს.** დღის გინება ისმის ქართული მედიაეთერებიდან.

„იმედინიუსი“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი*



ამ ქვეყანაში არსებობს **2 სახის დეგენერატი — სოცდაუცველი, რომელიც ქოცებს აძლევს ხმას** და **ჯენზიკები, რომლებიც რუსთაველზე დგანან** და არ აინტერესებთ, რომ **ოპოზიციური პარტიები ატყუებენ.**

„TV ფორმულა“

**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*პარტია „ფედერალისტების“ წევრი*



**სააკაშვილი** ჭკუამ წლების წინ მიატოვა, რა ილუზიებმაც **ივანიშვილის დილეგამდე** მიიყვანა, იმავეთი მიჰყავს ეს ქვეყანა **რუსეთის დილეგში,** მაგრამ, მგონია, ვერ შეძლებს, **პროტესტი მასაც გადაჯეგავს.**

„პირველი არხი“

მა **ალექსანდრე ჟღენტმა**, რომელიც იყო უზენაესი საბჭოს წევრი, დაწერეს სცენარი და კინოცენტრში შევიტანეთ განაცხადი ფილმზე, სადაც ასახული იქნებოდა ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობა. ხაზგასმით ვამბობ, რომ ეს არ იქნებოდა მიკერძოებული ფილმი, იქნებოდა მხოლოდ ფაქტები... **ხუთჯერ შევიტანეთ განაცხადი კინოცენტრში და ხუთჯერვე უარი გვითხრეს!** სამაგიეროდ, დააფინანსეს ლგბტ ფილმები, სადაც ქართველები უკანასკნელ, დაბეჩავებულ ხალხად ვართ გამოყვანილი...

**— დღეს სად არის გაგა ჩხეიძე?**

— მადლობა ღმერთს, ქალბატონმა **თეა წულუკიანმა** იგი თანამდებობიდან გაათავისუფლა. როგორც ვიცი, გაგა ჩხეიძეს ეროვნულ კინოცენტრში ბევრი დარღვევა აღმოუჩინეს და მის საქმეს პროკურატურა იკვლევს! კინოცენტრთან დაკავშირებით მოხდა ასეთი შემთხვევა: რეჟისორ **გია ქაჯარავას** უნდოდა, ბერი გაბრიელის შესახებ ფილმის გადაღება. დაწერა სცენარი, შეიტანა განაცხადი, მაგრამ **გაგა ჩხეიძემ** განაცხადა — **სანამ მე ვარ დირექტორი, ფილმი ბერი გაბრიელის შესახებ არ დაფინანსდებაო!** კინორეჟისორ **ნანა ჯანელიძის** დირექტორობის დროს ეროვნულმა კინოცენტრმა მხარი დაუჭირა ლგბტ ფილმს — **„... და ჩვენ ვიცეკვეთ“,** რათა ეს გარყვნილება ესტონეთში გაეტანათ! **ნანა ჯანელიძე** და მსგავსი მენტალიტეტის რეჟისორები ამ ტიპის ე.წ. ფილმებს გარყვნილების პროპაგანდად კი არ მიიჩნევენ, არამედ მათთვის ევროპული დონის მაჩვენებელია ის, რომ ქართველ მოცეკვავეს, რომელსაც ჩოხა აცვია, მაინცდამაინც ქვევრის ფონზე აქვს ჰომოსექსუალური აქტი!

**— ეს ე.წ. რეჟისორი დათა თავაძე ვინ არის და საიდან გამოაძვრინეს?**

— ჩემი აზრით, როგორც თეატრის რეჟისორი, **დათა თავაძე** უნიჭო ადამიანია და იმისათვის, რათა თავისი უნიჭობა გადაფაროს, ცდილობს, შექმნას რაღაც სკანდალური. რა სიბინძურეც **ლაშა ბუღაძემ** დაწერა თამარ მეფეზე, სწორედ იმას და კიდევ უარესს იმეორებს **დათა თავაძე** სცენაზე! ამ სიბინძურეს აფინანსებენ რაღაც ფონდები... ყოველ შემთხვევაში, ჩვენ რომ დავით აღმაშენებელზე წიგნი დავწეროთ, არ დაგვაფინანსებენ, მაგრამ იმ სიბინძურეს, რასაც **დათა თავაძე, ლაშა ბუღაძე და მათნაირები** ემსახურებიან, მწვანე გზას მისცემენ! ეს ყველაფერი, რაც **დათა თავაძემ** დადგა, არის ლბტ პროპაგანდა, სამების უარყოფა, ღმერთის შეურაცხყოფა და გარყვნილება! თუ საქართველოში მსგავსი რამ მოხდებოდა, ვერ ვიფიქრებდი!

**— თქვენი სტუდენტები რას ამბობენ, რაც დათა თავაძემ დადგა, ეს კარგია და ჩვენც ასე უნდა გავაგრძელოთო?!**

— თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში სწავლობს 600 სტუდენტი. ბავშვების აბსოლუტური უმრავლესობა ამ სიბინძურესა და გარყვნილების პროპაგანდას აპროტესტებს, მაგრამ **არის დაახლოებით 50 ბავშვი,** რომელიც შეგულიანებულია ადმინისტრაციის იმ თანამშრომლებისა და ზოგიერთი პროფესორ-მასწავლებლის მიერ, რომლებსაც **პროევროპული** „უჭირავთ“.

**— როგორც ცნობილია, ლგბტ „თეატრალების“ ერთ-ერთი ასეთი „გურუ“ და შემგულიანებელი არის აკაკი ვასაძის შვილიშვილი, ე.წ. პროფესორი მაკა ვასაძე, რომელიც სოციალურ ქსელებში ყირაზე დგას და ყველას, ვინც დო-ხუინი დათა თავაძე სოდომიის პროპაგანდასა და ღვთისგმობაში ამხილა, ლანძღავს!**

— კი ბატონო, **მაკა ვასაძე** ნამდვილად გამოკვეთილი ფიგურაა მაგ მხრივ! ის არც მალავს თავის განწყობებს ამ გარყვნილების მიმართ, მოსწონს დათა თავაძის „ლიბერტე“ და აცხადებს, რომ, **ვინც სხვაგვარად ფიქრობს, თეატრი არ ესმის!** სწორედ ამ ნიადაგზე გამოლანძღა მან მსახიობი **კახა მიქიაშვილი,** რომელმაც **დათა თავაძის** ეს სიბინძურე დაგმო. ასევე დაესივნენ და გალანძღეს კინორეჟისორი **ლევან კოღუაშვილი,** რომელმაც ძალიან უარყოფითად შეაფასა ის, რაც სამეფო უბნის თეატრის სცენაზე დაიდგა.

**— მაკა ვასაძე ლგბტ აქტივისტია თუ ნაცია?**

— როგორც ვიცი, ლგბტ აქტივისტი არ არის, მაგრამ ამ ხელისუფლების მიმართ რადიკალურად არის განწყობილი და, შეიძლება ითქვას, რომ ნაცია!

**— გია ბუღაძემ სამხატვრო აკადემიის სტუდენტებს ერთმანეთისთვის სახეში აფურთხებინა; მხატვარმა თორნიკე ჭაფოძემ სახარება დაგლიჯა, შეჭამა და მერე უნიტაზზე დაჯდა, ვითომდა მოსასაქმებლად; ლაშა ბუღაძემ, ზაზა ბურჭულაძემ და მისთანებმა ათასი სიბილწე და საშინელება ჩაიდინეს; ახლა უკვე დათა თავაძეც გამოტყვრა... ვინ მართავს ამ პროცესს?**

— **ამ პროცესს მართავენ ნაცმოძრაობა, მასთან დაკავშირებული პარტიები და დასავლეთის სპეცსამსახურები!** დააკვირდით ევროპას, რომელიც უკვე გადაგვარებულია, სწორედ ამის მიღწევა უნდათ ჩვენშიც. დასავლეთის სპეცსამსახურები ამ ჯგუფებს აფინანსებენ და ავალებენ — შენ გააკეთებ ამას და ამას! ესენიც ფულის გულისთვის აკეთებენ ამ ყველაფერს...

**— თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რექტორი სასწავლებელში სიტუაციას ვერ ცვლის?**

— თეატრალური უნივერსიტეტის რექტორი **გიორგი შალუტაშვილი** ძალიან კარგი კაცია, მაგრამ დღეს უნივერსიტეტში, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მისაღებია პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც ხელისუფლებისგან უნდა წამოვიდეს! თეატრალურ უნივერსიტეტში არის პროფესორ-მასწავლებელთა გარკვეული ჯგუფი, რომელსაც აქვს ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი და ანტისახელისუფლებო პოზიცია, არის ნაცი და აბუნტებს ბავშვებს. მაგალითად, **თეა წულუკიანის** მინისტრობის დროს, როცა სადიპლომო ფილმების კონკურსი გამოცხადდა და ეროვნულმა კინოცენტრმა საპრიზო ადგილებისთვის 60 ათასი ლარი გამოყო, ზოგიერთმა სტუდენტმა თავიდანვე ბოიკოტი გამოაცხადა — წულუკიანის ფულს არ ავიღებთო, ხოლო, ვინც კონკურსში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა, ის ბავშვები დააბულინგეს და მერე იმათაც უარი თქვეს კონკურსში მონაწილეობაზე. ეს ხალხი, ვინც ამას სჩადის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და პროფესორ-მასწავლებლების 20 პროცენტზე მეტი არ იქნება, მაგრამ ჩანან, რადგან ძალიან ყვირიან. ახლა გაფიცვა შეწყვეტილია და უნივერსიტეტში ლექციები ჩვეულებრივად ტარდება, მაგრამ, როცა გაფიცული იყვნენ, მოთხოვნები ჰქონდათ ბუნდოვანი.

**— მაგალითად...**

— მაგალითად, ითხოვდნენ რექტორის —**გიორგი შალუტაშვილის** გადადგომას და ამას რით ასაბუთებდნენ, იცით? — **შალუტაშვილი** რომ გადადგება, ეს მთავრობაც გადადგება და მერე **ბიძინაც** წავაო! აი, ასეთ გაურკვევლობაში არიან...

**— ე.წ. დოისა და მისი ჯგუფის შესახებაც უნდა გკითხოთ, რომლებიც ასევე ბოიკოტის რეჟიმში იყვნენ და რეგიონებში აპირებდნენ გასვლას, მაგრამ გეგმა ჩაუფლავდათ!**

— ხომ გეუბნებით, ეს პრობლემა მოდის სააკაშვილის პერიოდიდან, რადგან **დოიც და დოის მსგავსებიც** ნაცებმა დანარჩენ საქართველოს მიუქსიეს. არავითარი პერსპექტივა მათ პროტესტს არ ექნება, რადგან ხალხი მათ მხარს არ უჭერს. იგივე ითქმის **დათა თავაძის** ე.წ. სპექტაკლზეც. რეფერენდუმს ხომ არ ჩავატარებთ ამ საკითხზე? რაკი საქართველოში ანტი-ლგბტ კანონმდებლობა არსებობს, ფაქტია, რომ ეს ე.წ. სპექტაკლი არის გარყვნილების პროპაგანდაც, ღვთისგმობაც და სამების უარყოფაც, რის გამოც რეპერტუარიდან უნდა მოიხსნას!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***




## „თეატრალური უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შალუტაშვილი ძალიან კარგი კაცია, მაგრამ დღეს უნივერსიტეტში მისაღებია პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც ხელისუფლებისგან უნდა წამოვიდეს!“



## „რა სიბინძურეც ლაშა ბუღაძემ დაწერა თამარ მეფეზე, სწორედ იმას და კიდევ უარესს იმეორებს დათა თავაძე სცენაზე!“



## „ამ პროცესს მართავენ ნაცმოძრაობა, მასთან დაკავშირებული პარტიები და დასავლეთის სპეცსამსახურები!“

*პრემია „საბას“ ხუთგზის ლაურეატი ლაშა ბუღაძე*

## კვირგვინოსნები

**გიორგი სავანელი**
*თეატრის რეჟისორი*



წარმოუდგენელია, **თან ევროპა მოგწონდეს, თან ქოცი იყო.**

„ახალი თაობა“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*ყოფილი სახელმწიფო მინისტრი*



**დღეს ოპოზიცია საგარეო საქმეთა სამინისტროს კომენტატორი გახდა,** გვატყობინებენ ევროსაბჭოში, ეუთოში რა ხდება... არა ვარ შეთქმულების თეორიების მომხრე, მაგრამ **ოპოზიციის ქმედებები ბევრ კითხვას აჩენს.**

„ახალი თაობა“

**ზურაბ-გირჩი ჯაფარიძე**
*ოპოზიციონერი პოლიტიკოსი*



არის კონსერვატიზმის რაღაცები, რომელსაც სრულად ვიზიარებ — **ენა, ცეკვა, სიმღერა,** რაც ქართველებმა შევქმენით და მივეცით სამყაროს, **ყველაფრის ფანატი ვარ.**

„რეპორტიორი“

**დათო ევგენიძე**
*მუსიკოსი*



მაკვირვებს, **ამ პატარა ერში ასეთი სიძულვილი რატომაა?** ამ მანკიერებას ზოგან ფული ასაზრდოებს, ზოგან — სიბრმავე. **ქართველებს ყველაზე მეტად ერთობა გვჭირდება,** ძალიან ცოტანი ვართ და გარშემო გველეშაპები გვახვევია. მარტივად შეუძლიათ გადაგვყლაპონ, მაგრამ უფალი ყოველთვის გვიცავს. **ერთობა რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ეს კარგად იცის მტერმაც და ზუსტად ამის მოშლას ცდილობს.**

„კვირის პალიტრა“

**ლაშა ჩხარტიშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის წევრი*



160 დღის ბრძოლამ უკვალოდ არ უნდა ჩაიაროს. **ჩვენ თავისუფალი სასამართლო რომ გვქონდეს,** ხალხს არ დასჭირდებოდა არცერთი დღე ბრძოლა, ქუჩაში გამოსვლა.

„ახალი თაობა“




ევროვიზია-2025-ის მონაწილე საქართველოდან – მარიამ შენგელია

# კონჩიტას სიყვარულმაც ვერ გაჭრა!



ევროვიზია-2014-ის გამარჯვებული ავსტრიიდან – კონჩიტა ვურსტი

***2025 წლის 15-17 მაისს შვეიცარიის ქალაქ ბაზელში „ევროვიზიის“ მორიგი კონკურსი გაიმართა, რომელზეც საქართველო მომღერალმა მარიამ შენგელიამ წარადგინა. ქართულ-ინგლისურენოვანი სიმღერა „ფრიდომ“ („თავისუფლება“), რომლის მუსიკაც — ქეთი გაბისიანმა, ხოლო ტექსტი მუსიკოსმა ბუკა კარტოზიამ დაწერა, კონკურსის ფავორიტი ვერ გახდა და შემსრულებელიც „ევროვიზია-2025“-დან გამოისროლეს.***

ვიდრე ბაზელში გაემგზავრებოდა, **მარიამმა, რომელსაც გულით და სულით ვგულშემატკივრობდით,** კოჭი გაუგორა მსოფლიოს მესაჯდომეთა გილდიას და განაცხადა: **„ევროვიზიაზე“ ჩემი გმირი კონჩიტა ვურსტია, მომეწონა, როგორ მიიღო თავისი ინდივიდუალობა და დაარღვია ნორმებიო!**

მკითხველს აქვე შევახსენებთ, რომ **კონჩიტა ვურსტი,** რომელიც ავსტრიის სახელით კოპენჰაგენში „ევროვიზია-2014“-ის გამარჯვებული გახდა, სინამდვილეში გერმანელი ახმახი — **თომას ნოივირტი** გახლავთ, რომელიც ბიოლოგიური მამაკაცია, მაგრამ უკვე მერამდენე წელია, სამგლე გოჭივით გახლავთ ატეხილი — გინდათ თუ არა, ქალი ვარ და კონჩიტა მქვიაო!

2014 წელს მთელი მსოფლიო შოკში ჩავარდა, როცა კაბაში გამოკვართულმა წვეროსანმა **კაცმა თუ ქალმა კონჩიტამ** „ევროვიზია“ მოიგო!

სწორედ ეს წვეროსანი და ქალად გადაკეთებული კაცი გამოაცხადა **მარიამ შენგელიამ** თავის გმირად, რითაც მთელი ევროპის საკონჩიტეთს მესიჯი გაუგზავნა — **აქაოდა, მეც თქვენნაირი ვარ, მეც თქვენსავით მიძგერს გული და წიხლს ნუ დამაჭერთ, ნუ დამჩაგრავთ, ნამღერი ობიექტურად შემიფასეთო!**

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ **მარიამ შენგელიას** მართლაც კარგი ვოკალური მონაცემები აქვს და ქართულ-ინგლისური სიმღერაც, სადაც სამშობლოს სიყვარულზეა ლაპარაკი, კარგად შეასრულა. მის გამოსვლას კიდევ უფრო მიმზიდველსა და ეფექტურს ხდიდა „ერისიონის“ მოცეკვავეთა მიერ ბაზელის სცენაზე დანთებული ცეცხლი და, როგორც დიდი **გრიგოლ რობაქიძე** იტყოდა, „ქართული გენია როკვით განფენილი“...

როგორც უკვე მოგახსენეთ, მიუხედავად ამისა, ის ფინალში ვერ გავიდა და გამოემშვიდობა „ევროვიზიას“, რომელიც უკანასკნელ წლებში ჩამოყალიბდა სექსუალური უმცირესობების კონკურსად, სადაც მხოლოდ ლგბტ „კონჩიტები“ იმარჯვებენ. როცა ასეთ კონკურსში მონაწილეობ, როცა გვერდს ჩოხა-ახალუხსა და ქამარ-ხანჯალ-ყაწიმში გამოწკეპილი ქართველი ვაჟკაცები გიმშვენებენ, როცა სამშობლოსა და თავისუფლებას უმღერი და თან აცხადებ — **აყროლებული კონჩიტა ვურსტია ჩემი გმირიო!** — უკვე რაღაც არეული გაქვს და დიდ გაუგებრობაში ხარ მოყოლილი!

**ეს იგივეა, გიგა ბოკერია პატრიარქის ქორეპისკოპოსი გახდეს, თინა ბოკუჩავა და მარიამ საჯაია — მონაზვნები, ხოლო ია ფარულავამ და ელისტრაკო კილაძემ ქალწულობის ინსტიტუტის დაცვის აუცილებლობაზე საჯარო ლექციების კითხვა დაიწყონ გლდანში ან სადორიის ტყეში!**

დედაღვთისმშობელ მარიამის წილხვედრ საქართველოში ქართველი მომღერალი **მარიამ შენგელია** ისე არ უნდა წახდეს, რომ აყროლებეული **კონჩიტა ვურსტი** გმირად დაისახოს და ქალის კაბაში გამოკვართულ წვერებიან კაცს ინდივიდუალობა და ნორმების დარღვევა მოუწონოს! ამით **მარიამ შენგელიამ** მხოლოდ საკუთარი თავი კი არ შეურაცხყო, არამედ ქართველობა და საქართველო აიგდო მასხრად. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ, დიდი ალბათობით, ემიგრაციაში გადახვეწილ დედასაც ატკინა გული!

მართლაც, როგორც ერთ-ერთ გადაცემაში თავად განაცხადა, **მარიამ შენგელიას დედა** ოჯახის გადასარჩენად და გამოსაკვებად გერმანიაშია გადახვეწილი. შეუძლებელია, ქალიშვილის პირიდან ამოსულ სიმყრალეს — **აქაოდა, ჩემი გმირი კონჩიტა არისო!** — ეს ქალბატონი გაეხარებინა. უფრო მეტიც, გერმანიაში გადახვეწასა და იქიდან ოჯახისათვის ფულის გამოგზავნას, ჯობდა, მას ცოტაც გაეჭირვებინა, მაგრამ მარიამისთვის ყურადღება მიექცია და „გმირის“ მნიშვნელობა განემარტა!

**დაე, შეიგნოს ერმაც და ბერმაც, რომ ისტორია ჩამოწერს და ჩარეცხავს ყველას, ვინც ლგბტ გარყვნილებას ან თვალს ჩაუპაჭუნებს, ანდა კუდს გაუქიცინებს!**

სხვათაშორის, ერთმა კარგმა ქართველმა მომღერალმა გარყვნილ **მიხეილ სააკაშვილს** იმდენი უქიცინა კუდი — **არიქა, „ჩემი გმირი გიწოდეო!“** — სანამ საკუთარი თავი საბოლოოდ არ შეიჩვენა. **გავიგოთ და შევიგნოთ, რომ ის ფასეულობები, რაც ეროვნულ სამოსთან, ქამარ-ხანჯალთან, ქართველი ქალის ლეჩაქთან და მანდილთან, ასევე ქრისტიანობასთან, ოჯახის სიწმინდესთან და ჩვენს იდენტობასთან არის დაკავშირებული, ევროპაში ლგბტ წყალმა და მეწყერმა დიდი ხანია, წაიღო.** ეს აღარ არის ის ევროპა, რომელიც ქრისტიანობისა და წმინდა მიწის დასაცავად 100-ათასიან ლაშქარს თვალის დახამხამებაში კრებდა. **ეს უკვე ყოფილი ევროპაა, არაბების, აფრიკელებისა და ათასი ჯურის დევნილთა მიერ აოხრებული, წარწყმედილი და გაბახებული, სადაც ქრისტიანული ტაძრები და სალოცავები ძაღლებისა და კატების თავშესაფრებად ან მათი „საქორწინო ცერემონიალის“ ადგილებად არის ქცეული!**

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე, **მარიამ შენგელია,** რომელსაც **კონჩიტა ვურსტისათვის** კომპლიმენტი დასცდა და პარალელურად ქართველი ჩოხოსნების წრეში თავისუფლებასა და სამშობლოს უმღერის, **ევროსოდომისტებისათვის მაინც უცხო სხეულია და მათ გულს ვერაფრით მოიგებს!**

აქედან გამომდინარე, შედეგმაც არ დააყოვნა **და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო** — მარიამმა გაიზიარა აკაკის ღამურას ბედი — **ახალგაზრდა მომღერალი საქართველოშიც გაილანძღა და ევროსოდომისტებმაც მოისროლეს!** არადა, კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, წლევანდელ „ევროვიზიაზე“ თუ ვინმე იმსახურებდა გამარჯვებასა და უმაღლეს ჯილდოს, სწორედ — **მარიამ შენგელია!**

ერთი სიტყვით, **კონჩიტას სიყვარულმაც ვერ გაჭრა!**

## სამწუხაროა, რომ მარიამ შენგელიას ერთმანეთში აერია გზა ქრისტესი და გზა კონჩიტასი!

*დიტო ჩუბინიძე*

## კვირგვინოსნები



**ლევან სანიკიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*

არავის აქვს უფლება, ვინმეს განუსაზღვროს, ევროპის დღის აქციაზე მიიტანოს **იმ კაცის პოლიტპატიმრობის გასაპროტესტებელი ბანერი,** რომელმაც **პირველად აღმართა ამ ქვეყანაში ევროპის დროშა.**

„პირველი არხი“



**გიორგი ბარამიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*

მოგიწოდებთ, **დავძლიოთ ჩვენს თავში სასარგებლო იდიოტობა,** ნუ ვებრძვით **მიხეილ სააკაშვილის** ან ნებისმიერი სხვა ადამიანის პლაკატებს.

„აიპრესი“



**ანა ნიოლაძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*

გვარამია არხის მთავარ იდეოლოგად ითვლებოდა და **„მთავარის“ დახურვაზეც პასუხისმგებლობა თავიდან ბოლომდე მისია.** ბევრი გაქოცდა. **გვარამიაც ნაცი იყო,** მაგრამ აღარ არის. რა ვიცი, **ახერხებს ბიძინა, რომ ვილაცები იყიდოს.**

„რეზონანსი“



**ნიკა გვარამია**
*„კოალიცია ცვლილებისთვის“ ერთ-ერთი ლიდერი*

**„MEGOBARI აქტი“, სანქციები** — ეს ქართველი პოლიტიკოსების გარეშე არ ხდება. **ჩამოშლა, გინდა, დამხობა დაარქვით, გინდა, რეჟიმის დანგრევა, გარდაუვალია.**

„რუსთავი-2“



**ნიკა ჩიტაძე**
*ანალიტიკოსი*

ადგილობრივ არჩევნებს ნიშნავს **დე ფაქტო ხელისუფლება, რომელსაც ოპოზიცია არალეგიტიმურად მიიჩნევს** და ამიტომ ნამდვილმა ოპოზიციამ მონაწილეობა არ უნდა მიიღოს.

„რეზონანსი“

# ჯენერალისიმუსი

№20 (316) ★ 2025 წლის 19 მაისი ★ გამოდის 2003 წლიდან

რᲝᲓᲘს ᲘᲧᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲣᲤᲠᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ — 75 წლის წინათ, როცა **თბილისსა და მოსკოვს** შორის, **თბილისსა და სოხუმს** შორის, **თბილისსა და ცხინვალს *(მაშინდელ სტალინირს)*** შორის სამგზავრო მატარებლები დადიოდნენ თუ დღეს, **როცა სოხუმისა და ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმის ლიდერები მოსკოვში პარადზე დადიან და რუსეთის პრეზიდენტი მათ ზარ-ზეიმით იღებს?**

# ვაგონდება თუ არა?

# განრიგება

***მატარებლის გასვლა და მოსვლა ნაჩვენებია მოსკოვის დროით***

## სამგზავრო მატარებელთა მიმოსვლისა თბილისის სამგზავრო სადგურში 1950 წლის ზაფხულისათვის 21 მაისიდან

| თბილისიდან გადის | 75 წლის წინათ ★ | | ჩადის დანიშნულების სადგურში | თბილისში მოდის | 75 წლის წინათ ★ | | გამოდის საწყისი სადგურიდან |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სწრაფი:** №10 მოსკოვამდე | 07:05 | განსაკუთრებული განკარგულებით შაბათს, ორშაბათს, ხუთშაბათს | 20:55 | **სწრაფი:** №9 მოსკოვიდან | 06:00 | განსაკუთრებული განკარგულებით პარასკევს, კვირას, სამშაბათს | 14:00 |
| **ჩქარი:** №14 მოსკოვამდე | 19:25 | ყოველდღე | 14:30 | **ჩქარი:** №13 მოსკოვიდან | 11:45 | ყოველდღე | 15:55 |
| №16 კისლოვოდსკამდე | 00:10 | განსაკუთრ. განკარგულებით გადის ყოველი თვის 4, 9, 14, 19, 24 და 29 რიცხვს | 14:35 | №15 კისლოვოდსკიდან | 11:00 | განსაკუთრ. განკარგულებით მოდის ყოველი თვის 3, 8, 13, 18, 23 და 28 რიცხვს | 23:15 |
| **სამგზავრო:** | | | | **სამგზავრო:** | | | |
| № 41 ბაქომდე | 21:40 | ყოველდღე | 15:25 | №42 ბაქოდან | 14:55 | ყოველდღე | 21:30 |
| №44 ქუთაისამდე | 13:35 | ყოველდღე | 20:30 | №43 ქუთაისიდან | 08:15 | ყოველდღე | 00:20 |
| №46 სოხუმამდე | 21:50 | კენტ რიცხვებში | 11:45 | №45 სოხუმიდან | 14:10 | კენტ რიცხვებში | 00:01 |
| №48 ბათუმამდე | 20:25 | ყოველდღე | 09:50 | №47 ბათუმიდან | 09:15 | ყოველდღე | 20:55 |
| №50 ფოთამდე | 00:50 | ყოველდღე | 12:55 | №49 ფოთიდან | 04:30 | ყოველდღე | 17:25 |
| №51 ერევნამდე | 16:00 | ყოველდღე | 08:25 | №52 ერევნიდან | 07:30 | ყოველდღე | 15:10 |
| №53 ერევნამდე | 23:00 | ყოველდღე | 15:45 | №54 ერევნიდან | 14:30 | ყოველდღე | 22:10 |
| №55 სოჭამდე | 11:10 | ლუწ რიცხვებში | 06:25 | №55 სოჭიდან | 05:30 | ლუწ რიცხვებში | 11:20 |
| №58 ბათუმამდე | 16:20 | განსაკუთრ. განკარგულებით ლუწ რიცხვებში | 05:15 | №57 ბათუმიდან | 22:20 | განსაკუთრ. განკარგულებით კენტ რიცხვებში | 09:35 |
| №60 კრასნოდარამდე | 12:30 | განსაკუთრ. განკარგულებით კენტ რიცხვებში | 05:05 | №59 კრასნოდარიდან | 05:00 | განსაკუთრ. განკარგულებით კენტ რიცხვებში | 11:30 |
| №62 როსტოვამდე | 12:30 | ლუწ რიცხვებში | 06:23 | №61 როსტოვიდან | 05:00 | ლუწ რიცხვებში | 11:25 |
| №63 წნორისწყლამდე | 10:35 | ყოველდღე | 19:05 | №64 წნორისწყლიდან | 05:35 | ყოველდღე | 20:55 |
| №65 წნორისწყლამდე | 18:50 | ყოველდღე | 03:20 | №66 წნორისწყლიდან | 13:40 | ყოველდღე | 05:00 |
| №67 თელავამდე | 21:10 | ყოველდღე | 06:25 | №68 თელავიდან | 16:55 | ყოველდღე | 07:45 |
| №70 ბორჯომამდე (სექცია) | 08:30 | ყოველდღე | 13:05 | №69 ბორჯომიდან (სექცია) | 20:55 | ყოველდღე | 16:30 |
| №72 ბორჯომამდე (სექცია) | 18:00 | ყოველდღე | 22:30 | №71 ბორჯომიდან (სექცია) | 08:45 | ყოველდღე | 04:15 |
| №76 ვალემდე | 22:30 | ყოველდღე | 07:00 | №75 ვალედან | 17:30 | ყოველდღე | 07:35 |
| №78 ხაშურამდე | 05:43 | ყოველდღე | 10:25 | №77 ხაშურიდან | 19:15 | ყოველდღე | 15:20 |
| №80 სტალინირამდე | 16:50 | ყოველდღე | 21:35 | №79 სტალინირიდან | 06:30 | ყოველდღე | 01:20 |
| **საგარეუბნო:** | | | | **საგარეუბნო:** | | | |
| №102 გორამდე (სექცია) | 10:10 | ყოველდღე | 12:35 | №101 გორიდან (სექცია) | 15:45 | ყოველდღე | 13:20 |
| №103 მთ. არხამდე (სექცია) | 05:25 | ყოველდღე | 06:40 | №104 მთ. არხიდან (სექცია) | 08:20 | ყოველდღე | 07:00 |
| №105 ყარაიამდე (სექცია) | 09:15 | ყოველდღე | 10:35 | №106 ყარაიიდან (სექცია) | 12:25 | ყოველდღე | 11:00 |
| №107 მთ. არხამდე (სექცია | 14:40 | ყოველდღე | 15:55 | №108 მთ. არხიდან (სექცია | 17:35 | ყოველდღე | 16:20 |
| №109 მთ. არხამდე (სექცია) | 18:30 | ყოველდღე | 19:35 | №110 მთ. არხიდან (სექცია) | 21:00 | ყოველდღე | 19:55 |
| №111 მთ. არხამდე (სექცია) | 07:35 | ყოველდღე | 08:43 | №112 მთ. არხიდან (სექცია) | 10:20 | ყოველდღე | 09:01 |
| №113 სოღანლუღამდე | 03:55 | ყოველდღე | 04:45 | №114 სოღანლუღიდან | 06:10 | ყოველდღე | 05:05 |
| №115 სოღანლუღამდე | 06 :45 | ყოველდღე | 07:36 | №116 სოღანლუღიდან | 09:00 | ყოველდღე | 08:05 |
| №117 სოღანლუღამდე | 16:45 | ყოველდღე | 17:41 | №118 სოღანლუღიდან | 19:00 | ყოველდღე | 18:05 |
| №122 მცხეთამდე (სექცია) | 06:10 | ყოველდღე | 06:55 | №121 მცხეთიდან (სექცია) | 07:52 | ყოველდღე | 07:06 |
| №124 მცხეთამდე (სექცია) | 15:05 | ყოველდღე | 15:50 | №123 მცხეთიდან (სექცია) | 17:05 | ყოველდღე | 16:08 |
| №126 მცხეთამდე (სექცია) | 23:10 | განსაკუთრ. განკარგულებით | 23:57 | №125 მცხეთიდან (სექცია) | 01:05 | განსაკუთრ. განკარგულებით | 00:11 |

გიორგი ბეზირგანი

# დანა ბელადის



# აბელის ღალატი

დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“, 2025 წლის №17-19

***ბიბლიური თქმულება ორ ძმაზე — აბელსა და კაენზე ჭეშმარიტად უკვდავია. და საუკუნიდან საუკუნემდე, წლიდან წლამდე მეორდება. კაენს მასში უცვლელად უმოწყალო და ვერაგი მკვლელის დამღა აზის, აბელს კი — მსხვერპლისა. მაგრამ ხდება ხოლმე, რომ ეს უძველესი ლეგენდა ახალი, უჩვეულო სახით წარმოგვიდგება, რომელშიც აბელი ძმას ღალატობს და სიკვდილს იმსახურებს. ასე გაცოცხლდა ეს იგავი რეალურ ცხოვრებაში, ორ რეალურ ადამიანს, ორ კლასობრივ, პარტიულ ძმას შორის, რომლებმაც თავიანთი სიყმაწვილის გარიჟრაჟზე ერთი საქმისათვის მსახურების ფიცი დადეს. ეს შეშლილი და მძვინვარე მე-20 საუკუნის 30-იანი წლების შუაში მოხდა, როდესაც ადამისა და ევას ცოდვიანი შთამომავლები თავად ეპოქამ გამიჯნა უხილავი ბარიკადების კედლით...***

... აბელ ენუქიძე და იოსებ ჯუღაშვილი თითქმის თანატოლები იყვნენ (აბელი სულ ორი წლით იყო უფროსი). ისინი ერთდროულად შევიდნენ პარტიაში — საქართველოში მარქსისტული წრეების ჩამოყალიბების მომენტში — 1898 წელს. და ჭაბუკობიდანვე მტკიცე მამაკაცური მეგობრობა აკავშირებდათ. ამ მეგობრობის საფუძველი იყო ერთობლივი მუშაობა პარტიული უჯრედების, იატაკქვეშა ტიპოგრაფიების, მუშათა გაფიცვების ორგანიზებისთვის. 1917 წლის ოქტომბერში პეტროგრადის შეიარაღებული აჯანყების ორომტრიალში აბელი იოსების გვერდითაა. შემდგომში კი მისი ნდობით აღჭურვილი პირი ხდება საბჭოთა ხელისუფლების მთავარ შტაბში — მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში.

მეტსაც გეტყვით. აბელ ენუქიძე იოსებ სტალინის თითქმის ნათესავი იყო, მისი ცოლის — მათი საერთო პარტიული ამხანაგის, ძველ ბოლშევიკ სერგო ალილუევის ქალიშვილის — ნადეჟდას ნათლია.

მაშ, რამ გადაისროლა ეს ორი ადამიანი, თითქმის ძმა, ბარიკადის სხვადასხვა მხარეს?

ხრუშჩოვის კონცეფციის თანახმად, რომელიც მან მე-20 ყრილობაზე წამოაყენა, აბელს „სტალინიზმის უმანკო მსხვერპლთა“ რიცხვში მოიხსენიებენ. და კაენად აქ, ბუნებრივია, „სასტიკი ტირანი“ იოსებ სტალინი წარმოგვიდგება.

მაგრამ ნებისმიერ მკვლელობაში ფრიად მნიშვნელოვანია მოტივი. რა იყო აბელ ენუქიძის „მკვლელობის“ მოტივი? და საერთოდ, იყო თუ არა ეს მკვლელობა?

ხრუშჩოვის დამქაშები ამ რთულ კითხვებზე დაწვრილებით პასუხებს არ იძლევიან. ვცადოთ, იქნებ ჩვენ ვუპასუხოთ.

●

სტალინის ახალგაზრდობის მეგობარი, ძველი ბოლშევიკი **სერგო ქავთარაძე** ამ სტრიქონების ავტორს უყვებოდა, რომ აბელის მიერ 20-იან წლებში გამოცემულმა ბროშურამ „იატაკქვეშა ტიპოგრაფიები კავკასიაში“ ბელადის უკმაყოფილება გამოიწვია. თუმცა, გარეგნულად არაფრით შეუმჩნევია, მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ წიგნი ხელში შეატრიალა და დაცინვით თქვა: **„აი, ჩვენი აბელიც მწერალი გახდა“** — ბევრის მთქმელია. „ეგ წიგნი წავიკითხე, — თქვა იქ მყოფმა მოლოტოვმა, — ჩემი აზრით, ლიბერალურ-მენშევიკური სულისკვეთებით არის შედგენილი და უხეში დამახინჯებებითაა სავსე.“ სტალინი დუმდა. „ხომ არ გეჩვენება, კობა, — განაგრძო მოლოტოვმა, — რომ აბელი მეტისმეტად ბუქავს თავის როლს და თითქმის არ იხსენიებს შენსას?“ სერგო ქავთარაძის სიტყვით, მოლოტოვის აზრი მანაც დაადასტურა. **„ის, რომ ამ წიგნში ამხანაგი კობა არ იხსენიება, დიდი უბედურება არ არის, —** თქვა ბოლოს სტალინმა, **— ამხანაგ კობას ამისგან არც სცივა, არც სცხელა. ამხანაგ კობას ისედაც ბევრი დამსახურება აქვს პარტიის წინაშე. მაგრამ ულამაზოა, რომ ამხანაგმა აბელმა თავის წიგნში პირწმინდად დაივიწყა ლადო კეცხოველის როლი. არადა, მისი მონაწილეობა იატაკქვეშა ტიპოგრაფიების მოწყობაში გადამწყვეტი იყო, როლი კი — ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ჩვენი.“**

... მოვლენებს გავუსწრებთ და გაუწყებთ, რომ 30-იან წლებში ა. ენუქიძის მიერ შევსებული და რედაქტირებული ნაშრომი მასობრივი ტირაჟით გამოიცა. სტალინი და კეცხოველი მასში გაკვრით არიან ნახსენები. ბაქოში იატაკქვეშა ტიპოგრაფია „ნინას“ მთავარ ორგანიზატორად მასში თავად ავტორია დასახელებული. იგივეა ნათქვამი ტფილისის ავლაბრის ტიპოგრაფიაზეც.

●

... ხრუშჩოვული „დათბობის“ და გორბაჩოვისეული „გარდაქმნის“ პერიოდის მთელ რიგ პუბლიკაციებში აბელ ენუქიძე „სტალინური რეპრესიების“ თავგამოდებულ მოწინააღმდეგედ, პატიმართა და მათი ოჯახების ინტერესების დამცველად წარმოგვიდგება.

**„პატიმართა ცოლებმა იცოდნენ, რომ ენუქიძე ერთადერთია, ვისთვისაც დასახმარებლად მიმართვა შეეძლოთ. საპ-ი სასჯელის შემსუბუქების თითქმის ყველა თხოვნას აკმაყოფილებდა, თუ ის ენუქიძის ხელში ხვდებოდა ან თუ პატიმრის ცოლი მასთან მიღებაზე მოხვედრას მოახერხებდა...“** — ნათქვამია ერთ-ერთ ასეთ პუბლიკაციაში.

ყურადღება მივაქციოთ ორჯერ გამეორებულ სიტყვა „ცოლს“. და ვცადოთ გარკვევა, რას ემყარებოდა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის აბელ ენუქიძის „ჰუმანიზმი“...

●

**მარია სვანიძის** (*სტალინის პირველი ცოლის ძმის ალიოშა სვანიძის მეუღლე*) **დღიურიდან:**

**„მოსკოვში ხმა დადის, რომ საკმარისია, ქალს ლამაზი სახე და შესაფერისი ფიგურა ჰქონდეს, ქმარს, ძმას თუ ნათესავს უპრობლემოდ გამოიხსნის ციხიდან იმის მიუხედავად, რა დანაშაული აქვს ჩადენილი. ამისათვის მხოლოდ საპ-ში უნდა მიმართოს აბელ ენუქიძეს. რა საზღაურს მოსთხოვენ ამისათვის — სხვა საქმეა. პირადად მე ეს არ მჯერა — არ შეიძლება აბელი, იოსების მეგობარი, ძველი ბოლშევიკი ასე იქცეოდეს. არა, ეს, უბრალოდ, შეუძლებელია...“** (*1933 წლის სექტემბერი*).

●

**მაგრამ გაივლის დრო და იმავე დღიურში სხვა ჩანაწერი ჩნდება** (*1935 წლის მაისი*):

**„კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება. აბელთან დაკავშირებით ბინძური ჭორები, ჩემდა სამწუხაროდ, დადასტურდა. ირკვევა, რომ რევოლუციის შემდეგ 17 წლის განმავლობაში აბელს თავის გარშემო სიმყრალის გავრცელების გარდა არაფერი უკეთებია.** მას სხვებისათვის მიუწვდომელი ყველანაირი ცხოვრებისეული სიკეთე ეპყრა ხელთ, მაგრამ მათ საკუთარი ბინძური მიზნების მისაღწევად იყენებდა და ქალებსა და ქალწულებს ყიდულობდა. გული მერევა, ამას რომ ვწერ. მაგრამ ფაქტებს ვერსად წაუხვალ. ამ ფაქტებზე კი ახლა მხოლოდ ქუჩებში როდი ლაპარაკობენ. ეგ კი არა, **თავისი მდგომარეობის გამოყენებით აბელი ყოველ წელიწადს სულ უფრო ნორჩებს ირჩევდა და ბოლოს 9-11 წლის გოგონებზე გადავიდა...** დედები, რომლებსაც შესაფერისი ასაკის ქალიშვილები ჰყავთ, მთლიანად მართავენ აბელს, თავად **ბავშვებს კი მობეზრების შემდეგ სხვა კაცებს აჩეჩებენ, აბელის ხელქვეითებს...** დაწესებულებაში, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, შტატებს მხოლოდ სქესობრივი ნიშნით არჩევენ.“

●

**სკპ (ბ) ცკ-ის 1935 წლის 5-7 ივნისს ჩატარებულმა პლენუმმა** სხვა საკითხებთან ერთად „საპ-ის სამდივნოს სამსახურებრივი აპარატის და ამხ. ენუქიძის“ საკითხიც განიხილა. პლენუმის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ამასთან დაკავშირებით ნათქვამია:

„1. მოწონებული იქნეს საკონტროლო ორგანოების ღონისძიებები სსრ კავშირის საპ-ის სამდივნოს სამსახურებრივი აპარატის შემოწმებასა და ხარისხობრივ გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

**2. პოლიტიკური და მორალურ-საყოფაცხოვრებო გახრწნილებისათვის ამხ. ა. ენუქიძე გათავისუფლდეს საპ-ის მდივნის თანამდებობიდან, გამოყვანილი იქნეს სკპ (ბ) ცკ-ის შემადგენლობიდან და გაირიცხოს პარტიის რიგებიდან.“**

●

... მაღალი თანამდებობიდან მოხსნისა და პარტიიდან გარიცხვის მიუხედავად, სტალინმა ძველი მეგობარი დაინდო. ის სამუშაოდ ტფილისში გააგზავნეს და კავკასიის კურორტების მმართველის საკმაოდ პრესტიჟული თანამდებობა მისცეს. ამ პოსტზე ენუქიძე ცხოვრების სიკეთეებით სარგებლობას აგრძელებდა.

1936 წლის ზაფხულში, როდესაც აბელ ენუქიძე შეიტყობს, რომ ზინოვიევისა და კამენევის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრული (მეორედ) და მათ კიროვის მკვლელობის ორგანიზებაში ადანაშაულებენ, მოსკოვში მიეშურება, სტალინს ხვდება, ძველ მეგობრობას აფიცებს და სთხოვს, არ დააპატიმროს ისინი. მოგვიანებით ის ასე მოუთხრობს ამის შესახებ ერთ-ერთ ხელქვეითს (მ. ქუმარიტაშვილს):

„მე ვუთხარი: „სოსო, უდავოა, მათ ზიანი მოგაყენეს, მაგრამ ამისათვის უკვე საკმარისად დაისაჯნენ, შენ ისინი პარტიიდან გარიცხე, არანაირი სამსახური არ აქვთ, მათი შვილები შიმშილობენ. ისინი ძველი ბოლშევიკები არიან, როგორც შენ და მე. შენ ხომ ძველი ბოლშევიკების სისხლს არ დაღვრი. იფიქრე, რას იტყვის ამაზე მთელი მსოფლიო.“ მან ისეთი თვალებით შემომხედა, თითქოს მამის მკვლელი ვიყავი და მითხრა: **„დაიმახსოვრე, აბელ, ვინც ჩემთან არ არის, ის ჩემი მტერია.“**

●

**მარია სვანიძის დღიურიდან** (*1936 წლის აგვისტო*):

„... მერე იოსებმა მკითხა, კმაყოფილი ვარ თუ არა, რომ აბელი დაისაჯა. და გაიღიმა — იცოდა, როგორ სულით და გულით მეზიზღებოდა ენუქიძე მისი გარყვნილებისათვის, მისი სურვილისა და მისწრაფებისათვის, გარშემო ყველა და ყველაფერი გაეხრწნა. ვუთხარი, რასაც ვფიქრობდი. ვუთხარი, რომ აღარ მჯეროდა, თუ სამართლებრივი სახელმწიფო გვქონდა, თუ სადმე სამართლიანი სასამართლო მოიძებნებოდა. ახლა კი არა მხოლოდ კმაყოფილი, არამედ ბედნიერი ვარ, რომ ამ ობიექტური სასამართლოს როლი ცკ-მ შეასრულა. ბოლო მოუღო გახრწნილებას, მოსპო გარყვნილების ბუდე. იოსებმა მომისმინა, ღრმად ჩაფიქრდა და მითხრა: **„მხედველობაში იქონიე, მარუსია, სამართლებრივი სახელმწიფო ერთ ან ორ დღეში არ შენდება. ჩვენ წლები და ათწლეულებიც კი დაგვჭირდება მის ასაშენებლად.“ მთელი უბედურება, ალბათ, ის არის, რომ იოსებს ცოტა ჰყავს საიმედო თანაშემწე და ახლობელი ადამიანები ღალატობენ...“**

●

ა. ენუქიძის წუხილი ზინოვიევ-კამენევის, მათ კვალდაკვალ კი სხვა ოპოზიციონერთა დაპატიმრების გამო გასაგები გახდება, თუ **შინაგან საქმეთა ყოფილი სახკომის გენრიხ იაგოდას** პატიმრობისას მიცემული ჩვენებიდან მოვიყვანთ ნაწყვეტს:

**„... 1934 წლის ზაფხულში ენუქიძემ შემატყობინა ტროცკისტულ-ზინოვიევური ცენტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კიროვის მკვლელობის შესახებ.** ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ჯგუფები კონკრეტულად ამზადებდნენ ამ მკვლელობას. **ენუქიძე მოითხოვდა, ამ საქმეში დაბრკოლება არ შემექმნა.** ის ცენტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. ასე რომ, მის სიტყვებს ჩემთვის, როგორც დიდი ხნის წინ გადაბირებულისთვის, პირდაპირი ბრძანების ძალა ჰქონდა. ურჩობას შეიძლება არასასურველი შედეგი გამოეწვია, თვით ჩემი განადგურებაც კი. იძულებული ვიყავი, ამ დანაშაულებრივ განკარგულებას დავმორჩილებოდი, ზაპოროჟეცი გამოვიძახე, რომელსაც იმ დროს ლენინგრადის და ლენინგრადის ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობა ეკავა და ვუბრძანე, კიროვზე ტერორისტული აქტის განხორციელებისთვის ხელი არ შეეშალა. ზაპოროჟეცი ჩემი დანიშნული გახლდათ. ბევრი რამით იყო დავალებული ჩემგან, თანაც მასზე სათანადო კომპრომატი მქონდა. ბუნებრივია, ის დამემორჩილა. გარკვეული ხნის შემდეგ ზაპოროჟეცმა მომახსენა, რომ ლენინგრადის შინსახკომის ორგანოებმა სმოლნიში ნიკოლაევი დააკავეს, რომელსაც რევოლვერი და კიროვის მარშრუტი აღმოუჩინეს. ზაპოროჟეცის პირდაპირი განკარგულებით ნიკოლაევი გაათავისუფლეს. ამ ეპიზოდის შესახებ იმავე დღეს ვაცნობე ენუქიძეს. მაშინ მან თქვა, რომ ყველაფერი ისე მიდის, როგორც საჭიროა...“

●

ენუქიძე ზინოვიევ-კამენევის და პიატიკოვ-რადეკის პროცესების შემდეგ დააპატიმრეს. ის დახურულ სხდომაზე გაასამართლეს. 1937 წლის 19 დეკემბერს გაზეთებში გამოჩნდა მოკლე ცნობა, რომ ა. ენუქიძეს და მის ხუთ თანამზრახველს სამშობლოს ღალატისთვის დახვრეტა მიესაჯათ და განაჩენი სისრულეშია მოყვანილი.

## ზურგში ★

***ი. სტალინისთვის ლენინგრადში კიროვის ავაზაკურ მკვლელობაზე არანაკლები (თუ მეტი არა) დარტყმა აღმოჩნდა მისი ერთ-ერთი უახლოესი თანამოსაგრისა და პირადი მეგობრის სერგო ორჯონიკიძის აღსასრული. ეს დანაკარგი არა მხოლოდ ბელადის, არამედ პარტიისა და მთელი ქვეყნისთვის აუნაზღაურებელი იყო. საბჭოთა რანგების ტაბელში ორჯონიკიძე სტალინის შემდეგ მეორე მიდიოდა, ის პოლიტბიუროს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი წევრი და მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი, ფაქტობრივად, სოციალისტური ინდუსტრიის მთავარსარდალი იყო. მაშ, რა მოხდა? რამ აიძულა სტალინის რკინის სახკომი, ცხოვრებას გაქცეოდა?***

# სერგოს დეზერტირობა



**1937 წლის თებერვალში,** მალევე სერგოს ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ, დედაქალაქის პარტიული აქტივის წინაშე გამოსვლისას სკპ (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ხრუშჩოვმა ამ კითხვას ასე უპასუხა:

„ჩვენ, მოსკოველი ბოლშევიკები და ყველა მშრომელი, ჩვენს წყევლა-კრულვას, სიძულვილს და ზიზღს ვუგზავნით მუშათა კლასის მტრებს, საზიზღარ მოღალატეებს — ტროცკისტებს, ზინოვიეველებს და მემარჯვენეებს. თავიანთი ღალატით, გამცემლობით, ჯაშუშობით, მავნებლობით სწორედ მათ მიაყენეს დარტყმა შენს გულს, ამხანაგო სერგო...“

**1956 წლის თებერვალში,** სკკპ მე-20 ყრილობის დელეგატების წინაშე გამოსვლისას იგივე ნ. ხრუშჩოვი, ოღონდ ამჯერად ცკ-ის პირველი მდივნის რანგში, დიამეტრულად საპირისპირო პასუხს იძლევა:

„სტალინმა დაუშვა ორჯონიკიძის ძმის განადგურება, თავად ორჯონიკიძე კი ისეთ მდგომარეობამდე მიიყვანა, რომ ეს უკანასკნელი იძულებული გახდა, თავი მოეკლა...“

ამ ორი პასუხიდან რომელს ვერწმუნოთ? ვინ არის დამნაშავე სერგოს სიკვდილში — „ტროცკისტები, ზინოვიეველები და მემარჯვენეები“ თუ სტალინი? და, საერთოდ, რა მოხდა 1937 წლის 18 თებერვლის პირქუშ დღეს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის კრემლის ბინაში?

•

ტროცკისტებით დავიწყოთ. წლების განმავლობაში მძიმე მრეწველობის სახკომის პირველი მოადგილე იყო აქტიური ტროცკისტი იური პიატაკოვი. ტროცკის გადასახლების შემდეგ მან ოფიციალურად განაცხადა თავის მეთაურთან კავშირის გაწყვეტის შესახებ. მაგრამ ფარულად აგრძელებდა შერისხულ ლიდერთან ურთიერთობას. ეს შინსახკომის ორგანოებმა შეიტყვეს, პიატაკოვი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს და ერთ-ერთი ელექტროსადგურის დირექტორად მიავლინეს. იგრძნო რა, რომ მის გარშემო წრე ვიწროვდებოდა, პიატაკოვი შინაგან საქმეთა მაშინდელ სახკომს ეჟოვს შეხვდა და „ნებისმიერი ფორმით რეაბილიტაცია“ სთხოვა, კერძოდ, **შესთავაზა, რომ „პირადად დახვრეტდა ტროცკისტების პროცესზე ყველა სიკვდილმისჯილს, მათ შორის თავის ყოფილ ცოლს“** (ნ. ეჟოვის მოხსენებითი ბარათიდან ი. სტალინის სახელზე).

განვმარტავთ პიატაკოვის წინადადებას: წინა დღეს ამხილეს და დააპატიმრეს ტროცკისტების ჯგუფი, რომელთა შორის პიატაკოვის ყოფილი ცოლიც იყო. მათ მიწერ-მოწერა ჰქონდათ შერისხულ ტროცკისთან და მისი პირდაპირი მითითებით ქვეყანაში მავნებლობას და დივერსიებს ეწეოდნენ. მზადდებოდა ამ ბანდის სასამართლო პროცესი და აი, სასჯელისაგან თავის დაძვრენის მიზნით, პიატაკოვი ჯალათის როლს კისრულობს.

რაღა თქმა უნდა, ორჯონიკიძეზე, რომელიც ყოველთვის მამასავით ეპყრობოდა თავის მოადგილეს, პიატაკოვის მოხსნა, განსაკუთრებით კი ჯალათობისთვის მისი მზადყოფნა (ეჟოვის მოხსენებითი ბარათი მას სტალინმა გააცნო — აი, ნახე, რა მოადგილე გყავსო) მძიმე, დამთრგუნველი შთაბეჭდილება მოახდინა. მისი მეუღლის ზინაიდა გავრილოვნას მოწმობით, **სტალინისაგან დაბრუნებული სერგო იმავე დღეს ლოგინად ჩავარდა, მას სტენოკარდიის მწვავე შეტევები განუახლდა, რომლებიც რამდენიმე წლის განმავლობაში სტანჯავდა.**

•

პიატაკოვი მისმა თხოვნამაც ვერ იხსნა. შინსახკომს მოხალისე ჯალათები არ სჭირდებოდა. 1936 წლის 21 აგვისტოს ის დააპატიმრეს და, ყველაფრიდან გამომდინარე, სწორედ იმ პროცესზე მოუწევდა გასამართლება, რომლის განსასჯელთა პირადად დახვრეტაზეც ოცნებობდა.

რას აკეთებს მომჯობინებული სერგო ორჯონიკიძე?

ის გადაწყვეტილებას იღებს, პირადად შეხვდეს ყოფილ თანაშემწეს და თვითონ გაერკვეს ყველაფერში, რადგან არც ეჟოვს ენდობა, არც — შინსახკომს.

ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად სერგო ლუბიანკაზე მივიდა და მოითხოვა, დაპატიმრებულთან პირისპირ გასაუბრების შესაძლებლობა მიეცათ. ბუნებრივია, პოლიტბიუროს წევრს, ფაქტობრივად, სახელმწიფოს მეორე პირს ლუბიანკის მესვეურებმა ამ მოთხოვნაზე უარი ვერ უთხრეს.

აი, როგორ მოგვითხრობდა შემდგომში ამ ვიზიტის შესახებ შინაგან საქმეთა სახკომის მოადგილე აგრანოვი:

„გამოძიებაში მყოფი პიატაკოვი ერთ-ერთ კაბინეტში მიიყვანეს. მის დანახვაზე ორჯონიკიძე სწრაფად გაემართა წინ და ხელები გაშალა, თითქოს უნდოდა, ყოფილ თანაშემწეს გადახვეოდა, მაგრამ პიატაკოვს, წესისამებრ, ხელები ზურგს უკან ელაგა. „იური, — ხმამაღლა უთხრა სერგომ, — მე მოვედი, როგორც მეგობარი, მიუხედავად ყველაფრისა. შენთვის დიდი ბრძოლა გადავიტანე და ამ ბრძოლას არც შევწყვეტ. შენზე **იმას** ველაპარაკე... თუ არაფერში ხარ დამნაშავე, შენს გათავისუფლებას მივაღწევ.“ ამის შემდეგ ორჯონიკიძემ გვანიშნა მე და მებადრაგეებს, რომ ისინი მარტო დაგვეტოვებინა. საუბარი დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა. როდესაც გამოძახების ზარი გაისმა, მე და მებადრაგეები კაბინეტში შევედით. ორჯონიკიძე და პიატაკოვი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. სერგოს მზერა დავიჭირე და მივხვდი, რომ პატიმრის წაყვანის დრო იყო. ერთი სიტყვაც აღარ თქმულა. როდესაც პიატაკოვი გაჰყავდათ, სერგომ მხოლოდ მხრები აიჩეჩა. ამის შემდეგ დათრგუნვილმა უსიტყვოდ დატოვა შენობა. რაზე ისაუბრეს მთელი საათი, ჩემთვის უცნობია.

ჩვენ კი ვეცადოთ და გამოვიცნოთ. როგორც ჩანს, პიატაკოვი ყოფილ პატრონს ყველაფერში გამოუტყდა. და მას აღარაფრის გაკეთება ძალუძდა. ასე იყო თუ ისე, **პიატაკოვთან შეხვედრის შემდეგ ორჯონიკიძეს კიდევ ერთი სტენოკარდიული შეტევა დაემართა.**

ასეთია ვითარება სერგოს დაღუპვაში ტროცკისტების მონაწილეობასთან დაკავშირებით.

•

ახლა გავერკვეთ, რა შეემთხვა სერგოს ძმას პაპულიას, რომელიც სტალინმა „გაანადგურა“.

პაპულია ორჯონიკიძე სერგოს უფროსი ძმა იყო. და თუ უმცროსი ძმის იმპულსურობა და ენერგია მუშაობაში, უმძლავრესი საბჭოთა ინდუსტრიის შექმნისათვის გიგანტურ შრომაში იხარჯებოდა, უფროსი მას ღრეობასა და გარყვნილებაში ფლანგავდა. პოლიტბიუროს წევრთან ნათესაობის წყალობით მას კავკასიის რკინიგზის პოლიტსამმართველოს უფროსის საკმაოდ თვალსაჩინო პოსტი ეკავა და აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდა. უმცროს ძმასთან პაპულიას, რბილად რომ ვთქვათ, დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. არაფრად აგდებდა მას და სახალხოდ ეძახდა „გადაგვარებულს“, „ულვაშა ღორს“ და სხვა, არანაკლებ „სასიამოვნო“ სიტყვებს. ასევე არასახარბიელოდ მოიხსენიებდა პაპულია სტალინს და მის მიერ გატარებულ პოლიტიკას. საკმარისია ითქვას, რომ **ტფილისში ჩამოსვლისას სერგო ღვიძლ ძმასთან კი არა, პირველ მდივანთან ლ. ბერიასთან ცხოვრობდა ხოლმე.**

ერთხელ, პაპულიას მორიგი გამოხტომის შემდეგ, ბერიამ ის ცკ-ში გამოიძახა და ჭკუაზე მოყვანა სცადა. პაპულიამ სამსართულიანი გინებით უპასუხა. ბერია გაცხარდა და გაეთრიეო — უბრძანა. პაპულიამ, რომელიც, როგორც ყოველთვის, მთვრალი იყო, მაგიდიდან მასიური საფერფლე აიტაცა და ბერიასკენ გაიწია. ხმაურის გაგონებაზე კაბინეტში დაცვის თანამშრომლები შემოცვივდნენ და დებოშიორი გაიყვანეს. ბერია მაშინვე პირდაპირი ხაზით დაუკავშირდა სტალინს და ეს ინციდენტი მოახსენა. „გვეყო მაგასთან ლოლიაობა, — თქვა სტალინმა, — ეს უკვე ყოველგვარ ზღვარს სცილდება.“ „გეთანხმებით, ამხანაგო სტალინ, — უპასუხა ბერიამ, — მაგრამ, თვითონაც ხვდებით, ზომებს მხოლოდ ამხანაგ სერგოს გამო არ ვღებულობ.“ „სერგო გაგვიგებს,“ — უთხრა სტალინმა და ყურმილი დაკიდა.

იმავე დღეს პაპულია დააპატიმრეს.

ნუთუ საჭიროა იმის თქმა, რომ **მისმა დაპატიმრებამ სერგოს ავადმყოფ გულს კიდევ ერთი დარტყმა მიაყენა.**

სამედიცინო დასკვნიდან:

„ამხ. გ. კ. ორჯონიკიძეს ათეროსკლეროზი ჰქონდა გულის კუნთისა და გულის სისხლძარღვების მძიმე სკლეროზული ცვლილებებით... ორი წლის განმავლობაში ამხ. ორჯონიკიძეს ხანგამოშვებით სტენოკარდიის (გულის ანგინის) და გულის ასთმის შეტევები ემართებოდა. უკანასკნელი ასეთი შეტევა, რომელიც ძალზედ მძიმედ მიმდინარეობდა, 1936 წლის ნოემბრის დასაწყისში მოხდა. 18 თებერვლის (1937 წლის) დილიდან ამხ. ორჯონიკიძეს არაფერზე დაუჩივლია, ხოლო 17 საათსა და 30 წუთზე, დასვენების დროს, მოულოდნელად თავი ცუდად იგრძნო და რამდენიმე წუთში გულის დამბლით გარდაიცვალა. სავარაუდოდ, ამხ. ორჯონიკიძეს გულის ასთმის უმწვავესი შეტევა დაეწყო.“

ამ დასკვნას ხელი მოაწერეს ჯანმრთელობის დაცვის სახკომმა კამინსკიმ, კრემლის სამკურნალო-სანიტარიული სამმართველოს უფროსმა ხოდოროვსკიმ, კონსულტანტმა პროფესორმა ლევინმა, მკურნალმა ექიმმა მეცმა. და ამ დოკუმენტში ყველაფერი სიმართლეა. დიაგნოზი ზუსტად არის დასმული და ექიმების ვარაუდი გამართლდა — გაკვეთამ აჩვენა, რომ ავადმყოფს მართლაც გულის ასთმის შეტევა ჰქონდა, იწყებოდა ფილტვების შეშუპება. მხოლოდ ერთი „წვრილმანია“ — გულის გაჩერების მიზეზი მითითებული არ არის. ის ხომ თვითონ არ გაჩერებულა. სერგო, რომელიც სულის ხუთვისაგან იგუდებოდა, მას სამოქალაქო ომის დროიდან შემორჩენილი ძველი რევოლვერით „დაეხმარა“.

•

**მოგვითხრობს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ყოფილი თანამშრომელი რ. მედვედევი:**

„17 თებერვალს სერგო მთელი დღე სახკომატში მუშაობდა. როგორც ყოველთვის, გვიანობამდე შემორჩა. უამრავ ქაღალდს მოაწერა ხელი, შეხვდა და ესაუბრა განყოფილებების და სამმართველოების უფროსებს, მომდევნო დღისთვისაც ბევრი შეხვედრა დანიშნა. მაგრამ დილით ის სახკომატში არ მოსულა. ზინაიდა გავრილოვნამ (*ორჯონიკიძის მეუღლე — რედ.*) დარეკა და შეგვატყობინა, რომ ის შეუძლოდ არის და დღეს სახლში იწვება. საღამოს პირას საქმიანი ქაღალდები ავიღე და მასთან გავემგზავრე. ბინის კართან მიახლოებისას უცნაური ხმა მომესმა, თითქოს ბოთლიდან საცობი ამოვარდა. კარი შინამოსამსახურემ გამიღო. შევედი და ყვირილი გავიგონე. ზინაიდა გავრილოვნა ყვიროდა. ის კაბინეტში შევიდა და მკვდარი სერგო ნახა. ეს საშინელი სურათი მეც დავინახე. სერგო ღრმა სავარძელში გადასვენებულიყო. მარჯვენა ხელი უღონოდ ეკიდა, იატაკზე კი რევოლვერი ეგდო...“

•

**იხსენებს სახკომატის ერთ-ერთი თანამშრომელი ს. გინზბურგი:** „ტრაგედიის შესახებ რომ შევიტყვეთ, საღამოს რვა საათისთვის სხვა თანამშრომლებთან ერთად სერგოს ბინაში მივედით. მეორე სართულზე ავედით და დიდ ოთახში შევედით, სადაც ბევრი ჩვენთვის უცნობი ადამიანი ირეოდა. ერთადერთი, ვისაც სახეზე ვიცნობდი, კაგანოვიჩის ძმა მიხეილი და სერგოს დისშვილი გვახარია იყვნენ. ზინაიდა გავრილოვნამ მეზობელ ოთახში შეგვიყვანა. საწოლზე მხრებამდე საბანგადაფარებული სერგო იწვა. სახე გაფითრებული, მაგრამ რაღაცნაირი მშვიდი ჰქონდა, გეგონებოდათ, სძინავსო. საწოლთან სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, მიქოიანი და ხრუშჩოვი იდგნენ. ცოტა ხანს ჩვენც ვიდექით და გამოვედით...

•

20 თებერვლის ღამეს სხეულს კრემაცია ჩაუტარდა. მეორე დილას კი კრემლის კედელთან დაკრძალვა შედგა.

•

**მიქოიანი უყვებოდა დევი სტურუას,** რომ 1937 წლის თებერვლის დასაწყისში ის, ორჯონიკიძე და ვოროშილოვი სეირნობდნენ და საუბრობდნენ. მოულოდნელად სერგომ საუბრის თემასთან სრულიად დაუკავშირებლად თქვა: „აქვს თუ არა ადამიანს თვითმკვლელობის უფლება?“ და თვითონვე უპასუხა: „ყველაფერი გარემოებებზეა დამოკიდებული.“ „სერგოს დაკრძალვის შემდეგ, ყვებოდა მიქოიანი, — ეს სიტყვები სტალინს გადავეცი. მან ჯიქურ შემომხედა, თვალები მოჭუტა და მითხრა: „დეზერტირია შენი სერგო, გესმის? დეზერტირი.“

***გაგრძელება იქნება***

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔᲛ** 2025 წლის 13 მაისს სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა **ღია წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ᲓᲝᲜᲐᲚᲓ ᲢᲠᲐᲛᲞᲘᲡᲐ და ვიცე-პრეზიდენტ ᲯᲔᲘ ᲓᲘ ᲕᲔᲜᲡᲘᲡᲐᲓᲛᲘ.**

პრემიერ კობახიძის წერილს ლაიტმოტივად გასდევს სამართლიანი გაკვირვება, გულისწყვეტა და საყვედურნარევი ტონი იმის გამო, რომ **თეთრი სახლის დღევანდელი ლიდერები პოლიტიკურ უგულისყურობას იჩენენ საქართველოსადმი, რომელიც მუდამ იყო ამერიკის შეერთებული შტატების ერთგული და საიმედო პარტნიორი როგორც კავკასიის რეგიონში, ისე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საერთაშორისო მისიებში, სადაც ნატოს წევრ ბევრ დიდ ქვეყანაზე მეტი მსხვერპლიც კი გაიღო.**

ნამდვილად სამწუხაროა, რომ დღეს საქართველოს ხელისუფალს სტრატეგიულ პარტნიორად მიჩნეული აშშ-ის მმართველებისათვის ამგვარი წერილის მიწერა უწევს, **არადა, იყო დრო, საბჭოთა კავშირის ქართველი ხელისუფალი ᲘᲝᲡᲔᲑ ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲯᲣᲦᲐᲨᲕᲘᲚᲘ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ᲤᲠᲐᲜᲙᲚᲘᲜ ᲠᲣᲖᲕᲔᲚᲢᲡ მადლიერების წერილს სწერდა საერთო მტრის — სისხლიანი ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად მილიარდი დოლარის გამოყოფისათვის!**

იმედია, მალე საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებასაც გაუჩნდება საფუძველი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის **ᲓᲝᲜᲐᲚᲓ ᲢᲠᲐᲛᲞᲘᲡᲐ** და მისი ადმინისტრაციის მიმართ მადლიერება გამოხატოს საერთო მტრის — **ლიბერალური ფაშიზმისა და დიფ სთეითის, ანუ იგივე ფარული დასის დასამარცხებლად გაწეული რეალური ძალისხმევის გამო!**



# 1941 ᲬᲚᲘᲡ 4 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲠᲣᲖᲕᲔᲚᲢᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

თქვენს გადაწყვეტილებას, **ბატონო პრეზიდენტო,** იმის შესახებ, რათა გამოუყოთ საბჭოთა კავშირს უპრეცედენტო სესხი **1 მილიარდი დოლარის ოდენობით** შეიარაღებასა და ნედლეულის შესასყიდად, საბჭოთა მთავრობა იღებს გულწრფელი მადლიერებით, როგორც საბჭოთა კავშირის გამორჩეულად სერიოზულ მხარდაჭერას მის უზარმაზარ და მძიმე ბრძოლაში ჩვენს საერთო მტერთან — სისხლიან ჰიტლერიზმთან.

**საბჭოთა კავშირის მთავრობის დავალებით, გამოვხატავ სრულ თანხმობას თქვენ მიერ შემოთავაზებულ სასესხო ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომელთა მიხედვით, სესხის დაფარვა უნდა დაიწყოს ომის დასრულებიდან 5 წლის შემდეგ და გაგრძელდეს მომდევნო 10 წლის განმავლობაში.**

სსრკ მთავრობა მზადაა, გააკეთოს ყველაფერი, რათა მიაწოდოს ამერიკის შეერთებულ შტატებს მის განკარგულებაში არსებული ის საქონელი და ნედლეული, რომელიც შესაძლოა, სჭირდებოდეს შეერთებულ შტატებს.

რაც შეეხება თქვენ მიერ გამოთქმულ სურვილს, **ბატონო პრეზიდენტო,** რათა საჭიროების შემთხვევაში თქვენსა და ჩემს შორის დაუყოვნებლივ დამყარდეს პირადი, უშუალო კონტაქტი, მე სიამოვნებით ვუერთდები ამ სურვილს და მზად ვარ, ჩემი მხრიდან გავაკეთო ყველაფერი ამის განსახორციელებლად.

*გულწრფელი პატივისცემით*

*ი. სტალინი*



4 ноября 1941г. Господин Президент.

Хотя текста Вашего послания я еще не получил, посол США г-н Штейнгардт передал мне через г-на Вышинского 2 ноября с.г. памятную записку с изложением содержания Вашего послания на мое имя.

В связи с этим, позвольте мне, прежде всего, выразить полное согласие с Вашей оценкой работ конференции трех держав в Москве, что следует отнести в наибольшей мере к заслугам г-на Гарримана, а также г-на Бивербрука, сделавших все возможное для успешного завершения работ конференции в кратчайший срок. За Ваше заявление о том, что постановления конференции будут максимально выполнены, Советское Правительство выражает свою глубокую признательность.

Ваше решение, г-н Президент, о том, чтобы предоставить Советскому Союзу беспроцентный заем на сумму в 1 миллиард долларов на оплату поставок вооружения и сырьевых материалов Советскому Союзу, Советское Правительство принимает с искренней благодарностью, как исключительно серьезную поддержку Советского Союза в его громадной и трудной борьбе с нашим общим врагом, с кровавым гитлеризмом.

По поручению Правительства СССР я выражаю полное согласие с изложенными Вами условиями предоставления Советскому Союзу этого займа, платежи по которому должны начаться спустя 5 лет после окончания войны и будут производиться в течение 10 лет после истечения этого пятилетнего периода.

Правительство СССР готово сделать все необходимое, чтобы поставлять Соединенным Штатам Америки те товары и сырье, которые имеются в его распоряжении и в которых могут нуждаться Соединенные Штаты.

Что касается выраженного Вами, г-н Президент, пожелания, чтобы между Вами и мною был бы незамедлительно установлен личный непосредственный контакт, если этого потребуют обстоятельства, то я с удовольствием присоединяюсь к этому Вашему пожеланию и готов, со своей стороны, сделать все возможное для осуществления этого.

С искренним уважением И. Сталин

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲘᲡ ᲦᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲓᲝᲜᲐᲚᲓ ᲢᲠᲐᲛᲞᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲯᲔᲘ ᲓᲘ ᲕᲔᲜᲡᲡ



რამდენიმე კვირის წინ მოგმართეთ წერილით **ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებთან დაკავშირებით.** აღნიშნულ წერილს წინ უსწრებდა ჩემი საჯარო განცხადებები, სადაც ღიად გამოვხატავდი საქართველოს მზაობას, **სუფთა ფურცლიდან, კონკრეტული გზამკვლევით განგვეახლებინა სტრატეგიული პარტნიორობა საქართველოსა და აშშ-ს შორის.** თუმცა, პასუხი ჩვენს წერილზე და საჯარო განცხადებებზე დღემდე არ მიგვიღია. მეტიც, დღემდე უმაღლეს დონეზე არ შემდგარა არავითარი კომუნიკაცია საქართველოს და აშშ-ს ხელისუფლებებს შორის.

**აღნიშნული დუმილი გასაკვირია ქართველი ხალხისთვის და საქართველოს ხელისუფლებისთვის რამდენიმე მიზეზის გამო:**

პირველ რიგში, უკვე მრავალი წელია, **საქართველო არის აშშ-ის ყველაზე საიმედო პარტნიორი ჩვენს ურთულეს რეგიონში,** რომელსაც აშშ-სთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. **საქართველო მხარში ედგა აშშ-ის ყველაზე ცხელ წერტილებში, მათ შორის ერაყში და ავღანეთში,** სადაც საქართველო ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე მეტი ჯარისკაცით იყო წარმოდგენილი. მხოლოდ ამ ორ მისიაში მონაწილეობით, **ჩვენმა პატარა ქვეყანამ აშშ-ის 2.5 მილიარდი დოლარი დაუზოგა, რაც აშშ-ს ბიუჯეტიდან საქართველოსთვის გაწეულ რეალურ (!) დახმარებას მრავალჯერ აღემატება** *(რეალურ დახმარებაში არ ვთვლით თანხებს, რომელიც აშშ-ს ბიუჯეტიდან ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის გადასარჩენად გამოიყო 2008-11 წლებში, მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა „დიფ სთეითის“ დავალებით რუსეთთან ომი დაიწყო; რეალურ დახმარებაში, ასევე, არ ვთვლით თანხებს, რომელიც ამერიკის საელჩოს, USAID-ის, NED-ის, სოროსის ფონდის და სხვა არხებით, საქართველოში რადიკალიზმისა და სიძულვილის გასაღვივებლად, რევოლუციების მოსაწყობად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იმიჯის შესალახად, რელიგიური ექსტრემიზმის წასახალისებლად, სახელმწიფო ინსტიტუტების დასასუსტებლად, გენდერული და ლგბტ-პროპაგანდის საწარმოებლად და სხვა მსგავსი მიზნებით გამოიყოფოდა).* იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ **საქართველო მრავალი წლის მანძილზე აშშ-სთვის ნამდვილ სტრატეგიულ პარტნიორად რჩებოდა და ამგვარი სტრატეგიული პარტნიორობის აღდგენის მზაობას დღესაც გამოხატავს,** ახალი ადმინისტრაციის დუმილი როგორც საქართველოს ხელისუფლებისთვის, ისე ქართველი ხალხისთვის გასაკვირია;

საერთაშორისო რეიტინგების თანახმად, **საქართველო არის ლიდერი რეგიონში დემოკრატიის, სამართლის უზენაესობის, ადამიანის უფლებების, მედიის თავისუფლების, სასამართლოს დამოუკიდებლობის, სახელმწიფო ინსტიტუტების სიძლიერის, კორუფციის სიმცირის და სხვა კრიტერიუმების მიხედვით.** საქართველოს ლიდერობას ადასტურებენ ისეთი ინსტიტუტებიც, რომელთა მიმართ თქვენს ადმინისტრაციას განსაკუთრებული ნდობა აქვს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით და იმ ფონზე, რომ **თქვენ არაერთ, თუნდაც, ღიად არადემოკრატიულ და ავტორიტარულ სახელმწიფოსთანაც აწარმოებთ აქტიურ დიალოგს და კომუნიკაციას,** საქართველოსთან დაკავშირებით თქვენს დუმილს ჩვენთვის ლოგიკური ახსნა არა აქვს;

რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ დავაკვირდებით ჩვენი ხელისუფლებისა და თქვენი ადმინისტრაციის საჯარო რიტორიკას, **თვალშისაცემია სრული ღირებულებითი და იდეოლოგიური თანხვედრა ჩვენს ხედვებს შორის.** ჩვენ ღიად ვსაუბრობდით **„ᲓᲘᲤ ᲡᲗᲔᲘᲗᲘᲡ“,** USAID-ის, NED-ის და სხვა შესაბამისი სუბიექტების დანაშაულებრივ საქმიანობაზე რამდენიმე წლით ადრე, ვიდრე თქვენ იდენტურ განცხადებებს გააკეთებდით. **ჩვენ გვაქვს სრულიად იდენტური შეფასებები უკრაინის ომთან, გენდერულ და ლგბტ-პროპაგანდასთან და მრავალ სხვა საკითხთან დაკავშირებით.** ამგვარი ღირებულებითი და იდეოლოგიური თანხვედრის ფონზე, ქართველი ხალხის პირვანდელი მოლოდინი იყო, რომ **საქართველო იქნებოდა ერთ-ერთი პირველი, რომლის მიმართაც თქვენი ადმინისტრაცია განსაკუთრებულ ინტერესს გამოხატავდა.** ამგვარი ინტერესი თქვენ გამოხატეთ რუმინეთისა და გერმანიის მიმართ, სადაც ევროპული ბიუროკრატიის მხარდაჭერით, არადემოკრატიული აქტები განხორციელდა. თუმცა, ქართველი ხალხის და ჩვენდა გასაკვირად, **საქართველოსთან მიმართებით ამგვარი ყურადღება თქვენ დღემდე არ გამოგიჩენიათ.**

მეტიც, კვლავაც ძალაშია სრულიად გაუგებარი სანქციები საქართველოს ვიცე-პრემიერის და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების მიმართ, რომლებმაც **ᲑᲐᲘᲓᲔᲜᲘᲡ** ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი და USAID-ის ხაზით დაფინანსებული რევოლუციის მცდელობა და ძალადობა ეფექტურად აღკვეთეს. გარდა ამისა, რამდენიმე დღის წინ ამერიკის კონგრესმა მიიღო აბსურდული კანონი — **ე.წ. „მეგობარი აქტი“, რომელიც არის მტრულად გამსჭვალული ქართველი ხალხის და მის მიერ არჩეული ხელისუფლების მიმართ.** სიტყვა **„მეგობარის“** მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეს კანონი გვახსენებს **ᲯᲝᲠᲯ ᲝᲠᲣᲔᲚᲘᲡ** მოდელს, რომლის მიხედვითაც **ომი არის მშვიდობა, მტერი კი — მეგობარი.** სხვადასხვა პარლამენტისგან აბსურდული აქტების მიღებას ჩვენ ბოლო პერიოდში მიჩვეული ვართ და ამდენად, **„მეგობარ აქტზე“** საერთოდ არ გავამახვილებდით ყურადღებას, რომ არა ის გარემოება, რომ **ამ აქტს არაერთი სუბიექტი თქვენს ადმინისტრაციას მიაწერს.** ამ აღქმას ამყარებს ის გარემოებაც, რომ თქვენს ადმინისტრაციას **„მეგობარ აქტზე“** არავითარი კრიტიკული განცხადება არ გაუვრცელებია. ამ ყველაფრის გამო, **ეს კანონი ამცირებს ქართველი ხალხის ნდობას არა მხოლოდ კონგრესის, არამედ, სამწუხაროდ, თქვენი ადმინისტრაციის მიმართაც,** რომელსაც ქართული საზოგადოება სხვაგვარი იმედით შეჰყურებდა.

ბოლოდროინდელი მოვლენები ქართველ საზოგადოებაში აჩენს განცდას, რომ **განცხადებები „დიფ სთეითის“ დამარცხების შესახებ მხოლოდ ამ უკანასკნელის რებრენდინგის მცდელობაა და სხვა არაფერი.** ხალხისთვის გასაკვირია, რომ თქვენ **ᲑᲐᲘᲓᲔᲜᲘᲡ** გადაწყვეტილებებს მკაცრად აკრიტიკებთ, მაგრამ მის დანაშაულებრივ გადაწყვეტილებებს დღემდე არ ასწორებთ.

თუმცა, **ჩვენი ხელისუფლება საჯარო განცხადებებში კვლავაც გამოხატავს ოპტიმიზმს იმასთან დაკავშირებით, რომ თქვენი ადმინისტრაცია „დიფ სთეითის“ დამარცხებას რეალურად შეძლებს, რაც ქართულ-ამერიკული ურთიერთობების გადატვირთვაზე და სტრატეგიული პარტნიორობის აღდგენაზე უსათუოდ აისახება.** რეალურადაც, ამის ძალზე დიდი იმედი გვაქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კვლავაც გაგრძელდება **ᲑᲐᲘᲓᲔᲜᲘᲡ** ადმინისტრაციის პირობებში დაგეგმილი რევოლუციური სცენარის მოქმედება. შეგახსენებთ, რომ USAID-ისა და NED-ის მიერ დატრენინგებული და დაფინანსებული 250-მდე ადამიანი დღემდე ყოველდღიურად იკრიბება ქვეყნის დედაქალაქის ცენტრალურ გამზირზე, რაც იმის უტყუარი მტკიცებულებაა, რომ **„დიფ სთეითს“ რევოლუციის გეგმა თაროზე ჯერაც არ შემოუდია.**

როგორც უკვე აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ კითხვები კითხვებს ემატება, **ჩვენ მაინც ვინარჩუნებთ ოპტიმიზმს და გვაქვს იმედი, რომ „დიფ სთეითთან“ თქვენი დაპირისპირება გულწრფელია და ის „დიფ სთეითის“ დამარცხებით დასრულდება.** საქართველოს ხელისუფლება მოთმინებით ელოდება ამ მომენტს, რაც საფუძვლად უნდა დაედოს **ქართულ-ამერიკული ურთიერთობების გადატვირთვას და სტრატეგიული პარტნიორობის აღდგენას ჩვენს ქვეყნებს შორის.**

წარმატებებს გისურვებთ ამ ბრძოლაში!

ამერიკის შეერთებულ შტატებს ვუსურვებთ სიმტკიცეს და კეთილდღეობას!



ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ
**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ფეისბუქი: **www. facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

*გასულ კვირას საქართველოს პრემიერმა ირაკლი კობახიძემ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ღია წერილით მიმართა, რამაც საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. პოლიტოლოგთან და ფსიქოლოგთან* ***რამაზ საყვარელიძესთან*** *საუბარი სწორედ ამ თემით დავიწყეთ:*

# რამაზ საყვარელიძე:

# კობახიძის ღია წერილი მოზომილი და საჭირო იყო!



— ამ წერილის ძირითადი ფუნქცია იყო, ყურადღების მიქცევა! საქართველოს პოლიტიკური კურსი **ტრამპის** პოლიტიკას ემთხვევა, შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებას ებრძვიან ის ჯგუფები, ვინც ამერიკის პრეზიდენტის პოლიტიკის წინააღმდეგია. დაპირისპირება განსაკუთრებით მას შემდეგ გამძაფრდა, რაც საქართველო კონსერვატიული მოძრაობის წევრი გახდა. გარდა ამისა, რუსეთზე სანქციების შემოღების კვალდაკვალ კავკასია ერთადერთი სანდო გზა გახდა აღმოსავლეთიდან ტვირთების გადმოსაზიდად, რაც ასევე არ შედის ლიბერალთა ინტერესებში. ამდენად, რატომ არ უნდა შეგვეხსენებინა ეს ტრამპისთვის?!

**— ანუ პრემიერ ირაკლი კობახიძის ღია წერილი მისაღები და საჭირო იყო?**

— დიახ, მოზომილი და კარგი წერილი გახლავთ! **ტრამპმა** უნდა იცოდეს, რომ ლიბერალებს საქართველოში კონსერვატიული ორიენტაცია არ აწყობთ! კიდევ უფრო მეტის თქმაც შეიძლებოდა, მაგრამ ხელისუფლებამ სიფრთხილე გამოიჩინა. **ირაკლი კობახიძემ** თავი აარიდა პოლიტიკურ დაპირისპირებაზე ხაზის გასმას. ეს აქტი პარტიების ბრძოლის პროცესამდე არ დაიყვანა.

**— მიუხედავად ამისა, აღნიშნული წერილი საქილიკო გახდა — პატარა საქართველოს პრემიერი შეერთებული შტატების პრეზიდენტს ღია წერილით მიმართავსო**

— თავიანთ თავს შეხედონ შორიდან და მერე იქილიკონ. ღია წერილის გაგზავნას თავისი დატვირთვა აქვს — უფრო მეტი წამკითხავი ჰყავს მსოფლიო მასშტაბით, რაც ძალაუნებურად ადრესატსაც აიძულებს პასუხის გაცემას.

რას ნიშნავს პატარა და დიდი ქვეყანა?! სწორედ პატარა ქვეყანამ უნდა შეახსენოს დიდ ქვეყანას თავისი ინტერესები, თუ, რა თქმა უნდა, თანასწორ ურთიერთობაზეა საუბარი. პირიქით, **კიდევ უფრო გავაძლიერებდი ქართულ ტალღას ამერიკულ პოლიტიკაში და საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდანაც გავაგზავნიდი წერილს, სადაც ხაზგასმული იქნებოდა არა მხოლოდ ის, როგორ მოვიდა აქამდე ქართულ-ამერიკული ურთიერთობა, არამედ ისიც, რომ ტრამპის მისია არ არის სიდიადის დაბრუნება მარტოდენ ამერიკისთვის.**






დიახ, მას კიდევ უფრო დიდი მისია აკისრია — რეალური დემოკრატიის დაბრუნება! ამიტომაც გამოიწვია მისმა მოსვლამ მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში ცვლილებები კონსერვატიზმის მიმართულებით. ამ საკითხის წამოწევა შეიძლება საქართველოს მხრიდან, მითუმეტეს, **ტრამპი** ისეთი ადამიანია, რომელსაც ძალიან უყვარს, როცა მის მასშტაბებს, ფუნქციასა და როლს სათანადოდ აფასებენ!

ისე კი, მათი პოლიტიკური მდგომარეობა ნახეთ, ვინც დღეს **ირაკლი კობახიძის** ღია წერილზე ქილიკობს. ეს ის ჯგუფია, **უილსონთან** ერთად ფოტოებში რომ პოზირებს!

**— მაინც, ვინ არის და რა ინტერესი აქვს ჯო უილსონს ჩვენი ქვეყნის მიმართ, ლამის ყოველდღე ხელისუფლების სალანძღავ ახალ-ახალ პასკვილებს რომ აცხობს?!**

— სავარაუდოდ, **ჯო უილსონს** პირადი სარგებელი გააჩნია, რაც ფოტოსურათზეც კარგად ჩანს. მას პირადი ურთიერთობა აქვს კონკრეტულ პოლიტიკურ ჯგუფთან და, შესაბამისად, მათ სათქმელს ახმოვანებს. რესპუბლიკელებშიც და დემოკრატებშიც არიან ადამიანები, ვინც თავის პარტიულ ხაზს არაფრად აგდებენ და იმ პოზიციაზე დგანან, რომელიც პირადად მათთვის არის ხელსაყრელი.

თავს უფლებას ვერ მივცემ, მაგრამ გავიმეორებ იმას, რასაც ამბობენ — **თითო განცხადებაში 1000 დოლარი ეკუთვნისო.** თუმცა, არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს დოლარები მასთან ოპოზიციიდან მიდის. თუ კიდევ უფრო მეტად ჩავუღრმავდებით და გავაანალიზებთ, ვის აწყობს რუსეთზე ჩვენი მიწებება და აქ არეულობის გამოწვევა, სულ სხვა სურათს მივიღებთ.

**— მაინც?**

— ჩინეთის შემოსვლა საქართველოში ამერიკაზე მეტად რუსეთს არ აწყობს, რადგან იქმნება საფრთხე, რომ ჩრდილო კავკასიაც გააკონტროლოს ისევე, როგორც ციმბირი. შესაბამისად, არეულობა რუსეთის ინტერესებშიც შედის, რათა ტრანზიტს ხელი შეეშალოს. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, სულ სხვა ძალები აფინანსებდნენ როგორც უილსონს, ასევე ჩვენს ოპოზიციას.

**— როგორ ფიქრობთ, უპასუხებს ტრამპი ირაკლი კობახიძის ღია წერილს?**

— მეეჭვება, **ტრამპმა** ამ წერილს უპასუხოს, ისევ და ისევ ჩინეთთან ურთიერთობიდან გამომდინარე. გავიხსენოთ — ე.წ. მეგობარ აქტში ამერიკის მხრიდან ნომერ პირველი საყვედური იყო სწორედ ჩინეთთან ურთიერთობა, შემდეგ კი — ირანთან და რუსეთთან სიახლოვე. ბოლო ორი აშკარა ბლეფია, ჩინეთთან დასაახლოებლად კი საქართველომ ნამდვილად გადადგა რეალური ნაბიჯები. ასე რომ,

**რადგანაც ჩინეთის ფაქტორი არსებობს, არ არის გამორიცხული ტრამპის დამოკიდებულებაც საქართველოს მიმართ რთული იყოს. ჯერ კიდევ ტრამპის პირველი პრეზიდენტობის დროს გვითხრა სახელმწიფო მდივანმა პომპეომ — ჩინეთი არ შემოუშვათ ანაკლიაში, არადემოკრატიული ქვეყანა არისო.**

**ტრამპის** მაშინდელი დამოკიდებულებაც ვიცით, მაგრამ ჯერჯერობით უცნობია, რას ფიქრობს ამჟამად. ბევრი რამ მას შემდეგ გაირკვევა, როცა ჩინეთსა და ამერიკას შორის მოლაპარაკება შედგება. თუ აღმოჩნდება, რომ ჩინეთის შემოსვლა კავკასიაში ამერიკისთვის მიუღებელია, ისევ გაგრძელდება შტატების მხრიდან კრიტიკა, თუ არადა, იმაზე მარტივად დალაგდება ყველაფერი, ვიდრე გვგონია.

**— ამ პოლიტიკურ მოცემულობაში, როგორ უნდა მოიქცეს ირაკლი კობახიძე და, ზოგადად, სახელისუფლებო პოლიტიკური გუნდი?**

— ჯერჯერობით მყარად მიდიან, არ უხვევენ გეზიდან. რამდენიმე ათეული ადამიანის შეგროვება აქციაზე კრიზისს ვერ ქმნის და დიდ საფრთხეს არ წარმოადგენს.

არ გამოვრიცხავ, გაჩნდეს ახალი პოლიტიკური პარტია, რომელიც ოპოზიურ პოლიტიკურ ფლანგს დაიკავებს და იმ ჯგუფებს ჩააჩოჩებს, ვინც **უილსონთან** ერთად ფოტოებზე პოზირებს. ასევე არ გამოვრიცხავ **კახი კახიშვილის** ვერსიას, რომ ეს ოპოზიციური ფლანგი **ირაკლი ღარიბაშვილმა** და მისმა ფრთამ დაიკავოს.

კიდევ ერთხელ ვამბობ — **ჯერჯერობით ხელისუფლების მხრიდან თავშეკავებული და მტკიცე ნაბიჯები იდგმება, ღმერთმა ხელი მოუმართოთ!**

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## „რამდენიმე ათეული ადამიანის შეგროვება აქციაზე კრიზისს ვერ ქმნის და დიდ საფრთხეს არ წარმოადგენს!“

## კვირგვინოსნები

**სანდრო თვალჭრელიძე**
*ექსპერტი*



ცნობილი გამონათქვამია, რომ **აშშ-ს არა ჰყავს მეგობრები და მტრები, მას აქვს სტრატეგიული ინტერესები.** საქართველო სწორედ ამ ინტერესებში შედის ჩვენი დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან. **აშშ ვერ შეეგუება თავისი გავლენის დაკარგვას, ეს უნდა ესმოდეს ჩვენს მთავრობას.**

„კვირის პალიტრა“

**დავით ზურაბიშვილი**
*ანალიტიკოსი*



მე რომ აშშ-ის ადგილზე ვიყო, **დავიწყებდი ივანიშვილთან მოლაპარაკებას, თუ რაზეა ის წამომსვლელი.** მთელი პრობლემა ის არის, რომ **ბიძინა ივანიშვილს არავინ ელაპარაკება.** ეს ჩვენს ოპოზიციას რატომღაც უხარია, მაგრამ მე სასიხარულოს ვერაფერს ვხედავ — **თუ არავინ არ დაელაპარაკა, რატომ დათმობს რამეს?** რატომ ჰგონიათ, რომ ჩამოიშლება?

„კვირის პალიტრა“

**მირიან მირიანაშვილი**
*ანალიტიკოსი*



ამერიკელებს ძალიან სერიოზული ბრალდებები აქვთ ქართული ოპოზიციის მიმართ — ფიქრობენ, რომ **ოპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსულ სპეცსამსახურებთან არის დაკავშირებული** და მმართველი ძალის მსგავსად **მოსკოვიდან იმართება.**

„კვირის პალიტრა“

**პეტრე მამრაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



ამ ასაკში მოვესწარი იმას, რომ **შეერთებული შტატების კონგრესმა გამოიძახა** ჩვენი სადისტური რეჟიმის ხერხემლის **ვანო მერაბიშვილის** ხელქვეითი **ბიბაური,** რათა საქართველოში არსებული ვითარება მისგან მოესმინა. **ბარემ თვითონ მერაბიშვილი დაებარებინათ ან — ადეიშვილი.** ეს დიდი უსამართლობაა.

„რეზონანსი“



გივი თარგამაძე

# ჯოჯოხეთი, რომელშიც გივი თარგამაძისა და დავით სააკაშვილისთვის ნათქვამი უარის გამო ქადაგიშვილების ოჯახი აღმოჩნდა!



დავით სააკაშვილი

***2025 წლის 14 მაისს პარლამენტის საგამოძიებო კომისიამ ქალბატონ ნანა ქადაგიშვილს მოუსმინა, რომლის ოჯახიც სააკაშვილმა და მისმა ხროვამ პირდაპირი მნიშვნელობით გაანადგურეს.***

*ყველაფერი დაიწყო ე.წ. ვარდების რევოლუციამდე სამ-ოთხი თვით ადრე, როცა* ***ნანა ქადაგიშვილის მეუღლეს ამირან ქადაგიშვილს,*** *რომელიც* ***„გამა-ბანკის“*** *აქციონერი და 33-პროცენტიანი წილის მფლობელი იყო, ჯერ კიდევ ოპოზიციაში მყოფი სააკაშვილის ნაცმოძრაობის წევრები დაუკავშირდნენ და* ***რევოლუციის*** *დასაფინანსებლად ფული სთხოვეს. როგორც* ***ნანა ქადაგიშვილმა თეა წულუკიანის*** *კომისიას განუცხადა, მისმა მეუღლემ ნაცებს ფული არ მისცა და* ***გივი თარგამაძე*** *უარით გაისტუმრა,* ***იმ ფაქტმა, რომ ე.წ. ვარდების რევოლუციამდე სამი-ოთხი თვით ადრე ნაცები ალმა-დალმა დაწანწალებდნენ და ქვეყნის ასარევად ფულს კრებდნენ, კომისიის თავმჯდომარე მაშინვე დააინტერესა და ნანა ქადაგიშვილს იქვე ჩაეკითხა:***

**— ქალბატონო ნანა, როდის იყო ეს?**

**ნანა ქადაგიშვილი:** — დაახლოებით 2003 წლის სექტემბერში!

**თეა წულუკიანი: — ანუ სამი-ოთხი თვით ადრე უკვე აპირებდნენ რევოლუციას?**

**ნანა ქადაგიშვილი:** — დიახ, „ვარდების რევოლუცია“ მალევე მოხდა...

**თეა წულუკიანი: — გასაგებია, მაგრამ სამი-ოთხი თვით ადრე უკვე აპირებდნენ რევოლუციას და სიტყვა რევოლუცია გამოიყენა?**

**ნანა ქადაგიშვილი:** — ხო, რა თქმა უნდა!

**თეა წულუკიანი: — სად შედგა ეს შეხვედრა?**

**ნანა ქადაგიშვილი:** — ჩვენთან, „გამა-ბანკის“ შენობაში!

**თეა წულუკიანი: — სიტყვა რევოლუცია იყო გამოყენებული გივი თარგამაძის მიერ, ჩვენ ამას ვაპირებთ და თქვენ უნდა დაგვაფინანსოთო?**

**ნანა ქადაგიშვილი:** — დიახ, ასე იყო!

*ამ მოკლე დიალოგმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა ის ფაქტი, რომ ე.წ.* ***ვარდების რევოლუციის*** *მიზეზი არა ყბადაღებული* ***„არჩევნების გაყალბება“*** *იყო, არამედ ეს გახლდათ კარგად დაგეგმილი პროცესი, როცა დასავლეთი და რუსეთი საქართველოში პოლიტიკური ლიდერშიპის ცვლილებაზე შეთანხმდნენ და ბევრი აგენტისა და კონდოტიერის —* ***შევარდნაძის*** *ხავერდოვანი გადატრიალების შედეგად ხელისუფლებაში მოიყვანეს მათ მიერვე გამოზრდილი ახალგაზრდა აგენტი* ***მიხეილ სააკაშვილი!***

*ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ* ***ქადაგიშვილების ოჯახის*** *წინააღმდეგ ნაცხროვამ ნამდვილი შტურმი და ჯოჯოხეთი დაგეგმა.* ***ნანა ქადაგიშვილის*** *თქმით, სააკაშვილი ხელისუფლებაში სულ ახალი მოსული იყო, „როცა მათ დაუკავშირდა* ***დათო სააკაშვილი*** *და განაცხადა —* ***„თქვენ თქვენი იურისტები უნდა დაითხოვოთ და მე ჩემი იურისტებით შემოვიდე ბანკშიო!“***

***ამირან ქადაგიშვილმა*** *სააკაშვილის ძმაც უარით გაისტუმრა, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა, თავისი ოთხი იურისტი სამსახურიდან გაეშვა და* ***„გამა-ბანკში“ დავით სააკაშვილის*** *იურიდიული ფირმა შემოეყვანა. როგორც* ***ნანა ქადაგიშვილმა*** *კომისიის სხდომაზე გაიხსენა, „პირველივე საქმე სასამართლოში მათ წააგეს... ისეთი საქმე წააგეს, მეუღლე გაბრაზდა და უთხრა — ესენი აქ კარგი საქმისთვის არ არიან შემოსულები! როგორ შეიძლებოდა ამ საქმის წაგება, თუ მათ ეს სპეციალურად არ გააკეთეს?!“*

***ნანა ქადაგიშვილმა*** *დააკონკრეტა იმ იურისტების გვარ-სახელები, რომლებიც* ***„გამა-ბანკში“ დავით სააკაშვილმა*** *შეგზავნა. ესენი იყვნენ:* ***ლევან პატეიშვილი და გიორგი სალუქვაძე. პატეიშვილი მერე ეკონომიკის მინისტრის მოადგილე გახადეს, ხოლო სალუქვაძე ადეიშვილის მოსამართლედ აკურთხეს!***

*ქადაგიშვილების ოჯახის ჯოჯოხეთი და ტანჯვა-წამება 2004 წლის 20 ივლისს დაიწყო, როცა დილით სპეცრაზმი შეუვარდათ!*

*აი, როგორ გაიხსენა ეს დღე* ***ნანა ქადაგიშვილმა:***

— მთელ კორპუსს ალყა შემოარტყეს, გვეგონებოდათ, ტერორისტები ვიყავით. ტელეფონები ჩამოგვართვეს და მაგიდასთან დაგვსვეს. წამოდგომის უფლება არ მოგვცეს. ჩემგან ახლოს ჩვეულებრივი, ქალაქის ტელეფონი იყო და ზარი გაისმა თუ არა, ყურმილს ხელი ვტაცე... ჩემი უმცროსი შვილი — გიორგი იყო, რომელიც მაშინ თბილისში არ გახლდათ. ეტყობა, ტელევიზიით შეიტყო, რაც ჩვენს თავს ხდებოდა და მირეკავდა... — დედა, რა ხდება? ახლავე მოვდივარო! — არ გაბედო, თბილისში არ ჩამოხვიდე, თუ მექნება საშუალება, მე თვითონ შეგატყობინებ ყველაფერს-მეთქი! გიორგი სწორედ ასე გადარჩა და 8 წელი და 6 თვე გახდა ძებნილი. მერე „ქართული ოცნების“ დროს, პარლამენტმა მას პოლიტდევნილის სტატუსი მიანიჭა!

*ნაცხროვამ ქადაგიშვილებს, რომლებმაც ტუჩებგადაბანტულ* ***გივია თარგამაძესა და სააკაშვილს „რევოლუციის“*** *მოსაწყობად ფული არ მისცეს, სისხლის სამართლის კოდექსის 174-ე მუხლით, რაც ფულის გათეთრებას გულისხმობს, ბრალი წაუყენა.*

***ამირან ქადაგიშვილს,*** *რომელიც სასამართლოზე ითხოვდა — ის დოკუმენტი მაინც მანახეთ, რის საფუძველზეც მიჭერთო, ცხადია, არავინ მოუსმინა. ვერც მოუსმენდნენ, რადგან* ***სააკაშვილსა და ადეიშვილს*** *მისი ოჯახის განადგურება ჰქონდათ გადაწყვეტილი, ხოლო დოკუმენტი, რომლითაც „გამა-ბანკის“ მიერ ფულის გათეთრება დასტურდებოდა, ბუნებაში არ არსებობდა!*

*ასე ტყუილუბრალოდ 11 წლით გაუშვეს ციხეში გულით ავადმყოფი და დიაბეტით დაავადებული* ***ამირან ქადაგიშვილი.*** *დაიჭირეს მისი უფროსი ვაჟი —* ***არჩილ ქადაგიშვილიც,*** *რომელსაც 9 წელი მიუსაჯეს, ხოლო თავად* ***ნანა ქადაგიშვილი,*** *რომელიც დიასახლისი იყო, ხუთი თვით საპყრობილეში გამოკეტეს და 5 წელი პირობითი მსჯავრი დაადეს!*

***ნანა ქადაგიშვილს*** *არ აპატიეს, რომ ოჯახის წევრთა უდანაშაულობის დასამტკიცებლად ბანკიდან საჭირო დოკუმენტები მოიძია და პროკურორებს წარუდგინა. ადეიშვილის პროკურორები ამის გამო მას დაემუქრნენ —* ***თუ არ გაჩერდები, შენც დაგიჭერთო!***

***ქადაგიშვილმა*** *უპასუხა* ***თეა წულუკიანის*** *შეკითხვას და დაუსახელა ის პროკურორები, რომლებიც მას დაემუქრნენ. ესენი იყვნენ:* ***თამარ ალანია, ვაჟა ფანოზიშვილი და ვაჟა ჯანყარაშვილი!***

*სანამ დაიჭერდნენ,* ***ნანა ქადაგიშვილს დავით სააკაშვილის*** *ერთ-ერთმა იურისტმა* ***ლევან პატეიშვილმა,*** *რომელიც „გამა-ბანკში“ დესანტად ჰყავდათ გადასხმული, ასეთი რამ უთხრა —* ***„სააკაშვილმა და ადეიშვილმა შემოგითვალათ, 20 მილიონს თუ გადაიხდით, მაშინ მაგ საქმეს დავხურავთ და ყველანი ჩვენ-ჩვენი გზით წავალთო!“***

*პატეიშვილმა* ***ნანა ქადაგიშვილისგან*** *ამ ბინძურ წინადადებაზე უარი მიიღო, რადგან ბანკირის ოჯახს, რომელსაც ყველაფერი წაართვეს და საკრედიტო ბარათებიც კი არ დაუტოვეს, ამოდენა თანხის გადახდის საშუალება ნამდვილად არ ჰქონდა.*

*ფულზე გაგიჟებული ნაცოორები* ***ნანა ქადაგიშვილის*** *უარმა კიდევ უფრო გაახელა და მათი ბინძური მაკლერი* ***ლევან პატეიშვილი*** *ბანკირის მეუღლეს ისევ დაუკავშირდა. ნაციონალმა ყაჩაღებმა და მათხოვრებმა ამჯერადაც უარი მიიღეს...*

*ამასობაში საქართველოში ამერიკელი ებრაელები — „გამა-ბანკის“ უცხოელი ინვესტორები ჩამოვიდნენ, რომლებიც ღვთისპირისგან შეჩვენებულ* ***ადეიშვილს*** *შეხვდნენ და შემდეგ* ***ნანა ქა-***



## ნანა ქადაგიშვილი: რეჟიმის უფროსმა მითხრა – ნუ შიმშილობ, თორემ თირკმელი გაგეთიშება და 17 თეთრად ჩამოგწერენო!

## კვირგვინოსნები



**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*

პარლამენტში **სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთი მსხვერპლის,** „გამა ბანკის“ ერთ-ერთი მეწილის ქვრივის **ნანა ქადაგიშვილის** ისტორია გვახსენებს იმ საშინელებას, როცა **ნაცმტაცებლებისთვის** ადამიანების სიცოცხლე არაფერს წარმოადგენდა, **ისინი 9 წელი მართავდნენ და 9 წუთითაც არ შეიძლება ნაცავსულების მიშვება რომელიმე თანამდებობაზე.**

„რეპორტიორი“



**გია ხუხაშვილი**
*ანალიტიკოსი*

**ლეგიტიმაციის პრობლემა** მარტო ხელისუფლებას კი არა, **ოპოზიციასაც აქვს.** 26 მაისს შეიძლება იყოს დიდი აქცია, მაგრამ **მთავარი კითხვაა — მერე რა? შეკრებილები ვიქნებით და მერე დავიშლებით?**

„კვირის პალიტრა“



**ვლადიმერ ბოჭაძე**
*პარლამენტარი*

პარტიების ნაწილი **უკვე ემზადება არჩევნებისთვის,** თუმცა, ამის თქმას ჯერ ვერ ბედავენ.

„რეზონანსი“



**ნიკუშა შენგელაია**
*მხატვარი*

ძალიან **ფაროსანა ოპოზიცია** გვყავს — **ქვეყნის მავნებლები არიან.**

„რეზონანსი“

# „ყველანი გააშიშვლეს და კარანტინის დაშლაში მოაყოლეს უკვე ასაკოვანი, 61 წლის კაცი, რომელიც დღეში ოთხჯერ ინსულინს იკეთებდა, უმოწყალოდ სცემეს და მთელი დღის უჭმელი ამყოფეს!“



**ამირან ქადაგიშვილი**

***დაგიშვილს** გახარებულებმა ამცნეს — მოვილაპარაკეთო!*

**ნანა ქადაგიშვილი:** — მეუბნებიან — 2 მილიონ 200 ათასი დოლარი მაგათ პროკურატურის ფონდში უნდა ჩავურიცხო, ხოლო შემდეგ, ბანკი რომ გაიხსნება, ყოველთვიურად, 50 ათასი დოლარი უნდა მივცეთო! ამ შეხვედრის შემდეგ დამირეკა ეროვნული ბანკის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა და მეუბნება — ნანა, გავიგე, რომ უცხოელები არიან ჩამოსული. სასწრაფოდ მიდი და უთხარი, რომ ახლავე აქედან გაფრინდნენ! რატომ-მეთქი? — ვკითხე. — ადეიშვილი მაგათ დაჭერას აპირებს, ბრძანება უკვე დაწერილი აქვს! — ვაიმე-მეთქი, რას ამბობთ, მოილაპარაკეს, 2 მილიონ 200 ათას დოლარს აძლევენ ესენი-მეთქი! — ზღაპარია ყველაფერი, ეგენი შეიყოლიეს, არავითარი ეგეთი რამ არ ხდებაო!

*მოკლედ, **ნანა ქადაგიშვილმა** ამერიკელი ებრაელები მოსალოდნელი საფრთხის შესახებ მაშინვე გააფრთხილა. უცხოელებმა ეს ყველაფერი გაიკვირვეს, თუმცა, შემდეგ ასეთი რამ თქვეს —* **„რაც ამ ბანკშია გაკეთებული, არც ჩვენი დაჭერა იქნება გამორიცხულიო და წავიდნენ!“**

***ალუდა ღუდუშაური** დაინტერესდა იმ პიროვნების ვინაობით, ვინც **ნანა ქადაგიშვილს** უცხოელების გაფრთხილება ურჩია და მანაც კომისიას ამცნო, რომ **ეროვნული ბანკის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი** მაშინ იყო **მურთაზ კიკორია!***

*იმავე დღეს პროკურორმა **ვაჟა ფანოზიშვილმა ნანა ქადაგიშვილი** ისე დააპატიმრა, რომ ადვოკატთან შეხვედრის საშუალებაც კი არ მისცა. პატიმარი გადაიყვანეს მოდულის შენობაში, სადაც მასხრად აიგდეს —* **„შენობა ხომ მოგწონს? ნახეთ, როგორ კარგად გავარემონტეთ! არ გაინტერესებს, შენი ქმრის კაბინეტში ვინ ზის?“**

*ამის შემდეგ **ნანა ქადაგიშვილი** ჩაიყვანეს მოდულის ჯურღმულში, საიდანაც ორთაჭალის ციხეში დააბინავეს შეუმინავ ფანჯარასთან.*

**თეა წულუკიანი: — რამდენი თვე იყავით საკანში?**

**ნანა ქადაგიშვილი:** — ხუთი თვე ვიყავი!

**თეა წულუკიანი: — რამდენი ქალი იყავით საკანში?**

**ნანა ქადაგიშვილი:** — რკინის საწოლებზე ორ-ორი ქალი ვიწექით, რასაც ჩემს მეუღლესთან დაკავშირებით ვერ ვიტყვი. 20 კვადრატულ მეტრიან საკანში 12 საწოლი იყო და დანარჩენი 68 კაცი ელოდებოდა თავის რიგს, როდის უნდა დაეძინათ. პატიმრები იდგნენ ფეხზე და 24 საათის განმავლობაში მხოლოდ 2 საათი ეძინათ... თან ზაფხული იყო, კატასტროფული სიცხე. ვინმეს რომ გული შეუწუხდებოდა, ძირს ვერ ეცემოდა და გვერდით მდგომი იჭერდა. ჩემი მეუღლე გულით ავადმყოფი იყო, დიაბეტი ჰქონდა და ცუდად გამხდარა... შეშინებიათ და გადაუყვანიათ ორთაჭალის რესბალნიცაზე. მერე ისე მოხდა, რომ ჩემმა უფროსმა ვაჟმა **აჩიკომ,** რომელიც გარდაცვლილია, ვერ გაუძლო იქაურობას და ისიც გადაიყვანეს... რასაც ბატონი **სულხან მოლაშვილი** ამბობდა რესბალნიცაზე, აჩიკოც ზუსტად იმას ყვებოდა და იძახდა — მალე შიზოფრენია დამემართება, ამას მეტად ვეღარ გავუძლებო!

**თეა წულუკიანი: — რამდენი წლის იყო თქვენი შვილი?**

**ნანა ქადაგიშვილი:** — 22 წლის იყო, რომ დაიჭირეს და მოხვდა ორთაჭალის ციხეში! იქ მოხდა ასეთი რამ... მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილი სულ ტრაბახობდა ქურდული სამყარო გავანადგურეო, სხვადასხვა ციხიდან გადმოიყვანა ქურდული სამყაროს შვიდი წარმომადგენელი, შეიყვანა ჩემი მეუღლე და ჩემი შვილი იმათ კამერაში და იმათ დაუწყეს ჩხუბი — შენ 10 მილიარდი „გაათეთრე“ და ა.შ. მართალია, ეს „10 მილიარდი“ მერე პროკურატურამ აბსურდულობის გამო მოხსნა, მაგრამ ასეთი საუბარი იყო... **ქალბატონო თეა, ადამიანებს რაღაც ყურში რჩებათ და მერე მთელი ცხოვრება იმას იმეორებენ. ვიღაც-ვიღაცებს დღესაც ჰგონიათ, რომ ჩვენ 10 მილიარდი „გავათეთრეთ“... „ქურდებმა“ ჩემს მეუღლეს უთხრეს, აჩიკოს** მოგიკლავთ, თუ ამ ფულს არ მოიტანო! „ქურდებმა“ აჩიკოზე გაიწიეს, რათა ბავშვისთვის რაღაც ევნოთ... ჩემი მეუღლე გაქანდა და ეცა მათ, მაგრამ ვიღაცამ უკნიდან რკინა ჩაარტყა და გონება დაკარგა... სისხლი ფანტანივით მოდიოდა... მერე, ეტყობა, თვითონ ამათ შეეშინდათ, რადგან „ქურდები“ ამ ციხის პატიმრები არ იყვნენ და მათი აქ გადმოყვანა ვერაფრით მოხდებოდა ვერც სააკაშვილის, ვერც ადეიშვილის და ვერც ციხის უფროსის — ქილერას გარეშე!

**თეა წულუკიანი: — ქილერაში ვის გულისხმობთ?**

**ნანა ქადაგიშვილი:** — რა გვარი იყო?.. **მუხაძე!**

**თეა წულუკიანი: — სამკურნალო დაწესებულებას ხელმძღვანელობდა ქილერა... აი, ეს არის სააკაშვილის ხელწერა!**

**ნანა ქადაგიშვილი:** — ჩემს მეუღლეს სასწრაფო დახმარება და თავის გაკერვა დასჭირდა. საღამოს „ქურდებმა“ ჩემს მეუღლეს შეუთვალეს — **თუ ხვალ საღამოს ფულს არ მოიტან, იცოდეთ, აჩიკოს მოვკლავთო!** საღამოს მირეკავს ჩემი მეუღლე და მეუბნება — **ნანა, ასეთი მდგომარეობაა, ტელეფონი ჩაიწერე, ჩემს მეგობართან დარეკე და ის გადმოაგზავნის საზღვარგარეთიდან ფულსო!**

**თეა წულუკიანი: — რა თანხაზე იყო საუბარი?**

**ნანა ქადაგიშვილი:** — 30 ათას დოლარზე იყო ლაპარაკი! დილით ადრე კარზე ზარი იყო. გავაღე... ჩემთვის უცნობმა პიროვნებამ რაღაც შეფუთული გადმომცა და მითხრა — **ქალბატონო ნანა, ეს ბატონმა ბადრი პატარკაციშვილმა გამოგიგზავნათო!** ეტყობა, ჩემი ქმრის მეგობრებმა **ბატონი ბადრი** შეაწუხეს. შემდეგ მან ეს თანხა უკან არ დაიბრუნა — რას ამბობთ, ბატონი ამირანი განსაცდელშია და მაგ ფულს უკან როგორ დავიბრუნებო! ორ-სამჯერ კიდევ მოხდა მსგავსი შემთხვევა და ხან რას ვყიდდი და ხან — რას. ფულის მოთხოვნა ყოველთვის ხდებოდა ციხის რესბალნიცაზე.

*__ნანა ქადაგიშვილმა__ კომისიას უთხრა, რომ მის ვაჟს, რომელსაც ოპერაცია თავისი ხარჯებით გაუკეთა, სამკურნალო დაწესებულებაში **სულხან მოლაშვილი** და **დავით მირცხულავა** უვლიდნენ და ჯალათებს არ აკარებდნენ. ამის მიუხედავად, **არჩილ ქადაგიშვილი** ციხეში B ჰეპატიტით დაავადდა. **არჩილი** 2009 წელს შეწყალებით გათავისუფლდა, მაგრამ 2021 წელს ციროზით გარდაიცვალა. რაც შეეხება მის მწამებელ ჯალათებს და განსაკუთრებით ქილერას, **სოზარ სუბარის** განცხადებით, 2010 წელს მიხეილ სააკაშვილმა **ალექსანდრე მუხაძე „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისთვის“** ღირსების ორდენით დააჯილდოვა, ხოლო 2012 წელს **„სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისთვის“** — ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით!*

*სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, **ამირან ქადაგიშვილი** სპეციალიზებულ საავადმყოფოში გადაეყვანათ, პატიმარი გლდანის ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს.*

*აი, რა უამბო კომისიას **ნანა ქადაგიშვილმა** მეუღლის გლდანის ციხეში გადაყვანის შესახებ:*

— ჩემი მეუღლე არ მიჰყვებოდა და ძალით წაიყვანეს. ყველანი გააშიშვლეს და კარანტინის დაშლაში მოაყოლეს უკვე ასაკოვანი, 61 წლის კაცი. ადამიანი, რომელიც დღეში ოთხჯერ ინსულინს იკეთებდა, უმოწყალოდ სცემეს და მთელი დღის უჭმელი საღამომდე ქვემოთ ამყოფეს. მერე, როცა კამერაში აიყვანეს, ვინც აიყვანა, იმას სთხოვა — **ძალიან გთხოვთ, ინსულინი უნდა გავიკეთო, ცუდად ვხდები და ერთი ნაჭერი შავი ან თეთრი პური მომეცით, თორემ კომაში ჩავვარდებიო!** როგორ თუ პური მოითხოვეო და კიდევ სცემეს. წაართვეს ლეიბი და სამი კვირა იმ ცივ საწოლზე იწვა!

*__ნანა ქადაგიშვილმა__ ის ჯოჯოხეთიც გაიხსენა, რაც ორთაჭალის ციხეში პირადად გადახდა:*

— როცა ციხეში ვიყავი, ვშიმშილობდი... რეჟიმის უფროსმა გამიყვანა და ასეთი რამ მითხრა — **ხომ ხედავ, ექიმი არ გაკითხავს და პატრონი არავინ გყავს. ნუ შიმშილობ, თორემ თირკმელი გაგეთიშება და 17 თეთრად ჩამოგწერენო!**

*ნაცმოძრაობამ ხელისუფლებაში ყოფნის ბოლო თვეებში **ნანა ქადაგიშვილს** თავსდატეხილი უბედურება არ აკმარა, მცირეწლოვან შვილიშვილებთან ერთად ცივ ზამთარში უკანასკნელი ბინიდანაც გამოასახლა, მის სახლში კი გლდანის ციხის მიყურადების ოთახის კურატორი **რატი მგელაძე** აღმოჩნდა!*

***სოზარ სუბარმა** კომისიის სხდომაზე გააჟღერა — „წელიწადში ორჯერ ე.წ. კანონიერი ქურდების „სხოდკა“ მეექვსე დაწესებულებაში იმართებოდა, რათა სასჯელაღსრულებით სისტემაში „ქურდების“ მეშვეობით შიში და ტერორი კიდევ უფრო დაემძიმებინათ!“*

*ბანკირი **ამირან ქადაგიშვილი** „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიერ ე.წ. უდოთი გათავისუფლების შემდეგ, 72 წლის ასაკში მძიმედ დაავადებული გარდაიცვალა. სამი თვის შემდეგ ციროზის უმძიმესი დიაგნოზით გარდაიცვალა მისი 41 წლის ვაჟი **არჩილ ქადაგიშვილიც!***

*სააკაშვილის მსახვრალ რეჟიმს სასწაულებრივად გადაურჩნენ **ნანა ქადაგიშვილი** და მისი ვაჟი **ბიორგი ქადაგიშვილი,** რომლებიც იმედს არ კარგავენ და წუთებსა და წამებს ითვლიან, თუ როდის გაჩერდება ნაცხროვის ალაყაფის ჭიშკართან ის ურემი, რომლითაც სამართალი დადის!*



## სოზარ სუბარი:

**წელიწადში ორჯერ ე.წ. კანონიერი ქურდების „სხოდკა“ მეექვსე დაწესებულებაში იმართებოდა, რათა სასჯელაღსრულებით სისტემაში ქურდების მეშვეობით შიში და ტერორი კიდევ უფრო დაემძიმებინათ!**

**მოამზადა**
**დიტო ჩუბინიძე**

## კვირგვინოსნები

**იგორ კვესელავა**
*პოლიტოლოგი*



მთავრობა, რომელიც ამჟამად საქართველოს განაგებს, როგორც ჩანს, **მხოლოდ თავისი გზით მიდის** და ჩვენ არ ვიცით, ეს რა გზაა — **დასავლური, აზიური** თუ სხვა. **ვერ გავიგე, სად მივდივართ,** რას ვაკეთებთ, რა იდეოლოგია გვაქვს.

„რეზონანსი“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ანალიტიკოსი*



ოპოზიციამ მსჯელობა მაინც უნდა დაიწყოს იმაზე, **რატომ აგებს პროპაგანდისტულად.** როდესაც, მინიმუმ, ორი ტელევიზია გაქვს, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით მაუწყებლობს, **პროპაგანდისტული ომი არ უნდა წააგო.**

„რეზონანსი“

**მამუკა ხაზარაძე**
*„ლელო — ძლიერი საქართველოს“ ლიდერი*



არ გავჩერდებით, ვიდრე **ახალ არჩევნებს და კოალიციურ მთავრობას** არ მივაღწევთ.

„რეზონანსი“

**ვალერი ჩეჩელაშვილი**
*ეკონომისტი*



„ქართულ ოცნებას“ თუ უნდა, გადარჩეს, **ამერიკის სამი მოთხოვნა შეასრულოს** — რიგი კანონების უკან გაწვევა, ასევე უკანონოდ დაპატიმრებული ხალხის გამოშვება და ახალი არჩევნების ჩანიშვნა.

„ახალი თაობა“

# მოგელანდებით!



**მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად**



## ეკა გიგაური:

***ახლა ივანიშვილის დრო და ენერგია იხარჯება იმაზე, რომ ქონება გადამალოს. ვფიქრობ, ქონების გარკვეულ ნაწილს ის დაკარგავს. დღეს მთელი საერთაშორისო საბანკო სისტემა მისთვის დაკეტილია, ვერსად ვერ გახსნის ანგარიშს, ოპოზიცია ვადამდელი არჩევნებისთვის მზად უნდა იყოს.***

## გამოსაქანებელი

გამოდის, რომ, თუ **ბიძინა** ფულს დაკარგავს, **კაპიტან გიგაურს** ძალიან გაუხარდება და თანაც ისე გაუხარდება, ქვედა ყბა ჩამოეჩაჩება და ტუჩებს კიდე ზომაზე მეტად გადაჩაჩავს.

როგორც ჩანს, **მიხას** ზეობის ხანაში სურს დაბრუნება, როცა მთელი სამხედრო ტანისამოსის ინდუსტრია მისი ოჯახის ხელში იყო, სასაზღვრო პოლიციაში „უმფროსის“ მოადგილედ გახლდათ მომჯდარი და „ზვანიებსაც“ ურიგოდ იღებდა.

მოკლედ, იცის **ეკაკომ,** რაზე იხარჯება ამჟამად **ბიძინა ივანიშვილის** დრო და ენერგია — აღარც ცოლ-შვილი აინტერესებს, აღარც პოლიტიკა, აღარც პარტია, აღარც საზოგადოება, აღარც სამშობლო, აღარც დედული, აღარც მამული, აღარც ენა, აღარც სარწმუნოება... **მარტო იმაზე ფიქრობს, 3-ლიტრიან „ბანკებში“ ჩატენილი დოლარები** დენდროლოგიურ პარკში რომელი ხის ძირში ჩაფლას. **არა, ჩაფვლა კი არ არის პრობლემა, ჩაფლავს, მაგრამ დაიმახსოვრებს? როცა დასჭირდება, ხომ უნდა ამოთხაროს?** თუ სქემას შეადგენს და დეტალურად მიუთითებს, მაგალითად, 100-დოლარიანების **„ბანკა“** სად არი ჩაფლული, მაგ შემთხვევაში ეშმაკს არ სძინავს, **მიხა** თუ არა, **ეკაკო** მაინც გაიგებს და მაგასაც დაკარგავს.

მოკლედ, **კაპიტან გიგაურის** აზრით, რაკი **ბიძინა ივანიშვილს** საერთოდ გადაუკეტეს საერთაშორისო **საბანკო სისტემა,** იგი იძულებულია, გამოიყენოს ტრადიციული 3-ლიტრიანი **„საბანკო“ სისტემა.**

**აი, ამაშია საქმე!**

რაც შეეხება ვადამდელი არჩევნებისთვის მზადებას, **ოპოზიცია აუცილებლად უნდა მოემზადოს.** ოღონდ, **მთაწმინდიდან გამოსაქანებლად!**

# გათხოვება მაინც არ ასცდა!



## გუბაზ სანიკიძე:

**ვინ არის ქოცი? ეს არის მამაკაცი, რომელიც ცოლის ხარჯზე ცხოვრობს, ებრძვის მასონებს, „დიფ სთეითს“, ოღონდ არ იცის, რა არი... ჩაგრავს ასევე ქალს, ქალის ცემა მისთვის ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ამავე დროს სასტიკად ეშინია გათხოვების.**

**ბატონ გუბაზს** არ სჩვევია ჰაერზე ლაპარაკი, მას ყოველთვის საკუთარი გამოცდილება ალაპარაკებს.

**ხომ იყო იგი 2012 წლიდან 2016 წლამდე თავად ქოცი?**

იყო!

**ისიც მახსოვს, როგორ ებრძოდა მასონებს, სუ იმას იძახდა — მიშაც მასონია, ძაან ბნელ ძალებთან არი შეკრული.** რამდენჯერ დავურეკე, ინტერვიუ მინდა აქტუალურ საკითხებზე-მეთქი და, იცით, რას მპასუხობდა? **არ მცალია, მასონებს ვებრძვი კავკასიონის ქედზე მყვანან მიჯაჭვულები, სულები უნდა ამოვხადო, თავზე ვადგავარო!**

ავაჰმე, საღოლ-მეთქი!

**მა რაააა, მასონების შეჩერების საკითხი მე ჩამაბარეს კავკასიის მასშტაბით,„დაჟე“ მილიონსაც მპირდებიანო!**

სხვათაშორის, როცა მასონებს ებრძოდა, მაშინ დიფ სთეითი ჯერ არ იყო გაჩენილი, თორემ მაგასაც გაუშრობდა სისხლს, მიაბამდა კავკასიონის რომელიმე ქედზე და ქვემოდან დაუწყებდა შუა თითის ჩვენებას.

☺

ჰო, მართლა, ერთხელ, როცა **გუბაზი** ქოცი იყო, გაეხუმრნენ — **უნდა გაგათხოვოთო.** ამან ქოშები უკუღმა ყარა — **არ გავთხოვდებიო.**

რატომო? — ჰკითხეს.

ეგღა მაკლია, ვიღაცას ნასკები და ტრუსიკები ვურეცხოო!

ისე კი, **გათხოვება** მაინც არ ასცდა — **პირდაპირ „ვივამედის“ ტანჯულას ჩაუგორდა ლაჯებში.**

# სალომე ბაზოს არ აჩვენოთ!



ეს **ლეგიტიმურ პლეზიდანს** არ აჩვენოთ, თორემ ქოშებს უკუღმა აჰყრის, პარკეტზე გაგორდება და იჯღნავლებს.

ნაცებიც იტყვიან — **ემანუელა კაიფში** იყო და **კობახიძე** სალომე **ზურაბიშვილში** აერიაო.

რავი, იქნებ მართლა **კაიფში** იყო და შეეშალა?

მართალია, მაგიდაზე დადებული ნარკოტიკის პაკეტი **მაკრონმა** ტელეკამერების გამოჩენისთანავე გააქანა შარვლის უკანა ჯიბეში, მაგრამ მაინც...

# უილსონა პაპას, ეტყობა, თავის სიდედრში ვეშლებით!



☺

**უილსონა პაპას** ადრე **ირაკლი კობახიძესთან** ჰქონია მიწერ-მოწერა — **გამამიყენე, როგორც გინდაო.** ამან არ გამაიყენა, დაიკიდა. ის კიდე გაბრაზდა და თავი **კეზერას** გამააყენებინა თვეში 1000 დოლარად.

ეგე, ამიტომაც გამაიყურება **პეტო** ბედნიერად. შენ არ გამაიყენებ? **პეტო** გამაიყენებს, **თინა** გამაიყენებს, **პატარა მიხა** გამაიყენებს.

ერთიც მაინტერესებს — **ნეტავ უილსონა პაპას ცოლი** თავის 100 წლის დედას ისევ სცემს? რავი, ადრე თქვეს, მოხუცთა თავშესაფარში მიუვარდა, პირში წამალს ტენიდა და თავზე წყალს ასხამდაო. შერიფმა ეს დედაზე თავდასხმად შეაფასა და თავის ანგარიშშიც ჩაწერა.

შერიფ! **თქვენს ანგარიშში ისიც ჩაწერეთ, რომ ეს ქოფაკი ყოველდღე თავს ესხმის საქართველოს.** ეტყობა, მაგას თავის სიდედრში ვეშლებით!

პროგრესია — **პეტო ცისკაროლლი** პანკისის ხეობაში აღარ დადის, ახლა გეზი აშშ-სკენ აქვს აღებული!

**მიხაკო სააკაშვილს** ვაჟი მოსწრებია, უკვე იმდენს მიაღწია, **უილსონა** პაპასთან სურათიც გადაუღია!

**ბოკუჩავაც** მაგარი ნასიამოვნები ჩანს — ეტყობა, **უილსონა** დაჰპირდა, **იმ დავთარზე, მე რომ შევადგინე შენზე დაყრდნობით, ტრამპს ხელს მოვაწერინებო!**

☺

ვატყობ, **უილსონა პაპას** ჩემზე მეტად უყვარს საქართველო. მე პეიჯერით არ დავდივარ და მით უფრო, ზედ საქართველოს დროშა არ მაქვს მიწეპებული.

## ვახტანგ ძაბირაძე:

***ივანიშვილი თუ დაინახავს, რომ ოპოზიცია ძლიერდება და დიდ ერთობას ეყრება საფუძველი, მაშინვე სააკაშვილს გამოუშვებს!***





### განა გამოშვებული და თავისუფალი არ არის?

იცით, სულ მიკვირს, **საიდან იცის ამ ხალხმა ამდენი, როგორ კითხულობენ ბიძინა ივანიშვილის აზრებს დიდი ხნით ადრე?**

ალბათ, სპეციალურ განათლებასთან ერთად რაღაც ზებუნებრივი ნიჭიერობაც უნდა ახასიათებდეს ადამიანს, თორემ ეგეთ ლოღიკურ ანალიზს ვერ გააკეთებდნენ.

ეტყობა, **ბატონი ვახტანგი** ხათრიანი კაცია, თორემ უფრო მეტსაც იტყოდა... მაგალითად, **იმას, რა მოხდება, როცა ბიძინა ივანიშვილი მიხეილ სააკაშვილს გამოუშვებს? სააკაშვილი ეგრევე აუშვებს დახეულ აფრებს თუ უნდა დაველოდოთ? თუ დიდ ერთობას საფუძველი არ ჩაეყრება, არ გამოუშვებს?**

ხედავთ, რამდენი და რამსისხო კითხვის ნიშნები არსებობს? დარწმუნებული ვარ, **ბატონმა ვახტანგმა** ისიც იცის, სად გაქრა **გიულ-დედულის მეგობარი გიორგი ჩალაძე,** რატომ აღარ ჩანს ბოლო დროს, ნუთუ მათ შორის შავმა კატამ გაირბინა?

ისე კი, განა **სააკაშვილს** ბიძინა ივანიშვილის მხრიდან **გამოშვება** სჭირდება და უკვე **გამოშვებული** არაა? განა **თავისუფალი** არ არის და „ვივამედის“ ფსიქიატრიული კლინიკიდან **თავისუფლად** არ აფრქვევს აზრებს?

ახლა მხოლოდ იმას ვდარდობ, **ბატონი ვახტანგიც გამოშვებული** და **თავისუფალი** არ იყოს!

***ეს სულ ახალი ამბავია: გლდანის ტბასთან დაკარგული კატა პატრონმა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, 9 მთას იქით, კანდელაკის ქუჩაზე, დაკარგვიდან 2 კვირის შემდეგ დასტრესილი და ჩონჩხადქცეული იპოვა! ცხოველი ვერ მოყვება, რა განსაცდელი გამოიარა, თუმცა, ყველაფერს მისი მეტყველი თვალები ამბობს. კატა, სახელად ბუდლა დღეს უზომოდ ბედნიერია, წონის აღდგენას და სტრესის დავიწყებას მონდომებით ცდილობს, მისთვის საგანგებოდ შერჩეულ უგემრიელეს სასუსნავებს გეახლებათ. ვესაუბრებით კატის მზრუნველ პატრონს, სტილისტ ეკა ხასაიას, რომელსაც სპორტის სასახლის წინ, მზეჭაბუკის ქანდაკების მახლობლად მდებარე საპარიკმახეროში მივაკითხეთ:***

— ჩემი ბუდლა სამეფო ჯიშის ციმბირული კატა გახლავთ. ერთი ციდა იყო, როცა ჩემმა ბიჭმა სახლში მოიყვანა. ახლა უკვე 10 თვისაა, ტანით გაიზარდა, თუმცა, ჯერ ისევ კნუტად მიგვაჩნია. თავიდან ყურადღებას არ ვაქცევდი, 2 დღის განმავლობაში ძალიან გაბრაზებულიც კი ვიყავი ოჯახში მისი შემომატების გამო, რადგან გერმანული ნაგაზიც გვყავს — უჭკვიანესი ბეილი და მეგონა, ორი ცხოველი ერთმანეთს ვერ შეეგუებოდა. მაგრამ ბუდლამ თავად გამოიჩინა ჩემთვის გულის მოლბობის ინიციატივა და ეს საუკეთესოდ გამოუვიდა.

**— როგორ დაიკარგა? იცელქა და სახლიდან გაგეპარათ?**

— გლდანის პატარა ტბის მიმდებარედ ვცხოვრობთ. ბუდლა სახლშია გაზრდილი, ეზოკარი არასოდეს დაუტოვებია. გარეთ კი გადიოდა, მაგრამ ჩვენი მეთვალყურეობით. აღდგომას სამეგრელოში წავედით და ბუდლაც წავიყვანეთ. მგზავრობა მაინცდამაინც არ ესიამოვნა და თბილისში რომ დავბრუნდით, მეორე დღესვე დაიკარგა. საღამოს უკვე სახლში გვეგულებოდა, მაგრამ, თურმე, ეზოში დარჩენილა. ძალიან განვიცადეთ და ვინერვიულეთ. მარტო ოჯახი კი არა, მთელი უბანი ეძებდა ბუდლას, რადგან ყველას ძალიან უყვარს ეს ლამაზი და კეთილი ქმნილება. აი ასე, უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა!

**— რას ნიშნავს, „უგზო-უკვლოდ“? ხომ არ დაიბარებდა, აქა და აქ მივდივარო?**

— საქმე იმაშია, რომ ბუდლა თვითონ არასოდეს შორდებოდა სახლს. წარმოდგენაც არ მინდა, მაგრამ მანქანას რომ გაეტანა ან ძაღლებს დაეგლიჯათ, ეს სახლის მახლობლად უნდა მომხდარიყო, თანაც კნავილის ან ყეფის ხმას ვინმეს გაიგებდა... მოკლედ, მთელი უბანი ფეხზე დადგა, მაგრამ ამაოდ.

**— იქნებ, ვინმემ მოიპარა?**

— ყველაზე რეალურად ეგ ვერსია ჟღერს. ბუდლა ისეთი ლამაზია, არ გამიკვირდება, მისთვის პირველივე შემხვედრს თვალი დაედგა. თანაც თვინიერია, ადამიანებს არ გაურბის და ადვილად შეიძლება, ვინმეს წაეყვანა კიდეც. არადა, როცა ბუდლა ვიპოვეთ, ისეთი შეშინებული, გამხდარი და ნახეტიალები იყო, რომ მოპარულს ნამდვილად არ ჰგავდა. შეიძლება, კატა ვინმეს კიდეც მოეპარა, მაგრამ რატომ აშიმშილებდა? თანაც, კატას ველურ ბუნებაში ხეტიალის კვალი ჩონჩხადქცეულ სხეულზე ეტყობოდა — ტალახმიმხმარს, ბეწვზე ათასგვარი ძურწა ბალახი ჰქონდა აკრული. ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში იხეტიალა. ხოლო, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კატა გლდანის ტბასთან დაიკარგა და კანდელაკის ქუჩაზე ვიპოვეთ, თითქმის წარმოუდგენელია მარშრუტი, რომელიც 2 კვირის განმავლობაში ბუდლამ გაიარა. ცხადია, გლდანიდან საბურთალომდე ქუჩა-ქუჩა არ ივლიდა და, სულ მცირე, ამერიკის საელჩოსთან უნდა ჩაეარა. გლდანსა და საბურთალოს შორის დიდი დიღომი და ვეძისის მთებია, დაუსახლებელი ადგილები ველური ბუნებით. გარეგნობიდან გამომდინარე, რაც პოვნისას ბუდლას ჰქონდა, დიდი ალბათობით, მან სწორედ ამ მთებში იხეტიალა, მშიერ-მწყურვალმა ათობით კილომეტრი გაიარა და ბოლოს ლისის ტბის გავლით კანდელაკის ქუჩამდე ჩამოაღწია! არ გამოვრიცხავ, რომ თავიდან მოიპარეს და მერე გამოექცათ; ანდა, მომპარავმა თავად გააგდო, სულაც, დაუსახლებელ ადგილზე მიიყვანა და იქ მიატოვა, როცა სოციალურ ქსელებში მასზე ნამდვილი ძებნა გამოცხადდა.



ეკა ხასაია:

# ვგრძნობ, რომ ბუდლა აღარასოდეს მიმატოვებს!

## „არავინ იცის, რა გადახდა ჩემს ბუდლას ვეძისის მთებში 16-დღიანი ხეტიალისას. ის ნელ-ნელა გამოდის სტრესიდან!“

ინტერნეტში ზღვა ინფორმაციაა დაკარგული და ნაპოვნი კატების შესახებ. მათი გამჭრიახობის თაობაზე ლეგენდები დადის. ასე, მაგალითად, **უზბეკეთის დაბა გულისტანიდან რუსეთის ქალაქ ლისკიმდე კატის მოგზაურობა თითქმის ორი წელი გაგრძელდა.** მწვანეთვალება კატამ, სახელად **ქარიმმა,** სამი სახელმწიფო საზღვარი გადაკვეთა, 3000 კილომეტრი გაიარა და ბოლოს თავის პატრონს **რავილ ხაიროვას** მაინც მიაგნო.

*კატა კარიმის განსაცდელი მაშინ დაიწყო, როცა მისმა პატრონმა ქმარ-შვილთან ერთად დაახლოებით 2 წლის წინ მუდმივად საცხოვრებლად რუსეთში გადასვლა გადაწყვიტა. ოჯახი ძლიერ წუხდა, რადგან საყვარელი კატის უზბეკეთში დატოვება უწევდათ. მიაჩნდათ, რომ თავისუფლებისმოყვარე 9 წლის კარიმი 3 დღის განმავლობაში მატარებლით მოგზაურობას ვერ გადაიტანდა, ამიტომ მეზობლებს მოურიგდნენ, რომ მათი კატა შეეფარებინათ. მაგრამ რუსეთში ჩასვლისთანავე, კატის პატრონს შემფარებელმა დაურეკა და აცნობა, რომ მისი ფისო პატრონის გამგზავრებიდან მეორე დღესვე უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა.*

*დრო გავიდა. ოჯახი უცხო ქვეყანაში ცხოვრებას ნელ-ნელა ეგუებოდა და უცბად ნამდვილი სასწაული მოხდა: ქალბატონი რავილი სამსახურში გაემართა. ის ბაზარში მუშაობდა. მოულოდნელად მას ფეხებში გაებლანდა გაძვალტყავებული კატა და ქალმა თვალებს არ დაუჯერა, როცა თავისი კარიმი იცნო!*

*მსგავსი ამბავი მომხდარა ამერიკაშიც: კატამ, რომელიც კალიფორნიაში მოგზაურობის დროს, იელოუსტონის პარკში სეირნობისას პატრონებს დაეკარგა, 1500 კილომეტრი გაიარა და შინ დაბრუნება მაინც შეძლო!*



**— და მაინც როგორ იპოვეთ ეკა, თქვენ ბუდლა?**

— ძალიან ვემადლიერები დაკარგული ცხოველების მოძიების ჯგუფს, რომელიც სოციალური ქსელით უანგაროდ ავრცელებს ინფორმაციას და ადამიანებს გაუჩინარებული ოთხფეხა მეგობრების პოვნაში ეხმარება. ჩემს შემთხვევაში ასეთი გამოდგა გულისხმიერი რუსი ჭაბუკი, რომელიც კანდელაკის ქუჩაზე ცხოვრობს. მას ბუდლა იქვე, ბუჩქებში მჯდარი უპოვია და შეუფარებია.

**— კატის დაკარგვის ინფორმაცია ჯგუფში თავად გაავრცელეთ?**

— დაკარგვის დღესვე ინფორმაცია მეც გავავრცელე, ჩემმა ბიჭმაც, მისმა მეგობრებმა და უბნელებმაც. უამრავი ხალხი გვეხმიანებოდა, ღმერთმა გაპოვნინოთ თქვენი ფისოო, — გვამხნევებდნენ. გავიძახოდი — ნეტავ, მაპოვნინა და თუნდაც ყური ჰქონდეს მოჭმულიმეთქი! დაკარგვიდან მე-16 დღეს საღსალამათი, თუმცა, გაძვალტყავებული ვიპოვეთ. ეს კიდევ უფრო გვიმძაფრებს ვარაუდს, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ვეძისის მთებში ხეტიალობდა. პოვნის იმედი უკვე გადაწურული გვქონდა, კიდეც გამოვიგლოვეთ. 11 მაისს შევდიოდი ფეისბუქზე და, მოულოდნელად თვალში ბუდლას ფოტო არ შემომეფეთა?! მპოვნელი უკეთილშობილესი ბიჭია! სამწუხაროდ, ვინაობის დასახელების ნებართვა არ მაქვს, მაგრამ „ასავალ-დასავალის“ ფურცლებიდან დიდ მადლობას ვუძღვნი და როგორც კი ჩვენი ინტერვიუ გამოქვეყნდება, აუცილებლად მივუტან გაზეთს! სხვათაშორის, მითითებულ ნომერზე ერთდროულად ვრეკავდით მე და ჩემი ახლობლებიც და ცალ-ცალკე ვეუბნებოდით — „ეგ ჩემი კატაა“, რამაც დიდი გაუგებრობა გამოიწვია, რადგან მოულოდნელად კატას ერთდროულად ოთხი პატრონი აღმოაჩნდა. ჯგუფში, აღშფოთებული ხალხი აკომენტარებდა — **ნახეს ჯიშიანი კატა და ყველა მისაკუთრებას ცდილობსო...** ძლივს დავარწმუნეთ ჭაბუკი, რომ თაღლითები არ ვიყავით, კატა ნამდვილად ჩემი იყო. რისთვისაც ბუდლასთან ერთად გადაღებული ფოტო დაგვჭირდა.

**— როგორი იყო თქვენი შეხვედრა?**

— ძალიან ემოციური. ტირილი ამივარდა. — „ბუდლა, ბუდლა“-მეთქი — დავუძახე. შეშინებულმა შემომხედა, მაშინვე მიცნო და ისე ჩამეხუტა, გარშემომყოფებიც სიხარულით აატირა. პირდაპირ გეტყვით — **მილიონი რომ ეჩუქებინა ვინმეს, ასე ძალიან მაინც არ გამიხარდებოდა!** შეხვედრის მომენტი ვიდეოზეა გადაღებული და რამდენჯერაც ვნახე, იმდენჯერ სიხარულით ვიტირე! სახლში რომ მოვიყვანე, ჩემს ძაღლთან შეხვედრა უნდა გენახათ... ერთმანეთი ძალიან უყვართ და მშვენიერი კოჰაბიტაცია აქვთ! **აქვე მინდა, ყველას გავუზიარო ჩემი განწყობა და საზოგადოებას თხოვნით მივმართო:** — ხალხო, ნურავინ მიითვისებთ დაკარგულ ცხოველს. გახსოვდეთ, ამით უდიდეს ტკივილს აყენებთ როგორც მის პატრონს, ასევე თვით ცხოველსაც. ისე კი, დაკარგვის გამო დარდს შეიძლება ცხოველიც გადაჰყვეს და მისი პატრონიც!

**— ადაპტაცია უკვე გაიარა?**

— სახლში მოყვანის მერე ელდა გვეცა — 7-კილოგრამიანი კატა 1 კილომდე იყო შიმშილისგან დასული. ისე კი მიკვირს, ან ძაღლებს როგორ გადაურჩა, ან თავსხმა წვიმებს სად ეფარებოდა? მოკლედ, ადაპტაციის პროცესი ჯერ კიდევ გრძელდება — იმხელა სტრესი აქვს გადატანილი, თამაშის ხალისი არა აქვს და ძილად არის მივარდნილი, ლამის თვალგახელილს სძინავს! მირჩიეს, ვალერიანის წვეთებით დავამშვიდო, მაგრამ ვალერიანის წვეთები ხომ კატისთვის ნარკოტიკია და არ მინდა, ნარკოტიკზე შევსვა.

**— ასეა თუ ისე, განსაცდელმა ბუდლასაც პოპულარობა მოუტანა.**

— მართლაც, საყოველთაოდ ცნობილი გახდა. მის სანახავად შორეული უბნებიდან მოდიან, ხოლო, როცა სამსახურში მომყავს, ჩემი კლიენტები, თუნდაც საქმე არ ჰქონდეთ, საპარიკმახეროში ბუდლას მოსაფერებლად დადიან. ჯერ არავის ეთამაშება, ჩემზეა მოწებებული და ვგრძნობ, რომ აღარასოდეს მიმატოვებს!

## „სახლში რომ მოვიყვანე, ჩემს ძაღლთან შეხვედრა უნდა გენახათ... ერთმანეთი ძალიან უყვართ და მშვენიერი კოჰაბიტაცია აქვთ!“

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

***წიგნების მტვერი, ობის სოკო და ოთახის ტკიპები ადამიანის ჯანმრთელობას სერიოზულ პრობლემებს უქმნიან. ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი გვაფრთხილებს, რომ, თუ ჩვენს საცხოვრებელ ბინაში ამ საშიშ აგენტებს ვერ გავუმკლავდებით, მაშინ იმ ვერაგი დაავადებების სამიზნე გავხდებით, რომელთა წინაშეც ოფიციალური მედიცინა თითქმის უძლურია:***



**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე ბაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი ფორტე“, „ტონზილინმა“** ასობით ბავშვი გლანდების ამოჭრას გადაარჩინა. **„იმუნო ჰერბი ფორტემ“** ათასობით ადამიანს გრიპი და კოვიდი თავიდან ააცილა. **„გულის ელექსირი ფორტე“** საიმედო დაცვაა ინფარქტისა და ინსულტისაგან.




**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

## კახა საბახტარიშვილი:

# წიგნის მტვერი ტკიპების ბუდეა!



— თუ ყურადღებით დავათვალიერებთ აბაზანას, სამზარეულოსა და საძინებელს, ადვილად მივხვდებით, რომ მთელი ჩვენი საცხოვრისი, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, მოფენილია ობით, რომელიც სოკოს ერთ-ერთი სახეობაა. ობი ჯანმრთელობისთვის მავნე სოკოა და მრავლდება სპორებით, ანუ ნაწილაკებით, რომლებიც ნებისმიერი ატმოსფერული პირობების მიმართ საოცარ გამძლეობას იჩენენ. უფრო მეტიც, ჩვენ გამუდმებით ვიმყოფებით ამ მიკროსკოპული არსებების, სოკოს სპორების გარემოცვაში, რომლებიც მტვერის ნაწილაკებთან ერთად ეგზომ გახშირებული ალერგიის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

სწავლულთა პროგნოზით, მომავალში მკვეთრად მოიმატებს ალერგიული ასთმის, რინიტის, დერმატიტისა და კონიუნქტივიტის შემთხვევები, თანაც მათი მკურნალობა საგრძნობლად გართულდება და ბევრი თანამედროვე პრეპარატი უძლური აღმოჩნდება!

**— მაინც რას წარმოადგენს ოთახის მტვერი, რომელიც საყოფაცხოვრებო საგნებს, მათ შორის, წიგნებს ფარავს და რას სუნთქავენ დღის განმავლობაში ოთახში გამოკეტილი ადამიანები?**

— ცნობილია, რომ ადამიანის კანი ყოველ სამ დღეში ერთხელ განახლებას განიცდის, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ ადამიანი საცხოვრებელ ბინაში ან სამუშაო ოფისშია გამოკეტილი, მისი კანის მკვდარი უჯრედები იქვე რჩება. ოთახის მტვრის 70 პროცენტი სწორედ ჩვენი კანის მკვდარი უჯრედებისაგან შედგება, რასაც ემატება იმ ადამიანებისა და ცხოველების თმა და ბეწვი, რომლებიც ჩვენი განუყრელი მეგობრები არიან. ოთახის მტვერი საშიში ხდება მაშინ, როცა მასში ჩნდებიან ცოცხალი მიკროსკოპული არსებები — **ოთახის ტკიპები,** რომლებიც ყველგან გვხვდება, სადაც კი ადამიანი ბინადრობს.

ასე რომ, ადამიანის კანის მკვდარი უჯრედები, რომლითაც სავსეა ნებისმიერი ოთახი, მიკროსკოპული ტკიპების გასამრავლებლად იდეალურ გარემოს ქმნის. მტვერში ჩაბუდებული **ტკიპები** სწორედ ადამიანის მკვდარი კანის უჯრედებით იკვებებიან. ოთახის მიკროსკოპული ტკიპები მინდვრის ტკიპებისგან განსხვავებით, რომლებსაც ძალიან საშიში დაავადებები გადააქვთ, უსაფრთხოა — არ იკბინებიან და არც სახიფათო ვირუსი გადააქვთ, მაგრამ ძალზე დამაზიანებელია მათი ცხოველქმედების პროდუქტი, ანუ კანის მკვდარი ეპიდერმისის გადამუშავების შედეგად გამოყოფილი ექსკრემენტები. **ეს ექსკრემენტები დიდი რაოდენობით გლიკოგენს, კერძოდ, გუანინს შეიცავს, რომელიც ძლიერი ალერგენია და ზოგიერთ ადამიანში შესაძლოა, მწვავე ალერგიული რეაქციაც გამოიწვიოს!** ტკიპების მიერ გამომუშავებული გუანინი მტვერთან ერთად ბრონქებში მოხვედრისას ლორწოვანას შეშუპებას იწვევს, ბრონქებს ავიწროებს და სუნთქვას აძნელებს. ასეთ დროს შესაძლოა, უძლიერესი ასთმური შეტევაც კი განვითარდეს. ეს ყველაფერი ძირითადად სწორედ მტვრიან ოთახში ხდება, რადგან ოთახის ტკიპა, როგორც წესი, ქუჩაში არ ცხოვრობს! ტკიპების მიერ გამოყოფილი გუანინის გავლენით ხშირია ალერგიული დერმატიტის შემთხვევებიც, რაც კანის სიმშრალით ან გამონაყარით, ე.წ. ურტიკარიით გამოიხატება.

არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა ადამიანი ქრონიკულ სურდოს უჩივის და ამას იმუნიტეტის დაქვეითებას მიაწერს. შესაბამისად, ასეთი პაციენტი იღებს იმუნიტეტის ამწევ უამრავ მედიკამენტს, მაგრამ უშედეგოდ. **ასეთ დროს პაციენტის ავადმყოფობის მიზეზი არა იმუნიტეტის დაქვეითება, არამედ ოთახის ტკიპაა.** ბევრისთვის შესაძლოა, სენსაციური იყოს ის ფაქტი, რომ ადამიანი, რომელიც სიბინძურეში ცხოვრობს და სახლს არ ალაგებს, წონაში იმატებს. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ოთახის ტკიპების მიერ გამოყოფილი გუანინი ააქტიურებს ადამიანის ცხიმოვან უჯრედებს, რომლებიც მრავლდება, ცხიმებს აგროვებს და ადამიანის გასუქებას იწვევს. მოკლედ, **ვინც სახლს არ ალაგებს და მოუწესრიგებელ გარემოში ცხოვრობს, ჭარბი წონა გარანტირებული აქვს!**

**— მაინც რა რაოდენობის ტკიპა ბინადრობს მტვრიან და საშუალო სიდიდის ბინაში?**

— სამოთახიან ბინაში ერთი წლის განმავლობაში დაახლოებით 40 კილოგრამი მტვერი გროვდება, ხოლო ოთახში 1 კვადრატულ მეტრზე დაახლოებით 150 მილიონი მიკროსკოპული ტკიპა ცხოვრობს. საშუალო ზომის ბინაში ასეთი ტკიპების ოდენობა დაახლოებით 10 მილიარდ ერთეულს აღწევს. ისინი განსაკუთრებით ბევრია საძინებლებში, რადგან საწოლის მატრასებზე დიდი რაოდენობით კანის მკვდარი უჯრედები ილექება. ტკიპები აქტიურად ეტანებიან შალის ხალიჩებსა და გადასაფარებლებს, რომლებშიც, როგორც წესი, დიდი ოდენობის მტვერი გროვდება. **ამიტომ ჩემი რჩევაა, ოთახს აუცილებლად მოვაშოროთ შალისა და მატყლისგან დამზადებული ხალიჩები და უფრო სინთეტიკური ქსოვილები და გადასაფარებლები შევიძინოთ, რომელსაც ოთახის ტკიპები ნაკლებად ეტანებიან!** ეს არ ეხება ტანსაცმელს, რომელიც აუცილებლად ნატურალური ქსოვილისა და ტყავისგან უნდა იყოს დამზადებული.

ოთახის ტკიპების საყვარელი თავშესაფარია ძველი წიგნები და ფოლიანტები, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, ნესტიან გარემოშია მოთავსებული და იდეალურ გარემოს წარმოადგენს ობის სოკოს ერთ-ერთი სახეობის — **სოკო ასპერგილუსის** გასამრავლებლად. მის მიერ გამოყოფილი შხამიანი ნივთიერება **აფლოტოქსინი** ღვიძლის კიბოს მაპროვოცირებელია. ამიტომაცაა, რომ ძველ არქივებსა და სამკითხველოებში

**„ძველ არქივებსა და სამკითხველოებში მომუშავე პერსონალი არცთუ იშვიათად სწორედ სიმსივნით ავადდება და ათასგვარი ალერგიით იტანჯება!“**

## კვირგვინოსნები

**თინა მახარაძე**
*მსახიობი*



გურანდა გაბუნია **ვერ მიტანდა და ამას არც მალავდა.** სცენარში მქონდა ტექსტი, სადაც ჩემი პერსონაჟის ქმრისთვის ისეთი სიტყვები უნდა მეთქვა... ამაზე პროტესტი გამოთქვა, **ისეთ სიტყვებს იყენებს ის ბილწი გოგო თინა მახარაძე, რომ მე ვტოვებ სერიალსო.**

„სარკე“

**მაყვალა ჩიხლაძე**
*მომღერალი*



არჩილ ჩიხლაძეს ჭირისუფლად მე ვეჯექი, **მისი ყოფილი ცოლებიდან არცერთი მოსულა სამძიმარზე.** ცხოვრებაში არაფერს ვნანობ. ბედნიერი ქალი ვარ. **მე და არჩილმა ბევრი რამ გავაკეთეთ ხალხისთვის.** ახლა ჩემს სიმღერებს რომ ვუსმენ, სულ ვტირი, რადგან ის ბედნიერი წლები მახსენდება.

„სარკე“

**მაია დათუნაშვილი**
*მუსიკათმცოდნე*



იმ ასაკში ვარ, როცა **გაშიფრული მყავს ადამიანები** და ველარავინ მატყუებს.

„თბილისელები“

**ეკა ამირეჯიბი**
*მსახიობი, ტელეწამყვანი*



**შეიძლება, ძველმოდური ვარ,** შეიძლება, თეატრშიც კიდევ უფრო ხშირად უნდა დავდიოდე, მაგრამ რა ვქნა, **ბევრი ბილწსიტყვაობა არც ლიტერატურაში მომწონს დიდად და არც სცენაზე.**

„ახალი თაობა“

# „ოთახს აუცილებლად მოვაშოროთ შალისა და მატყლისგან დამზადებული ხალიჩები და უფრო სინთეტიკური ქსოვილები და გადასაფარებლები შევიძინოთ, რომელსაც ოთახის ტკიპები ნაკლებად ელტვიან!“

მომუშავე პერსონალი არცთუ იშვიათად სწორედ სიმსივნით ავადდება და ათასგვარი ალერგიით იტანჯება!

სხვათაშორის, ობის სოკო ასპერგილუსისთვის იდეალურ გარემოს ქმნის კომუნისტების დროინდელი ქაღალდის შპალერი, რომელიც ძველ ბინებში ახლაც არის შემორჩენილი. **მოვუწოდებ ყველას: სახლში, სადაც ძველი, კომუნისტური დროის შპალერია გაკრული, არასოდეს იცხოვროთ, სასწრაფოდ გააკეთეთ რემონტი ან ჩამოხიეთ.**

**— რატომ?**

— საქმე ის გახლავთ, რომ ძველი და, მათ შორის, საბჭოთა კავშირის დროს დამზადებული ქაღალდის შპალერი და მასზე ტიპოგრაფიულად დატანილი ნახატები, უმეტეს შემთხვევაში, მავნე ნივთიერებებს შეიცავს, რომელთა უმცირესი დოზაც კი სასიკვდილოდ სახიფათოა! მეორე მხრივ, ასეთ შპალერს კედელზე პურის სახამებლის საშუალებით აკრავდნენ. **სახამებელი, ანუ მოდუღებული პურის ფქვილი, ე.წ. კრახმალი შხამიანი ობის სოკოს გასამრავლებლად საუკეთესო გარემოა.** ამას ისიც ემატება, რომ ქაღალდის შპალერს გააჩნია უწვრილესი ფორები, სადაც ნესტი და მაღალი ტემპერატურა კარგად აღწევს; ეს კი სოკოების გამრავლებას უწყობს ხელს.

**საკმარისია, ძველი, კომუნისტური შპალერი რომელიმე ბინაში ჩამოვხიოთ, რომ მის უკან დავინახავთ გაშავებულ კედელს. სწორედ ეს არის კიბოს გამომწვევი სოკო ასპერგილუსი.**

სხვათაშორის, არსებობს სერიოზული მტკიცებულება იმის შესახებ, რომ წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლებული იმპერატორი ნაპოლეონ ბონაპარტე სწორედ იმ დარიშხანის მსხვერპლი გახდა, რომელსაც მის ოთახში გაკრული შპალერის საღებავი შეიცავდა!

**— თანამედროვე შპალერები ამ მხრივ უსაფრთხოა?**

— უსაფრთხო არც თანამედროვე და მოდური ე.წ. ვინილის შპალერებია. მართალია, ისინი ნესტსა და ჰაერს არ ატარებს, მტკიცეა და ადვილად ირეცხება, მაგრამ, უმრავლეს შემთხვევაში, მძიმე მეტალებს შეიცავს. **მაღალ ტემპერატურაზე, მაგალითად, ზაფხულში, თანამედროვე შპალერების უმრავლესობა გამოყოფს ფორმალდეჰიდს, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე უფრო საშიშ კანცეროგენად არის მიჩნეული.** აქედან გამომდინარე, ჩემი რჩევაა: ბინაში შპალერზე სასწრაფოდ უარი თქვით და კედლები ეკოლოგიურად სუფთა საღებავით შეღებეთ! რაც მთავარია, არ დაუშვათ კედელზე სუფთა ქაღალდის გაკვრაც კი, ე.წ. ნაპრალებისაგან თავის დასაზღვევად!




**— როგორ ვებრძოლოთ ოთახის მტვერს და შხამიან ობის სოკოებს?**

— თუ ოთახს ყოველდღიურად სველი წესით დავალაგებთ და მოვიშორებთ მტვრის შემკრებ შალის ან მატყლის ხალიჩას, მაშინ ალერგიებისგან დაცული ვიქნებით! რაც შეეხება შხამიანი ობის სოკო ასპერგილუსს, რომელიც აბაზანაში ყველაზე უფრო გალაღებული და გამრავლებულია, მის მოსასპობად განსაკუთრებული სითხის გამოყენებაა საჭირო, რომლის მოსამზადებელი რეცეპტურა ძალიან მარტივია:

**50 გრამ ვაშლის ან ღვინის ძმარს დავუმატოთ 25 გრამი ბორის მჟავა, 50 გრამი წყალბადის ზეჟანგი, ანუ ე.წ. პერექისი და 100 გრამი წყალი. ეს სითხე 50-70 გრადუსამდე უნდა შევათბოთ და გულდასმით დავამუშაოთ ის ადგილები, სადაც კიბოს გამომწვევი ობის სოკოებია ჩაბუდებული!**

ყოველთვის ვფიქრობდი, დიდი მეცნიერები, რომლებიც გამუდმებით ძველ ფოლიანტებს ჩაჰკირკიტებდნენ და ოთახის მტვერი არად მიაჩნდათ, როგორ ცოცხლობდნენ დიდხანს, მაგრამ თითქმის ყველას რატომ ემართებოდა ალცჰაიმერის დაავადება, რომელიც სიცოცხლის ხანგრძლივობაზე გავლენას არ ახდენს, თუმცა, გონების სრულ დეგრადაციას იწვევს? ამ საკითხზე ახლახან გამოქვეყნდა დანიელი მეცნიერების დასკვნები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ოთახის ტკიპას მიერ გამოყოფილი გუანინი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია მოხუცებულობითი ჭკუასუსტობის, ანუ ალცჰაიმერის დაავადების წარმოშობის საქმეში. ამის ნათელი დასტურია დიდი პრეზიდენტის **რონალდ რეიგანის** ცხოვრება, რომელიც ძალიან ბევრს კითხულობდა, მაგრამ, როცა ალცჰაიმერის დაავადება შეეყარა, საკუთარ ცოლსაც ვეღარ ცნობდა და სიცილს გვრიდა იმაზე საუბარი, რომ ის ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე უფრო წარმატებული პრეზიდენტი იყო! სხვათაშორის, „ასავალ-დასავალში“ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნდა ვრცელი ინტერვიუ **ზურაბ დოლენჯაშვილთან.** ბევრმა შესაძლოა, არ იცის, რომ მას შემუშავებული აქვს უნიკალური ტექნოლოგია იმის შესახებ, თუ როგორ არის შესაძლებელი ობის სოკოსგან დაცული ვიყოთ და აქედან გამომდინარე, ობით გამოწვეული უამრავი დაავადება თავიდან ავიცილოთ. საქმე ის არის, რომ სამზარეულოში, აბაზანაში, ყოველთვის არის ის პირობები, რომ ობის სოკო განვითარდეს. საერთოდ, ობი ვითარდება მაშინ, როცა ტენიანობა 60 პროცენტს გადააჭარბებს, სამზარეულოსა და აბაზანაში კი ყოველთვის წყლის ორთქლი და სითბოა. იგივე ეხება იმ ოთახებსაც, სადაც ჰაერი არ ნიავდება. არსებობს უნიკალური აპარატი **„პრანა-რეკუპერატორი“,** რომელიც 24 საათის განმავლობაში უზრუნველყოფს იმას, რომ ტენიანობამ 40 პროცენტს არ გადააჭარბოს და ოთახი ზამთარ-ზაფხულ ნიავდებოდეს. ასეთ სიტუაციაში ობის სოკო ვერ მრავლდება. ამიტომ ყველას ვურჩევ, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში: თუ გსურთ, თქვენი შვილები ჯანმრთელი გაიზარდონ და დაიცვათ სხვადასხვა ალერგიებისგან, აუცილებლად მოიძიეთ რეკუპერატორი!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***







## კვირგვინოსნები

**თამარ გეგეშიძე**
*ქართული ხალხური ცეკვის მკვლევარი*



**ქართული ცეკვა** — ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ფენომენი. მთელი მსოფლიო მაქვს მოვლილი და **არ მინახავს ქვეყანა, რომლის ყველა კუთხეს ასეთი განსხვავებული, თვითმყოფადი ცეკვა ჰქონდეს.**

„სარკე“

**კოკი ფერაზი ფანგანი**
*ინფლუენსერი*



ჩემი ცხოვრება ლაქშერულიც არის და უბრალოც. **საკმაოდ შეძლებული სამეგობრო მყავს,** მათთან ერთად დავფრინავ ყველგან, **მაღალი კლასის სასტუმროებსა და რესტორნებში.** ამას ყოველდღიური სახე არა აქვს, თუმცა, ხშირია.

„თბილისელები“

**გიორგი გაბეცაძე**
*მხატვარი*



**როდესაც ვხატავ,** ვერ ვგრძნობ, როგორ გარბის დრო, **ამით თითქოს ცხოვრებას ვიმსუბუქებ.**

„კვირის პალიტრა“

**ზურა ბალანჩივაძე**
*ჟურნალისტი, ტელეწამყვანი*



**სიზარმაცის მეშინია,** ჩემი აზრით, **სიზარმაცე ძალიან დიდი ნარკოტიკია.** პასუხისმგებლობები მაქვს, მათ შორის, იპოთეკა, **სიზარმაცის უფლება არ მაქვს.**

„თბილისელები“

**ია შუღლიაშვილი**
*მსახიობი*



**პლასტიკურ ოპერაციას** არასოდეს გავიკეთებ, ასაკთან ერთად ეს **ნაოჭიც ძვირფასია.**

„სარკე“

*დასაწყისი იხ. „ა–დ“, 2025 წლის №1-2, 3-20*

# რით უნდა ამაყობდეს ქართველი?



## სიმონ მასხარაშვილი:

# ვახტანგ გორგასლის შეფასებისას ივანე ჯავახიშვილი მწარედ შეცდა!

***პროფესორი სიმონ მასხარაშვილი საქართველოს ისტორიაში ვახტანგ გორგასლის საგანგებო როლზე საუბრობს და აცხადებს, რომ მეფემ, რომელსაც არცერთი დიდი ომი არ მოუგია, ქართველი ერის მეხსიერებაში მაინც გამორჩეული ადგილი დაიკავა:***

— მეორე მსოფლიო ომის შემდეგ **სტალინმა** თავის ბავშვობის მეგობრებს, რომელთა შორისაც იყო **პეტა კაპანაძე,** ასეთი შეკითხვა დაუსვა — **მე უფრო დიდი ვარ თუ ილია ჭავჭავაძე?** მეგობრებმა ერთხმად უპასუხეს — **ილია ჩვენი ერის მამა იყო, მაგრამ შენზე დიდი დედამიწაზე არავინ არისო!** ამაზე **სტალინმა მიუგო — ეს კითხვა ქართველ ხელოვანებსაც დავუსვი, მაგრამ მეგონა,** რომ სხვებისგან განსხვავებით, თქვენგან, ჩემი ბავშვობის მეგობრებისგან, გულწრფელ პასუხს მივიღებდი. **ილია ჭავჭავაძეს საქართველოს ჯურღმული არ ეყო ფრთების გასაშლელად, თორემ მსოფლიო პრეზიდენტი იქნებოდაო!** ამ სიტყვით **სტალინმა** ერთი დიდი ისტორიული კანონი დააფიქსირა — **ნებისმიერი მოღვაწის შეფასებისას უმნიშვნელოვანესია დროისა და სივრცის გათვალისწინება! ილია ჭავჭავაძეს** მცირერიცხოვანი ქართველი ერის უფლებების დაცვაზე რომ უარი ეთქვა და რუსულ, ევროპულ ან ამერიკულ სივრცეში გადაენაცვლა, მე-19 საუკუნის მსოფლიოში ის, უდიდესი ალბათობით, ნომერ პირველი ფიგურა იქნებოდა და, ალბათ, ვერც ვერავინ მოკლავდა! მაგრამ საქართველოში მისმა დარჩენამ მისი მოწამეობრივი აღსასრული განაპირობა! **თუმცა, სწორედ ილია ჭავჭავაძის თავგანწირული ღვაწლის შედეგია ის, რომ დღეს არსებობს ქართველი ერი, საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია, ქართული სახელმწიფო და მე-19-მე-20 საუკუნეებში ქართველმა ერმა მოახერხა მსოფლიო მასშტაბის კულტურის შექმნა.**

მე-12 საუკუნეში, როდესაც მსოფლიოში ქრისტიანობის ზეიმი იყო და ქართველი ერი რიცხოვნობით უმაღლეს ნიშნულებს აღწევდა, **ილია ჭავჭავაძის** მსგავს ადამიანს, შესაძლოა, **დავით აღმაშენებელზე** უფრო დიდი სახელი დაეტოვებინა და მსოფლიო პოლიტიკაშიც უმნიშვნელოვანესი როლი ეთამაშა. **ცნობისათვის,**

**მე-12 საუკუნეში მსოფლიოში დაახლოებით 300-400 მილიონი კაცი ცხოვრობდა და აქედან ქართველი 5-8 მილიონი მაინც იყო.**

**ეს თანაფარდობა იგივეა, დღევანდელ 8-მილიარდიან მსოფლიოში დაახლოებით 100 მილიონი ქართველი რომ იყოს!** ყოველივე ზემოთქმულის გახსენება იმიტომ დამჭირდა, რომ **ვახტანგ გორგასლის** ღვაწლის შეფასება დაუშვებელია მე-5 საუკუნეში შექმნილი მსოფლიო რეალობის გარეშე. ამასთან, **გორგასალი** ისევე, როგორც ნებისმიერი მოღვაწე, იმ დანატოვარითაც უნდა შეფასდეს, რომელიც დრომ ვერ წალეკა და დღემდე ნაყოფი მოაქვს!

**— ვახტანგ გორგასლის გარშემო უამრავი მითი და რეალობა ერთმანეთშია აღრეული. ფაქტია, რომ მას არცერთი დიდი ბრძოლა არ მოუგია, მაგრამ, ამის მიუხედავად, საქართველოს სეფე-დროშა იწყება მისი სახელით — „დროშა გორგასლიან-დავითიან-თამარიანი“. მაინც რატომ არის საქართველოს ისტორიაში ვახტანგ გორგასალი ასეთი პატივდებული?**

— მე-11-მე-12 საუკუნეებში, როდესაც ამ დროშის ასეთი სახელწოდება ჩნდება, ქართველები მიიჩნევდნენ, რომ **დავით აღმაშენებლამდე ვახტანგ გორგასალზე დიდი მეფე საქართველოს არ ჰყოლია.** დავითისა და თამარის ეპოქის ქართველები **ვახტანგ გორგასალს** უფრო დიდ მოღვაწედ მიიჩნევდნენ, ვიდრე **ფარნავაზს, ფარსმან მეორე ქველს,** საქართველოს გამაქრისტიანებელ, მოციქულთა სწორ **მეფე მირიანს, დავით კურაპალატსა და ბაგრატ მესამეს!**

ჭაბუკი ვახტანგ გორგასალი გამეფებისთანავე, ანუ მე-5 საუკუნის შუახანებში, შიდა ქართლიდან განდევნის ალან-ოსებს და სამუდამოდ დაკეტავს დარიალის კარს, რითაც, ფაქტობრივად, პირადი მოკავშირის გარეშე რჩება უძლიერესი სასანიდური ირანისა და ბიზანტიის პირისპირ, ანუ ამ ორი ზესახელმწიფოს აგრესიის შესაკავებლად მას დამატებითი ძალა აღარ ეყოლებოდა, მაგრამ ეს გახლდათ საუკუნოვანი და დიადი არჩევანი. სავსებით რეალური იყო, ამით ირანსა და ბიზანტიას ესარგებლათ და ვახტანგ გორგასლის დინასტიისთვის ტახტი წაერთმიათ, რაც მოხდა კიდეც, როცა 523 წელს ირანელებმა **ვახტანგ გორგასლის** შვილიშვილი —**გურგენი** ქართლიდან გააძევეს და 523 წლიდან 572 წლამდე აღმოსავლეთ საქართველოს ირანელი მარზპანები, ანუ გუბერნატორები მართავდნენ, მაგრამ **დარიალის კარის დაკეტვით და კლიმატური ცვლილებებით გააგრესიულებული ბარბაროსებისთვის საქართველოში ჩამოსახლების ალკვეთით, ვახტანგ გორგასალმა ქართველი ერი და ქართული კულტურა იხსნა იმ გაველურებისგან, რასაც მაშინდელი ევროპა ვერ გადაურჩა!** მეტიც, მე-6 საუკუნის ქრისტიანული ქართული კულტურა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ თვით ირანელი მარზპანი — **ფირან გუშნასტი** და მთელი მისი გარემოცვა, რომელთა შორისაც ცნობილი წმინდანი, ეროვნებით სპარსი **ევსტათი მცხეთელი** იყო, გაქრისტიანდნენ და გაქართველდნენ!

როგორც ერთ-ერთ არამეულ წყაროში ვკითხულობთ, **ფირან გუშნასტი,** რომელიც ირანის შაჰინშაჰის ნათესავი იყო, მონათვლის შემდეგ ორი წლის განმავლობაში ემბაზად გადაქცეული უშველებელი აუზიდან არ ამოდიოდა და ამბობდა — ჩემი წინაპრების ცოდვებისგანაც უნდა განვიწმინდოო! ქართველებმა **ფირან გუშნასტი** ბოლოს იქამდე მიიყვანეს, რომ მან თავის ნათესავ ირანის შაჰს თავი მოაკვლევინა, მაგრამ ქრისტიანობა მაინც არ უარყო!

**— როცა ირანმა და ბიზანტიამ შეიტყვეს, რომ ვახტანგ გორგასალმა დარიალის კარი ჩარაზა და მათ პირისპირ მარტო დარჩა, როგორ მოიქცნენ?**

— ორივე იმპერიამ ერთი და იგივე ქმედების განხორციელებას შეუდგა — ირანის შაჰმაც და ბიზანტიის იმპერატორმაც ქართველ ერისთავებთან დაიწყეს სიგელების გამოგზავნა, რომელთა თანახმადაც, ისინი აქამდე ერისთავების დროებით დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიებს **ერისთავების პირად მამულებად** აცხადებდნენ, ხოლო ამ ერისთავებს ცნობდნენ, როგორც ქართლის მეფისგან დამოუკიდებელ მეპატრონე-მთავრებს. სანაცვლოდ ისინი ერთადერთ რამეს ითხოვდნენ — სიუზერენად ან ირანის შაჰი, ანდა ბიზანტიის იმპერატორი ეღიარებინათ! ბიზანტია და სასანიდური ირანი ქართველ ერისთავებს არც გადასახადებს აკისრებდნენ და არც ლაშქრობებში მონაწილეობას ავალდებულებდნენ. ზოგიერთმა ერისთავმა ბიზანტიისა და ირანის მიერ გამოგზავნილ ამ სიგელებში საქართველოს დაშლა-დანგრევის გარდაუვალი საფრთხე დაინახა და ეს საჩუქარი არ მიიღო, მაგრამ **ვარსქენ პიტიახშმა** — ქვემო ქართლის ერისთავმა — სიამოვნებით მიიღო ირანის წინადადება და **ვახტანგ გორგასლის** ქვეშევრდომობას ირანის შაჰის ქვეშევრდომობა არჩია!

**— კი მაგრამ, ქვემო ქართლის მოსახლეობამ ვარსქენის ღალატი არ გააპროტესტა?**

— ქვემო ქართლში ისევე, როგორც სხვა ნებისმიერ ქართულ საერისთავოში, მოსახლეობაში არსებობდა ძლიერი და სუსტი გვარები. ძლიერი გვარები მართავდნენ საერისთაოებში შემავალ ხევებს. **ვარსქენმა** ყველა ძლიერი საგვარეულო „წილში გაიყვანა“, ანუ მდინარე ხრამის ხევის ოცი სოფლიდან თხუთმეტი ამ ხევის ძლიერ საგვარეულოებს დაუმტკიცა, ხოლო პირად საკუთრებაში ხუთი სოფელი დაიტოვა. ერთი შეხედვით, მოსახლეობისთვის არაფერი იცვლებოდა, გარდა იმისა, რომ ტარიფები მცირდებოდა და ხალხი სამეფო ხაზინისთვის არაფერს იხდიდა; ქრისტიანობას ირანი არ ეხებოდა; სამხედრო ვალდებულებისგან, ფაქტობრივად, ყველა თავისუფლდებოდა, მაგრამ დიპტიხში **ვახტანგ გორგასლის** ნაცვლად ირანის შაჰი **პეროზი** უნდა მოეხსენიებინათ! ამის დასტურია ორი ფაქტი: **1.** „შუშანიკის წამება“, რომელიც თავიდან ბოლომდე ანტიირანული ნაწარმოებია, მაინც თარიღდება არა ვახტანგ გორგასლის, არამედ ირანის შაჰის მეფობის წლებით — **„იყო მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა“...** **2.** ბოლნისის სიონის ერთ-ერთი უძველესი ქართული, ასომთავრულით შესრულებული წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია არა **ვახტანგ გორგასალი,** არამედ ირანის შაჰი. შესაბამისად, მოსახლეობა **ვარსქენ პიტიახშს** იმდენად მოღალატედ არ აღიქვამდა, რამდენადაც „პრაგმატიკოს პოლიტიკოსად“. მეტიც, ქართლის მთავარეპისკოპოსი **მიქაელი,** რომელიც რჯულით დიოფიზიტი მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო, როგორც ჩანს, **ვარსქენ პიტიახშსა** და მსგავს „პრაგმატიკოსებს“ თანაუგრძნობდა. ალბათ, სწორედ ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ ვახტანგ გორგასალმა **მიქაელ მთავარეპისკოპოსი** კათალიკოსად არ გამოაცხადა და ამ თანამდებობაზე თავისი თანამებრძოლი და თანამოაზრე **პეტრე** შეარჩია, რომელიც კაბადოკიელი იყო! ვახტანგ გორგასალმა **ვარსქენ პიტიახშისა** და მისი პარტიის განეიტრალების მიზნით, თავი გადადო და პირადად ეახლა სპარსეთის ახალდარჩეულ შაჰს **პეროზს.** შვიდი წლის განმავლობაში, გორგასალი **პეროზს** თან ახლდა ყველა ბრძოლაში, მათ შორის ინდოეთსა და შუა აზიაში. გორგასალმა პეროზი დაარწმუნა, რომ მისთვის ერთიანი საქართველო უფრო საინტერესო პარტნიორი იქნებოდა, ვიდრე სამთავროებად დანგრეული და დაშლილი...

**— მაშ, რა მოხდა ამის შემდეგ და რატომ დაიწყო ვახტანგსა და პეროზს შორის ომი?**

— ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს საკითხი სათანადოდ გაანალიზებული არ არის, მაგრამ აქვე გეტყვით, რომ **ვახტანგ გორგასლის** შეფასებისას **ივანე ჯავახიშვილი** მწარედ შეცდა! იგი მიიჩნევდა, რომ **ვახტანგ გორგასალი** იყო მონოფიზიტური რელიგიის მიმდევარი და სწორედ ამის გამო ჰქონდა კონფლიქტი ქართლის მთავარეპისკოპოს მართლმადიდებელ **მიქაელთან.** დღეს დამტკიცებულია, რომ **ივანე ჯავახიშვილი** ცდებოდა და **ვახტანგ გორგასალი** მართლმადიდებელი იყო. **სხვანაირად ქართული ეკლესია მას წმინდანად არ შერაცხავდა და არც მის სახელს უწოდებდნენ საქართველოს სახელმწიფო დროშას!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



ვახტანგ გორგასლის დღეს უკვე ჩამორეცხილი ფრესკა სვეტიცხოვლის ტაძარში



ივანე ჯავახიშვილი (1876-1940)



მე-6 საუკუნის ქრისტიანი წმინდანი, წარმოშობით სპარსი ევსტათი მცხეთელი

ქართული „ნიურნბერგის პროცესის“ ფონზე!

# ნაცრეჟიმის სახელით!

**იმ ფონზე, როცა საქართველოს პარლამენტში** თეა წულუკიანის **ხელმძღვანელობით მოქმედი საგამოძიებო კომისია სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილ დანაშაულებს, მათ შორის, 2008 წლის აგვისტოს ომის გარემოებებს იკვლევს, კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ:**
**პრეზიდენტმა სააკაშვილმა 2008 წლის 8 აგვისტოს** განაცხადა, რომ საქართველოს სამთავრობო შენაერთები აკონტროლებენ ყველა დასახლებულ პუნქტს და ყველა სოფელს ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე... სინამდვილეში, **2008 წლის აგვისტოს** ორდღიან ომში **პრეზიდენტმა სააკაშვილმა** ხელი მოაწერა რუსეთთან კაპიტულაციას და საქართველოს მოსახლეობას დაატოვებინა ქვემოთ ჩამოთვლილი სოფლები, რომლებსაც შემდეგ **ქვების გროვა** უწოდა!

ძარწემი
**ალევი**
ქვემო ზიმი
**ზონკარი**
ქემერტი
**ჩიტიანი**
ზემო ომარიშარი
**ქვაბჩარი**
დადიანეთი
**ვაშლოვანი**
ქსუისი
**მარცხენა გეწნვიში**
ერედა
**საკენი**

**დისევი**
ნახარი
**წირქოლი**
შაბათკვარა
**ბოლი**
მრამბა
**ომარიშარი**
ჭარები
**ხუტია**
აწრისხევი
**კლიჩი**
ჯვარისუბანი
**ბალაანი**
ელოიანი

**მანჯიკაანი**
მარტიანი
**მაჭარაანი**
მახიარეთი
**მუჯუხი**
პაპიანი
**უკანამხარე**
უკანუბანი
**ყველდაბა**
შიუკაანი
**ბაზუანი**
ახალდაბა
**ახალსოფელი**
ბეჟანთკარი

**გარუბანი**
ერედა
**მორბედაანი**
გდუ
**ბოსელთა**
გრუ
**კოდიჯვარი**
მამულაანი
**მონასტერი**
ციხისოფელი
**ჭანდარი**
გეზევრეთი
**გუდაწვერი**
ნახიდი

## აი, რას უწოდა პრეზიდენტმა სააკაშვილმა ქვების გროვა!

ქვემო აჯარა
**მამისაანთუბანი**
თამარაშენი
**ახმაჯი**
აძგარა
**ფრისი**
ქვემო აჩაბეთი
**მოსაბრუნი**
იკოთი
**ბუჩუკური**
არგვიცი
**ზემო აჩაბეთი**
კორინთა
**ბუძგური**

ბერულა
**ქურთა**
საძეგური
**გვანდრა**
ერედვი
**კეხვი**
ლარგვისი
**ზემო აჯარა**
ვანათი
**საცხენეთი**
სვერი
**ზემო ზიმი**
ბელოთი
**ხეითი**

დორეთკარი
**მარცხენა პტიში**
ოქონა
**არცევი**
ერგნეთი
**ავნევი**
ყანჩაეთი
**მარჯვენა გეწნვიში**
ტვირბრაშერი
**დელკანი**
ნული
**ხეცკვარა**
ძეგლევი
**ჩხალთა**
პტიში

**თინიკაანი**
მიდელაანი
**ნავისხევი**
ოხირი
**პავლიანი**
კარელთკარი
**ქენქაანი**
ჩიგოიანი
**წიფთაური**
ჭორჭოხი
**ხოზუეთი**
დაბაკნეთი
**ზოდეხი**
თოხთა


მიხეილ სააკაშვილი გორში. 2008 წლის 10 აგვისტო

# ეს სააკაშვილის კისერზეა!

კვირგვინოსნები

**სოსო მანჯავიძე**
*ისტორიკოსი*



არ შემიძლია, რომ არ გამოვეხმაურო **მაკრონის, ზელენსკის, მერცისა და სტარმერის** ეპიზოდს. რა ამბავი ატყდა? **ხალხი სტრესის ქვეშ იყო რუსული დაბომბვების მოლოდინში და რა გასაკვირია, რომ კოკაინი ეყნოსათ?** აი, **პუტინს** რომ შეეყნოსა **მედვედევთან** ერთად, ეგ სულ სხვა იქნებოდა — აგრესორია და იმიტომ! გასაგებია?

„იმედინიუსი“

**ნანა კაკაბაძე**
*„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ წევრი*



დიახ, მე მიმაჩნია, რომ **რუსეთთან საჭიროა დიალოგი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე** და ასევე სხვა საკითხებზე. დიახ, მე მიმაჩნია, რომ **ნატოში საქართველოს გაწევრიანებაზე საუბარი სატყუარაა,** რომელმაც შეიძლება, უბედურება მოუტანოს ჩემს ქვეყანას.

„იმედინიუსი“

**ბიძინა გიორგობიანი**
*„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ ლიდერი*



ერთადერთი პოლიტიკური ლიდერი, რომელიც **ცდილობს რუსეთ-უკრაინის ომის დასრულებას,** არის **დონალდ ტრამპი.**

„იმედინიუსი“

**თამარ ჩიხურდანიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**პრემიერის წერილზე პასუხი აუცილებლად იქნება** ან სიტყვით, ან საქმით. რაც მთავარია, დუმილი დასრულდება და ჩვენც **გვეცოდინება, ვის სურს საქართველოსთან ნამდვილი მეგობრობა.** „იმედინიუსი“

**კაია კალასი**
*პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი*



დემოკრატიებს ძლიერი დაცვა სჭირდებათ, **მხოლოდ ხელშეკრულებები ვერასდროს უზრუნველყოფს მშვიდობას,** საქართველომ ეს 2008 წელს ისწავლა.

„პირველი არხი“

# იუმორისტული ჰოროსკოპი











***ზოდიაქოს ნიშნებს, ხასიათის გარდა, იუმორიც განსხვავებული აქვთ, ზოგი გულწრფელად ცდილობს გარშემომყოფების გახალისებას, ზოგი სარკაზმით გამოირჩევა, ზოგიც, უნებურად, სასაცილო სიტუაციას ქმნის. ასტროლოგები მათ შემდეგნაირად ახასიათებენ:***

**1. ვერძები** ხშირად იმპულსურად ხუმრობენ, შეიძლება, ცოტა უხეშადაც გამოუვიდეთ, თუმცა, უშუალო იუმორი აქვთ და, თუ სიტუაციაც მოეწონათ, კარგად ხალისობენ. ვერძების დევიზია: **თუ ვთქვი, რომ გაგეხუმრე, ესე იგი, ეს იყო ხუმრობა და, თუ არ გაგეცინა, ეს უკვე შენი პრობლემაა!**

**ვერძის** ნიშნით იყო დაბადებული ცნობილი მსახიობი და რეჟისორი, ქართული პანტომიმის სკოლის ფუძემდებელი **ამირან შალიკაშვილი.** ერთხელ ის ბათუმიდან თბილისში მატარებლით მოემგზავრებოდა. მასთან ახლოს მისთვის უცნობი სამი ქალბატონი იჯდა. ერთი მთელი გზა ჟურნალს კითხულობდა, მეორეს — ეძინა, მესამეს — მაგიდაზე გროვად ჰქონდა დაწყობილი ფუნთუშები და მადიანად მიირთმევდა. ეს უკანასკნელი ლამაზი იყო, მაგრამ ფუმფულა. ამირან შალიკაშვილს სულმა წასძლია, მივიდა ამ ქალბატონთან და ერთი ფუნთუშა სთხოვა. მიირთვითო — გაუხარდა ქალს. დიდმა მაესტრომ ერთი ფუნთუშა აიღო, თავის პორტფელზე დაიდო და ფანჯარაში ყურება განაგრძო. კარგა ხნის შემდეგ, როცა მატარებელი თბილისში შემოვიდა, ქალბატონი მიუახლოვდა ამირან შალიკაშვილს და ჰკითხა: რატომ გამომართვით ფუნთუშა, რატომ არ მიირთვით? დიდმა მაესტრომ უპასუხა: ძალიან სიმპათიური ბრძანდებით, მაგრამ სიმსუქნე არ გიხდებათ... ქალმა გაიკვირვა: ჩემს გახდომაზე იზრუნეთ? დიახ — იყო პასუხი.

**2. კუროები** აფასებენ დახვეწილ, ზოგჯერ ცოტა ირონიულ იუმორს. უყვართ კომფორტული გარემო და მშვიდად მოყოლილი სახალისო ისტორიები. კუროს დევიზია: **მიყვარს შავი იუმორი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის შოკოლადშია გახვეული.**

**კუროს** ნიშნით იყო დაბადებული ხალხის საყვარელი მსახიობი **დოდო (დავით) აბაშიძე.** უყვარდა მეგობრები, მათთან ერთად ქეიფი, იყო შესანიშნავი თამადა და ქალბატონების სადღეგრძელოს განსაკუთრებული პატივისცემით ამბობდა. ცნობილია ერთი ქალბატონისადმი მიძღვნილი მისი ფრთიანი ფრაზა: **სახეზე გეტყობათ, რომ სიყვარულის აფიშა ხართ!**

„მერსედესი“ ჰყავდა, მაგრამ ვერ შეეგუა, გაყიდა და „ვილისი“ იყიდა, მე მარტო ეს მანქანა გამიძლებსო.




**3. ტყუპებს** უყვართ სიტყვებით თამაში, ხშირად ხუმრობენ სიტუაციიდან გამომდინარე, უეცრად და ძალიან სწრაფად ცვლიან თემებს. შეიძლება, მათი ხუმრობაც ვერ გაიგოთ, თუკი მათ იუმორის ტემპს არ მიჰყევით. ტყუპის დევიზია: **დღეს იმდენი ვილაპარაკე, საკუთარ თავსაც აღარ ვუსმენდი, მაგრამ მაინც საინტერესო ვიყავი.**
**ტყუპის** ნიშნით იყო დაბადებული ცნობილი მსახიობი **ბორის წიფურია.** ბინის მიღების მოლოდინში, რამდენჯერმე მოუხდა ქალაქის საბჭოს თავმჯდომარესთან მისვლა. ერთ მშვენიერ დღეს თავმჯდომარის მდივნის ოთახში **ბუხუტი ზაქარიაძე** დახვდა — ბინის გაფართოების საკითხზე იყო მისული. წიფურიამ ჰკითხა: — ბინის გაფართოებას რომ სთხოვ, თავმჯდომარეს იცნობო? ბუხუტიმ ჯიბიდან სურათი ამოიღო, აჩვენა და ამაყად უთხრა: მე თუ არა, ამ კაცს ხომ იცნობსო! სურათზე გამოსახული იყო ბუხუტი ზაქარიაძე სტალინის როლში (ფილმიდან „განთავისუფლება“). ბორის წიფურია უცებ ადგილიდან მოსწყდა, სახლში გავარდა, მოძებნა თავისი ფოტო ლენინის როლში და ქალაქის საბჭოში დაბრუნდა. ბუხუტი ზაქარიაძე უკვე წასულიყო. წიფურია შევიდა თავმჯდომარესთან და ჰკითხა, ჩემამდე აქ ბუხუტი ზაქარიაძე რომ იყო, რა გადმოგცათო? თავმჯდომარემ სტალინის ფოტო დადო მაგიდაზე. წიფურიამ სტალინის ფოტოს გვერდით ლენინის ფოტო დაუდო და უთხრა: მაგაზე ნაკლები არც მე ვარო! გაფითრებულმა თავმჯდომარემ მდივანს დაურეკა: **სანამ აქ ორჯონიკიძე მოსულა, ეს კაცი წაიყვანე და ჩვენ რომ ვიცით, ის გაუფორმეო...**




**4. კირჩხიბის** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანები ხშირად საკუთარ თავზეც ხუმრობენ, უყვართ ნოსტალგიური ხუმრობები, მათი დევიზია: **ჩემს ხუმრობებზე არ გაგეცინათ? არაუშავს, მეც თუ არ გამეცინა, ვიტირებ მაინც.**

სომეხი მსახიობი **ფრუნზიკ მკრტიჩიანი კირჩხიბის** ნიშნით იყო დაბადებული, მას სევდიან კომიკოსსაც უწოდებდნენ. როდესაც ცხვირის ზომაზე დასცინოდნენ, ხალისობდა: **ბავშვობიდან უფრო იმაზე ვწუხდი, სხვებს რომ პატარა ცხვირები ჰქონდათო.** 1981 წელს, როდესაც ლეონიდ ბრეჟნევი თბილისში იყო ჩამოსული, ედუარდ შევარდნაძესთან ერთად, ის იმ კონცერტს დაესწრო, სადაც ფრუნზიკ მკრტიჩიანიც მონაწილეობდა. სცენაზე ტორტით ხელში მოძრაობდა და „მიმინოს“ გმირს — ვალიკოს ეძებდა: ჩემი მეგობარი პილოტი, ვალიკო ხომ არ გინახავთო? მერე, როცა ვალიკო — იგივე ბუბა კიკაბიძე სცენაზე გამოჩნდა, ხმამაღლა ჰკითხა: ვალიკ-ჯან, აქ რა ხალხი შეკრებილა, კარგი ხალხია? სცენარში ეს ფრაზები არ იყო, არადა, კითხვა ისე დასვა, მხოლოდ სცენაზე მყოფ სტუმრებს კი არა, მთავრობის ლოჟაში მსხდარ ბრეჟნევს, შევარდნაძეს და სხვა მაღალი თანამდებობის პირებსაც ეხებოდა. ბუბა არ დაიბნა, ესენი კარგი ხალხიაო, უპასუხა და სიტუაცია განმუხტა.






**5.** ამბობენ, რომ **ლომის** ნიშნის ქვეშ დაბადებულებს თეატრალური იუმორი აქვთ, უყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა და ხშირად თვითონ ხდებიან ხუმრობის „ვარსკვლავები“. ლომის დევიზია: **ჩემი ხუმრობები ყოველთვის სასაცილოა და, თუ არ გაგეცინა, ესე იგი, არასწორად გაიგე.**

**ლომის** ნიშნით იყო დაბადებული ცნობილი კომიკოსი **ლუი დე ფიუნესი.** ვის აღარ ამსგავსებდნენ, მაგრამ თავად ამტკიცებდა, რომ საკუთარ დედას ბაძავდა, რომელიც ძალიან საყვარელი და სასაცილო იყო. ხუმრობდა: **როგორც კი დავიბადე, პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, ხოლო, როცა ფილმებში გადაღება დავიწყე, მეორე მსოფლიო ომი დამთავრდაო.** უნდოდა, საკუთარ დაკრძალვაზე ფილმის გადაღება, ამბობდა: **ეს იქნებოდა ჩემი საუკეთესო ფილმი და ხალხს საბოლოოდ გავაცინებდიო.** ამბობენ, რომ მთელი ცხოვრება ევროპის ერთ-ერთ ცივილიზებული ქვეყანაში, საფრანგეთში გაატარა, მაგრამ ისე გარდაიცვალა, როგორც განვითარებადი ქვეყნის შვილი — 1983 წლის 27 იანვარს სასწრაფო დახმარების მანქანა დროულად რომ მისულიყო, იქნებ გადაერჩინათ კიდეც...



**6. ქალწულის** ნიშნით დაბადებული ადამიანები იუმორით და სარკაზმით არიან დაჯილდოებულნი, ხშირად დეტალებზე ორიენტირებულნი და, შეიძლება, ცოტა აგრესიულნიც. ქალწულის დევიზია: **ჩემი იუმორი ისეთი სუფთაა, რომ მასზე მიკრობებიც კი ვერ ცოცხლობენ.**

ქალწულის ნიშნით იყო დაბადებული ცნობილი მსახიობი **სესილია თაყაიშვილი.** ის ახლოს ცხოვრობდა ოპერის თეატრის დირიჟორთან **დიდიმ მირცხულავასთან.** ერთი პერიოდი ბატონი დიდიმო (როგორც მას მიმართავდნენ) ყოველ დილით კუს ტბაზე დარბოდა, იქიდან მომავალი, სესილიას ფანჯრებთან ჩაივლიდა და კუს ტბის მიდამოებში დაკრეფილ იებს მის ფანჯრებში ყრიდა. სესილია ნერვებზე იშლებოდა, დიდიმოს მეუღლეს დაურეკა და უთხრა: **თქვენი ქმარი იებს ნუ მიყრის, შევწუხდი იატაკის დასუფთავებითო.** იმის შემდეგ დიდიმოს სესილიას ფანჯრებში იები აღარ შეუყრია. გავიდა ხანი, სესილიამ ისევ დაურეკა დიდიმოს მეუღლეს: **ძალიან მოწყენილი ვარ, თავს მარტო ვგრძნობ, დიდიმს უთხარით, ისევ შემოყაროს იები ჩემს ფანჯრებში.**









**7.** **სასწორის** ნიშნით დაბადებულებს ახასიათებთ დახვეწილი და დიპლომატიური იუმორი, უყვართ ისეთი ხუმრობა, რომელიც ყველასთან გაჭრის და არავის აწყენინებს. სასწორის დევიზია: **არ ვიცი, ეს იყო ხუმრობა თუ არა, მაგრამ, თუ გაგეცინა, ალბათ, იყო.**

**სასწორის** ნიშნით იყო დაბადებული ცნობილი რეჟისორი **გიგა ლორთქიფანიძე.** ის ხშირად იხსენებდა ნოდარ დუმბაძესთან ერთად თავს გადახდენილ კურიოზებს. ნოდარი ხშირად ხუმრობდა გიგას ფეხის პროთეზზე, მაგრამ ძალიან ფრთხილად, გიგას რომ არ სწყენოდა... აღმართზე ადიოდნენ, ნოდარი სხვებთან ლაპარაკში გაერთო და მეგობარს ჩამორჩა. გიგამ უკან მიიხედა და შეჰყვირა: აბა, ნოდარ, ფეხი გამოადგი! ნოდარმა უცებ მიაძახა: **შენ რა გიჭირს, ძამა, მაი ბილიკი კია საცალფეხო!**

**10.** **თხის რქის** ნიშნით დაბადებული ადამიანების ხუმრობები ზუსტია და ძალზე ეფექტური, მათი დევიზია: **ჩვენი იუმორი ხანდახან ისეთივე მშრალია, როგორც კალენდარი შვებულების გარეშე, მაგრამ სილაღეს მაინც ვასხივებთო.**

**თხის რქის** ნიშნით იყო დაბადებული ცნობილი კომიკოსი **იპოლიტე ხვიჩია**. მოფერებით იპოს ეძახდნენ, იმ სატვირთო მანქანებს, რომელთაც ქუთაისში მისი სახლის მშენებლობისთვის მასალა მიჰქონდათ, „იპსტროი" ეწერა და ყველამ იცოდა, ეს მანქანები სადაც მიდიოდა, მილიცია არ აჩერებდა. **ზურაბ ქაფიანიძე** ხშირად იხსენებდა ამბავს, როცა იპოლიტე კინოსტუდიაში დანით გამოეკიდა. **იპო, შენ გენაცვალე, მოდი, უნდა ჩაგეხუტოო** — ქაფიანიძეს დაუძახია. **იპოლიტეს დანა ამოუძვრია, არ მომეკაროო და გაქცეულა...** თურმე, წინა დღეს უქეიფიათ და ქაფიანიძეს მოფერებით ხელი ისე მოუჭერია, გვერდი უტკენია...







**11.** **მერწყულს** ახასიათებს არაორდინარული იუმორი. ხუმრობენ უჩვეულო თემებზე, რომელიც, ზოგჯერ მხოლოდ თავად ესმით. მერწყულის დევიზია: **ჩემი ხუმრობები იმდენად უნიკალურია, რომც არ გაგეცინოთ, მარტოც ვიცინებ.**

**მერწყულის** ნიშნით იყო დაბადებული ცნობილი მსახიობი **ელენე ყიფშიძე.** საყოველთაოდ ცნობილია მისი სიტყვამოსწრებულობა. მთელი თბილისი ხალისით იხსენებდა სცენას მარჯანიშვილის თეატრის ერთ-ერთი სპექტაკლიდან, როცა ავთო ვერულეიშვილს ტექსტი დაავიწყდა და იმის ნაცვლად, რომ ელენესთვის — რომელიც კინტოს როლს ასრულებდა, ეკითხა, საით მიდიხარო, სად მუშაობო, ჰკითხა.

**ავთომ ტექსტი ვერაფრით რომ ვერ გაიხსენა, ელენემ უპასუხა: სად და ლიხაჩოვის ქარხანაში, შენი დედა ვატირე...**

**8.** **ღრიანკალის** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანები ხშირად ხუმრობენ ტაბუდადებულ თემებზე, რაზეც სხვები ვერ ბედავენ. ღრიანკალის დევიზია: **ჩემი იუმორი ისეთივე ღრმაა, როგორც ჩემი საიდუმლოებები.**

**ღრიანკალის** ნიშნით იყო დაბადებული ვასო აბაშიძის სახელობის მუსკომედიის თეატრის მსახიობი **ციალა გურგენიძე.** 2007 წლის 7 ნოემბერს ის ხალხთან ერთად მიტინგზე იმყოფებოდა, დარბევის დროს გაზითაც მოიწამლა და წყლის ჭავლითაც დასველდა. სახლში დაბრუნებულმა, აღმოაჩინა, რომ ორივე ფეხი დალურჯებულ-გაყვითლებული ჰქონდა. შეყარა ახლობლები, მძიმე მოწამვლა მაქვს, ალბათ, ფეხზე ვეღარ გავივლი, ვკვდებიო. ლოგინში ჩაწვა და სასწრაფო გამოიძახა... ბოლოს აღმოჩნდა, რომ წყლის ჭავლით დასველებული „კოლგოტკიდან" ფერი ფეხებზე გადასვლია. ამბობდა, როგორც კი მითხრეს, რაც მჭირდა, წამოვხტი და ქოთნის ყვავილები მოვრწყეო.




**12.** **თევზების** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულ ადამიანებს ემოციური, სითბოთი და ზღაპრული სიუჟეტებით გაჯერებული ხუმრობები უყვართ. მათი დევიზია: **ჩემი იუმორი ისეთივე ფანტასტიკურია, როგორც ჩემი ოცნებები.**

**თევზების** ნიშნით იყო დაბადებული ცნობილი მსახიობი, ულამაზესი **მედეა ჯაფარიძე.** ის და ოთარ მეღვინეთუხუცესი ერთად თამაშობდნენ სპექტაკლში „აურზაური არაფრის გამო". ერთ დღეს რეპეტიციაზე მედეამ თავის პარტნიორს კვერცხი ჩაუდო ჯიბეში, მერე დღეს — ვაშლი. მეღვინეთუხუცესმა ვერაფრით ახსნა, ეს რას ნიშნავდა. მეუღლეს — გურანდა გაბუნიას მოუყვა ეს ამბავი. გურანდამ გაიცინა: **ჩემი ბრალია, მე ვუთხარი მას, ოთარი თუ მშიერია, ცუდ ხასიათზე დგება, მაგრამ, როგორც კი შეჭამს, მაშინვე კარგ გუნებაზე დადგება-მეთქი.** აი, ამიტომაც მოგიტანა მედეამ საჭმელი რეპეტიციაზე...







**9.** **მშვილდოსნის** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულებს, ხანდახან, იუმორი უხამსობაში გადასდით, თუმცა, უყვართ ყველას გაცინება და, ზოგჯერ, თავიანთ ხარჯზეც. მშვილდოსნის დევიზია: **თუ ჩემი ხუმრობა არ მოგწონთ, არაუშავს, მე მაინც გავაგრძელებ ხუმრობას.**

ცნობილი მსახიობი **ვასო გოძიაშვილი** დაბადებული იყო **მორიელის** ზოდიაქოს ნიშნით, ცნობილია მისი ფრაზა, რასაც საგრიმიოროში, სპექტაკლის დაწყებამდე ხშირად ამბობდა: **ყოველ საღამოს უნდა ვამტკიცო, რომ ნიჭიერი ვარ!** როცა მეუღლეს **სესილია თაყაიშვილს** დაშორდა, ძველთბილისური კილოთი და საყელოზე დამაგრებული, კოპლებიანი „ბაბოჩკით" გამოწყობილი, ამბობდა:

**ჩემი რომ გაუკვირდა ცოლსა, ქალებში ვინ არ ნასულა, ვაა... კინაღამ არ მამკლა, ძლივს გამოვასწარი.**

## საეკლესიო კალენდარი

**✝ 19 მაისი. ორშაბათი.** მართლისა იობ მრავალვნებულისა; მოწამეთა: ბარბარ მხედრისა, ბაქოსი, კალიმაქესი და დიონისესი; მოწამისა ბარბარ ავაზაკყოფილისა.

**✝ 20 მაისი. სამშაბათი. ხსენება გამოჩინებისა პატიოსნისა ჯვარისა იერუსალიმს; ღირსთა ასურელთა მამათა — იოანე ზედაზნელისა** და 12-თა მოწაფეთა მისთა: აბიბოს ნეკრესელი ეპისკოპოსისა, ანტონ მარტყოფელისა, დავით გარეჯელისა, ზენონ იყალთოელისა, თადეოზ სტეფანწმინდელისა, ისე წილკნელი ეპისკოპოსისა, იოსებ ალავერდელი ეპისკოპოსისა, ეზდრიოს სამთავნელისა, მიქაელ ულუმბოელისა, პიროს ბრეთელისა, სტეფანე ხირსელისა და შიო მღვიმელისა; ღირსისა ელია დიაკონისა; მოწამისა



**21 მაისი – ხსენება მოციქულისა და მახარებელისა იოანე ღმრთისმეტყველისა**

აკაკი ასისთავისა; ღირსისა ტარასი მეუდაბნოისა, სასწაულმოქმედისა, ლიკაონიელისა; მოწამეთა: კოდრატე ნიკომიდიელისა, სატორინესი, რუფინესი და სხვათა. **წმიდა კეთილმსახურ მეფე ბაგრატ III-ისა, საქართველოს გამაერთიანებლისა.**

**✝ 21 მაისი. ოთხშაბათი. მოციქულისა და მახარებელისა იოანე ღმრთისმეტყველისა;** ღირსისა არსენი დიდისა.

**✝ 22 მაისი. ხუთშაბათი. წინასწარმეტყველისა ესაიასი;** მიცვალება ღირსისა შიო დიდისა, მღვიმელისა, სასწაულმოქმედისა; ღირსისა ევაგრე ციხედიდელისა; მოწამისა ქრისტეფორესი; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა ნიკოლოზ სასწაულმოქმედისა მირონლუკიიდან ბარიში.

**✝ 23 მაისი. პარასკევი.** მოციქულისა სიმონ მოშურნისა, კანანელისა, საქართველოში ქრისტიანობის მქადაგებელისა; მოწამეთა: ალფესისა, ფილადელფისა, კვიპრიანესი, ონისიმესი, ერაზმისა და სხვათა; მოწამისა ისიქი აღმსარებელისა, სინკლიტიკოსისა, ანტიოქიელისა; ღირსისა ისიდორა სალოსისა; ნეტარისა ტაისიასი; ღირსისა ნისიმესი.

**✝ 24 მაისი. შაბათი. ნეტარისა ქრისტესიასი, ქრისტეფორედ წოდებულისა;** მღვდელმოწამისა მოკიოს ხუცისა; მოციქულთა სწორთა მეთოდესი და კირილესი, სლოვენთა მოძღვართა; ნიკოდიმოსისა, სერბელი მთავარეპისკოპოსისა.

**✝ 25 მაისი. კვირა. აღდგომიდან მე-6, ბრმის კვირიაკე.** ეპიფანე კვიპრელი ეპისკოპოსისა; გერმანე კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა; საბინე კვიპრელი მთავარეპისკოპოსისა და პოლუბისა, რინოკირელი ეპისკოპოსისა; მღვდელმოწამისა ერმოგენისა, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქისა.

## 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: **1. გამბიტი. 7. კათხა; 12. სპინოზა; 13. ნაუსი; 14. მადრიდი; 15. ვაფლი; 16. დერმა; 17. სკოტი; 18. დღე; 19. ტაიჭი; 21. ალიკაპი; 25. კეიტ; 26. ჯიგა; 28. ჯაზი; 30. ნო; 31. ბოა; 32. მანეკენი; 33. მანტუ; 34. ქურქი; 35. კვერნა; 36. კანონირი; 40. რვალი; 42. დანი; 44. ქიმია; 47. კალანდაძე; 49. მზე; 50. ბორდო; 51. ტიციანი; 52. ნიადაგი; 53. იდიში; 56. ჯამნა; 57. კარატი; 60. თრითინა; 63. სირი; 65. ვიზიტი; 66. რკო; 67. საფარი; 68. ოტელი; 69. სპიჩი.**

შვეულად: **1. გომორა; 2. მედიჩი; 3. ილიადა; 4. ისინდი; 5. დიადემა; 6. ლოტრეკი; 7. კავატინა; 8. თაფლი; 9. ანისი; 10. მუსონი; 11. წიწილა; 20. ჭაბუკი; 22. ლუარა; 23. კრედო 24. პლედი; 26. ჯაგერი; 27. გრანდი; 28. ჯიქი; 29. ზურნა; 33. მირი; 36. კოკორი; 37. ნილოსი; 38. ნანეტი; 39. რეაქცია; 41. ლიმონათი; 42. დეკადა; 43. ნაბიჯი; 44. ქედანი; 45. მადანი; 46. ანგინა; 48. ტრამპი; 54. დანია; 55. შოშია; 57. კლიო; 58. რიდე; 59. ტური; 61. თოფი; 62. ნერუ; 63. სოს; 64. რეი.**

**სნობილიკინააპალმირაკურსივიკარიერატოგალიანა**
**მოლიერინიაგარაჟილეტიციალიპომადარაბატიროლი**

# კურო: 21 აპრილი – 20 მაისი

***მიმდინარე კვირაში, 21 მაისიდან, კუროს ზოდიაქოს ნიშანს მოსდევს ენერგიული და მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ტყუპების ნიშანი, გამორჩეული ენამახვილობითა და გონიერებით. ისინი, თავიანთი პერსპექტიული იდეებით და საოცარი ენერგიის წყალობით, ბევრ ახალ და საინტერესო საქმეში ჩაერთვებიან.***

## ზოდიაქოს ნიშნები

**ვერძი:** 21 მარტი — 20 აპრილი; **კურო:** 21 აპრილი — 20 მაისი; **ტყუპები:** 21 მაისი — 22 ივნისი; **კირჩხიბი:** 23 ივნისი — 22 ივლისი; **ლომი:** 23 ივლისი — 23 აგვისტო; **ქალწული:** 24 აგვისტო — 23 სექტემბერი; **სასწორი:** 24 სექტემბერი — 22 ოქტომბერი; **ღრიანკალი:** 23 ოქტომბერი — 22 ნოემბერი; **მშვილდოსანი:** 23 ნოემბერი — 21 დეკემბერი; **თხის რქა:** 22 დეკემბერი — 19 იანვარი; **მერწყული:** 20 იანვარი — 18 თებერვალი; **თევზები:** 19 თებერვალი — 20 მარტი.



დასახელებული **ჯეიმზ სტიუარტი.** მონაწილეობდა მეორე მსოფლიო და ვიეტნამის ომებში. გარდაიცვალა 89 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1935 წლის 20 მაისს, ღორის წელიწადში,** დაიბადა 2010-2015 წლებში ურუგვაის მე-40 პრეზიდენტი **ხოსე ალბერტო მუხიკა**, როგორც მას უწოდებენ: „მსოფლიოს უღარიბესი პრეზიდენტი“. თავის ყოველთვიურ ხელფასს ქველმოქმედებას ახმარდა. გარდაიცვალა ერთი კვირის წინათ, 90 წლის ასაკში, გველის წელიწადში.

## ტყუპების ნიშნით დაიბადნენ ცნობილი ქართველები:



**1961 წლის 21 მაისს, ხარის წელიწადში**, დაიბადა რეჟისორი, მსახიობი და სცენარისტი, საქართველოს კინოაკადემიის წევრი **პაატა ტაბაღუა.**



**1957 წლის 21 მაისს, მამლის წელიწადში,** დაიბადა კინომცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი **ლელა ოჩიაური.**



**1979 წლის 21 მაისს, თხის წელიწადში,** დაიბადა რეჟისორი, მსახიობი, 2005 წლის ჩეხოვის ფესტივალზე საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორად დასახელებული **გურამ ბრებაძე.**



**1953 წლის 22 მაისს, გველის წელიწადში,** დაიბადა მხატვარი, ძველი ქრისტიანული მხატვრობის დაცვის საზოგადოების თავმჯდომარე **ლევან ჭოლოშვილი.**

**1963 წლის 22 მაისს,**

# მიმდინარე კვირა: 19 – 25 მაისი

## კუროს ნიშნით დაიბადნენ ცნობილი ქართველები:



**1942 წლის 19 მაისს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მრჩეველი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე 1990-1999 წლებში და 1999-2009 წლებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე **მინდია უგრეხელიძე.**



**1955 წლის 19 მაისს, თხის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, ედინბურგის, მადრიდის, ადელაიდას, კარაკასისა და ბოგოტას ფესტივალების ლაურეატი **ამირან ამირანაშვილი.** 1996 წლის ვენეციის კინოფესტივალიზე ფილმისთვის — „ყაჩაღები თავი VII“, დაჯილდოებულია ჟიურის სპეციალური პრიზით.



**1982 წლის 19 მაისს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა იურისტი და პოლიტიკოსი, 2018 წლის 23 ივნისიდან „ახალი პოლიტიკური ცენტრი — გირჩის“ თავმჯდომარე, საქართველოს მეათე მოწვევის პარლამენტის წევრი **იაგო ხვიჩია.**



**1980 წლის 20 მაისს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ გმირი თინა, იგივე **მაკა ძაგანია.**



**1982 წლის 20 მაისს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი **ქეთევან ხიტირი.** დაჯილდოებულია „წლის საუკეთესო მსახიობისა“ და „საუკეთესო მსახიობი ქალის“ პრიზებით (რეჟისორ დიმიტრი ხვთისიაშვილის მიერ დადგმულ სპექტაკლებში შესრულებული როლებისთვის).

## კუროს ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1874 წლის 19 მაისს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა დიპლომატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, ეროვნული საბჭოს და დამფუძნებელი კრების წევრი, საქართველოს ელჩი საფრანგეთში **აკაკი ჩხენკელი.** გარდაიცვალა 85 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.



**1952 წლის 19 მაისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა მოცეკვავე, საქართველოს დამსახურებული არტისტი, პირველი ქართველი მიმი მსახიობი ქალი **ქირა მებუკე.** გარდაიცვალა 67 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.



**1969 წლის 19 მაისს, მამლის წელიწადში,** დაიბადა კალათბურთელი, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **დუდუ დადიანი.** 33 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში, მოკლეს სპორტის დეპარტამენტის შენობაში.



**1914 წლის 20 მაისს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა მწერალი, 1968-1980 წლებში ჟურნალ „საბჭოთა საქართველოს“ მთავარი რედაქტორი **ალიო ადამია.** გარდაიცვალა 66 წლის ასაკში, ღორის წელიწადში.



**1921 წლის 20 მაისს, მამლის წელიწადში,** დაიბადა მთამსვლელი, გეოგრაფი, სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი **მარინე უთმელიძე.** გარდაიცვალა 86 წლის ასაკში, ღორის წელიწადში.



**1927 წლის 20 მაისს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა საქართველოს სახალხო არტისტი, საოპერო მომღერალი, ბანი **ირაკლი შუშანია.** გარდაიცვალა 55 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.

## კუროს ნიშნით დაიბადა:



**1946 წლის 19 მაისს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა იტალიელი მსახიობი, რეჟისორი და სცენარისტი, ცნობილი სერიალის „რვაფეხას“ გმირის — კორადო კატანის როლის შემსრულებელი **მიკელე პლაჩიდო.**

## კუროს ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1799 წლის 20 მაისს, თხის წელიწადში,** დაიბადა ფრანგი მწერალი **ონორე დე ბალზაკი.** 1830 წლიდან გვარს დაუმატა ნაწილაკი — დე, რაც მაღალ სოციალურ კლასს გამოხატავდა. გარდაიცვალა 51 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.



**1804 წლის 20 მაისს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა რუსი კომპოზიტორი, რუსული კლასიკური მუსიკისა და საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელი **მიხეილ გლინკა.** გარდაიცვალა 53 წლის ასაკში, გველის წელიწადში.



**1908 წლის 20 მაისს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი, ამერიკის კინოინსტიტუტის მიერ მამაკაც კინოლეგენდათა შორის მესამე ადგილზე

## ასტროლოგიური კვირა მიხეილ ცაგარელის მიხედვით

### 19 მაისი , ორშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 04.38 საათზე. ჩადის 19.18 საათზე. **მთვარე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 00.26 საათზე, ჩადის 10.05 საათზე (მთვარის 22-ე დღე იწყება 03.03 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** თქვენს პრინციპებს სხვებს ნუ მოახვევთ, ყველას უნდა გააჩნდეს თავისი აზრი. კარგი დღეა შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოსავლენად. მოიმატებს სამართლიანობის, სიკეთისადმი მიდრეკილება. კარგი დღეა ხელის სათხოვნელად, სუნთქვითი ვარჯიშებისთვის, ცურვისთვის. მოერიდეთ ნერვიულობას, ფორიაქს, ფანტაზიებს, ზედმეტ ლაპარაკს, მცენარეების დარგვა-გადარგვას (ხეების გარდა). მეგობრულ წრეში დღეს საიდუმლო არ შეინახება. დაუგდეთ ყური უფროსი თაობის მანდილოსანთა რჩევებს. დაეყრდენით რეალურ ფაქტებს, კარგად დაფიქრდით, სანამ რაიმეს იტყვით. სასიკეთო დღეა მეგობრული კონტაქტებისთვის, საზოგადოებრივი და ნოვატორული საქმეებისთვის, სწავლისთვის, საიუბილეო საღამოებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, უძრავი ქონებით, ლითონებით, მინერალებით ვაჭრობისთვის, სახლის მშენებლობისთვის, ელექტრო, გაზ, კომპიუტერული აპარატების შესაძენად, სამშენებლო-სამღებრო საქმიანობისთვის, ბინის შესაცვლელად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, თვალები, ვენები, ფეხის კუნთები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ძოწი, ცირკონი, ციტრინი. **პოზიტიური დღეა** ტყუპებისთვის, ლომისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის.

### 20 მაისი, სამშაბათი

**მზე** გადაინაცვლებს ტყუპების ზოდიაქოში 22.56 საათზე. ამოდის 04.37 საათზე, ჩადის 19.19 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს თევზების ზოდიაქოში 16.28 საათზე, ამოდის 00.54 საათზე, ჩადის 11.17 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 03.13 საათზე. მე-4 ფაზა (16.01). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 16.00 საათიდან 16.30 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები. მზე დღეიდან ერთი თვით გადაინაცვლებს ტყუპების ზოდიაქოში** და ამ ზეგავლენის შედეგად განავითარებს ადამიანთა ხასიათში გონებამახვილობას, აქტიურობას, კომუნიკაბელურობას, ცნობისმოყვარეობას, ოპტიმიზმს, მოგზაურობისადმი მიდრეკლებას, ამავდროულად, ნევროზულ მოუსვენრობას, სულსწრაფობას, გაორება-მერყეობას, უყაირათობას, ტყუილებისა და ფლირტისადმი მიდრეკილებას. დღეს მოიმატებს ეჭვიანობის, შურის, სიხარბის თვისებები. ზოგიერთმა ადამიანმა შეიძლება გამოაჩინოს თავისი ნამდვილი სახე. პარტნიორულ ურთიერთობებში პატივი ეცით პარტნიორის სივრცეს. დიდხანს ფეხზე ნუ იდგებით, ჯობია, იაროთ. მოერიდეთ ნერვიულობას, ზედმეტ ლაპარაკს, ფორიაქს, მცენარეების დარგვა-გადარგვას. მეგობრულ ურთიერთობებში საიდუმლო არ შეინახება. კარგი დღეა რეფორმებისა და სამღებრო საქმიანობისთვის, ელექტრო, გაზ, კომპიუტერული აპარატურის შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ნერვული სისტემა, ტერფები, ვენები. **ქვები:** ცირკონი, აკვამარინი, საფირონი, ძოწი, მარგალიტი. **პოზიტიური დღეა** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** თევზებისთვის.

### 21 მაისი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.36 საათზე, ჩადის 19.20 საათზე. **მთვარე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 01.19 საათზე, ჩადის 12.29 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 03.21 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მიაქციეთ ყურადღება სამყაროს მინიშნებებს. **დღეიდან 9 ივნისამდე დაძაბული ურთიერთობა (ტაუ კვადრატი) პლანეტების — მარსის, პლუტონის და შავი მთვარის ენერგიებს შორის გამოიწვევს ნეგატიურ გამოვლინებებს** — სუიციდს, ძალადობას, ავარიულ ტენდენციებს, ეკოლოგიურ კატასტროფებს, ადამიანთა და ქვეყნებს შორის დაძაბულობას, ტერაქტებს, პროვოკაციებს. დღე კარგია თვითშემეცნებისთვის, მშენებლობისთვის, ფოტოგრაფიისა და კულინარიისთვის. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ, თუ არ ხართ დარწმუნებული წარმატებაში. გაჩნდება საკუთარი თავის შეცვლის სურვილი. პარტნიორულ ურთიერთობებში საკუთარ ბედზე ნუ იწუწუნებთ. მოერიდეთ ტერფების მასაჟს, ანალიზების ჩაბარებას, ექოსკოპიას, ახალი ფეხსაცმლის ყიდვას ან ჩაცმას, ალკოჰოლურ სასმელებს, ფსიქოტროპულ პრეპარატებს, საიდუმლო საქმეებსა და სიყვარულს, დღეს საიდუმლო ადვილად გამოაშკარავდება. სესხს ნუ გასცემთ და ნუ აიღებთ. კარგი დღეა ქორწინებისთვის, მოგზაურობისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, თევზაობისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული, ლიმფური სისტემები, ტერფები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპებისთვის, ლომისთვის, მერწყულისთვის.

### 22 მაისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.35 საათზე, ჩადის 19.21 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს ვერძის ზოდიაქოში 20.33 საათზე. ამოდის 01.41 საათზე, ჩადის 13.42 საათზე (მთვარის 25-ე დღე იწყება 03.27 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 20.08 საათიდან 20.27 საათამდე. **ტენდენციები:** მშვიდად გაატარეთ დღე. დაეყრდენით ინტუიციას. ილოცეთ. გამახვილდება საიდუმლო ცოდნისადმი, ქველმოქმედებისადმი მიდრეკილება. მოსალოდნელია ალერგიული შეშუპება. მოერიდეთ ახალი და მნიშვნელოვანი საქმის დაწყებას ან საკითხის გადაწყვეტას, სესხის აღებას ან გაცემას, ანალიზების ჩაბარებას, ექოსკოპიას, ახალი ფეხსაცმლის ყიდვას ან ჩაცმას, ალკოჰოლურ სასმელებს, ნარკოტიკულ ნივთიერებებსა და ფსიქოტროპულ პრეპარატებს, საიდუმლო საქმეებსა და სიყვარულს. დღეს საიდუმლო ადვილად გამოაშკარავდება. სასიკეთო დღეა მგზავრობა-მოგზაურობისთვის, იურიდიული საქმეებისა და საკითხებისათვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, მოსამზადებელი სამუშაოებისთვის. სპონსორების საძიებლად, ქორწინებისთვის, კონტრაქტების დასადებად, ნადირობასა და თევზაობისთვის, შემოქმედებითი მუშაობისთვის, ფოტოგრაფიისთვის, კულინარიისთვის, საზოგადოების წინაშე გამოსვლისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, ტერფები, თავი, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, შავი გაგატი, ამეთვისტო, მარჯანი, ლალი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

# ტყუპები: 21 მაისი – 22 ივნისი



**კურდღლის წელიწადში,** დაიბადა 1999-2005 წლებში საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის თავმჯდომარე, 1992-1994 წლებში დამოუკიდებელი ტელეკომპანია „იბერვიზიის" გენერალური დირექტორი **ზაზა შენგელია.**

**1932 წლის 23 მაისს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა ლიტერატურათმცოდნე, არმენისტი, ქართულ-სომხური ურთიერთობების მკვლევარი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ბონდო არველაძე.**





**1958 წლის 23 მაისს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა მწერალი **კოტე ჯანდიერი.** მისი მოთხრობა „განსხვავებული კალიბრის ვაზნა" შეტანილია გერმანიაში გამოქვეყნებულ ქართული პროზის ანთოლოგიაში.

**1938 წლის 24 მაისს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა მოცეკვავე, ჟურნალისტი **თენგიზ უთმელიძე.** ცეკვავდა საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლში ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით, ცეკვა „ქართულს" ასრულებდა ნინო რამიშვილთან ერთად. 2005 წელს დააარსა „ქართული ქორეოგრაფიის დღე" (11 ივნისი).



## ტყუპების ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:

**1874 წლის 21 მაისს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა მწერალი, მსახიობი და დრამატურგი, საქართველოს სახალხო არტისტი **შალვა დადიანი.** გარდაიცვალა 84 წლის ასაკში, ღორის წელიწადში.



**1896 წლის 21 მაისს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა მწერალი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **დემნა შენგელაია.** გარდაიცვალა 84 წლის ასაკში, მაიმუნის წელიწადში.



**1937 წლის 21 მაისს, ხარის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, საქართველოსა და სომხეთის სახალხო არტისტი **სოფიკო ჭიაურელი.** იყო ერთადერთი საბჭოთა მსახიობი, რომელიც საერთაშორისო კონკურსებზე შვიდჯერ დააჯილდოვეს პრემიით „საუკეთესო ქალის როლისთვის". გარდაიცვალა 71 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.





**1963 წლის 22 მაისს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, **თეკლა ბატონიშვილის შტოდან, ერეკლე II-ის პირდაპირი შთამომავალი ლევან აბაშიძე.** 29 წლის ასაკში, მამლის წელიწადში, დაიღუპა ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის დროს (ზემო ეშერასთან).

**1950 წლის 22 მაისს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა მხატვარი და პოეტი, ფიროსმანის პრემიის ლაურეატი **ირაკლი ფარჯიანი.** გარდაიცვალა 41 წლის ასაკში, თხის წელიწადში.





**1874 წლის 23 მაისს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, რეჟისორი და დრამატურგი **ვალერიან შალიკაშვილი.** გარდაიცვალა 44 წლის ასაკში, ცხენის წელიწადში.

**1919 წლის 23 მაისს, თხის წელიწადში,** დაიბადა ბადროს მტყორცნელი, პირველი ქართველი მსოფლიო რეკორდსმენი მძლეოსანი ქალი, საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი **ნინო დუმბაძე.** გარდაიცვალა 63 წლის ასაკში, ღორის წელიწადში.





**1933 წლის 23 მაისს, მამლის წელიწადში,** დაიბადა საქართველოს დამსახურებული მხატვარი და პედაგოგი **მამია ახობაძე.** გარდაიცვალა 76 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.

**1940 წლის 23 მაისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა კალათბურთელი, 1997-1999 წლებში საქართველოს კალათბურთის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ლევან მოსეშვილი.** 1972-1997 და 2000-2003 წლებში იყო თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი. გარდაიცვალა 79 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.



**1896 წლის 25 მაისს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა გეოლოგი და ალპინისტი, ლოპოტის თეთრი მარმარილოს საბადოს აღმომჩენი, ქართული მთამსვლელობის ერთ-ერთი ფუძემდებელი და პირველი ექსპედიციების ორგანიზატორი **სიმონ ჯაფარიძე.** დაიღუპა თეთნულდზე 33 წლის ასაკში, გველის წელიწადში.



**1935 წლის 25 მაისს, ღორის წელიწადში,** დაიბადა თბილისის კოლორიტი, **პლეხანოველი მარინა** — **მარინა გელაშვილი.** გარდაიცვალა 76 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



## ტყუპების ნიშნით დაიბადნენ:



**1970 წლის 22 მაისს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა ინგლისელი სუპერმოდელი, მსახიობი და მომღერალი **ნაომი კემპბელი.**

**1987 წლის 22 მაისს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა, სერბი პროფესიონალი ჩოგბურთელი, მსოფლიოს მოქმედი პირველი ჩოგანი **ნოვაკ ჯოკოვიჩი.** აღიარებულია როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი.





**1954 წლის 22 მაისს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა იაპონელი ფიზიკოსი, პროფესორი **სიუჯი ნაკამურა,** რომელსაც 2014 წელს მიენიჭა ნობელის პრემია ფიზიკის დარგში.

**1933 წლის 23 მაისს, მამლის წელიწადში,** დაიბადა ინგლისელი მსახიობი, პროდიუსერი და მწერალი **ჯოან კოლინზი.**





**1951 წლის 23 მაისს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა რუსი მოჭადრაკე, მსოფლიოს მე-12 ჩემპიონი, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ჭადრაკში მამაკაცთა შორის, FIDE-ს სამგზის ჩემპიონი, საჭადრაკო ოსკარის ცხრაგზის მფლობელი **ანატოლი კარპოვი.**

**1947 წლის 24 მაისს, ღორის წელიწადში,** დაიბადა მოლდოველი მსახიობი **სვეტლანა ტომა.** იღებდნენ მოლდოვასა და რუსეთში.



## ტყუპების ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1471 წლის 21 მაისს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა გერმანელი ფერმწერი, გერმანიის აღორძინების უდიდესი მხატვარი **ალბრეხტ დიურერი.** გარდაიცვალა 49 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.



**1844 წლის 21 მაისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა ფრანგი პოსტიმპრესიონისტი, თვითნასწავლ გენიოს მხატვრად აღიარებული **ანრი რუსო.** გარდაიცვალა 66 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.

**1813 წლის 22 მაისს, მამლის წელიწადში,** დაიბადა გერმანელი კომპოზიტორი, თეატრის რეჟისორი და დირიჟორი **რიხარდ ვაგნერი.** გარდაიცვალა 70 წლის ასაკში, თხის წელიწადში.





**1844 წლის 22 მაისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მხატვარი, გრაფიკოსი, როგორც მას უწოდებენ, იმპრესიონიზმის ოთხი „დიდი ქალბატონიდან" ერთ-ერთი **მერი კასატი.** გარდაიცვალა 82 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.

**1924 წლის 22 მაისს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა სომხური წარმოშობის ფრანგი მომღერალი, კომპოზიტორი და მსახიობი **შარლ აზნავური (შაჰნურ აზნავურიანი).** გარდაიცვალა 94 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.





**1707 წლის 23 მაისს, ღორის წელიწადში,** დაიბადა შვედი ექიმი და ბუნებისმეტყველი, პარიზის მეცნიერებათა აკადემიის წევრი **კარლ ლინე,** რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ცხოველთა და მცენარეთა მეცნიერულ სისტემატიკას. გარდაიცვალა 70 წლის ასაკში, მამლის წელიწადში.

**1883 წლის 23 მაისს, თხის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი, რეჟისორი და პროდიუსერი **დუგლას ფერბენკსი.** 1919 წელს მან **ჩარლი ჩაპლინთან, დევიდ გრიფიტთან და მერი პიკფორდთან** ერთად დააარსა კინოსტუდია „United Artists". გარდაიცვალა 56 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.





**1923 წლის 24 მაისს, ღორის წელიწადში,** დაიბადა მხატვარი, სსრკ სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სომხეთის სახალხო არტისტი **აკოფ აკოფიანი.** გარდაიცვალა 89 წლის ასაკში, გველის წელიწადში.

**1940 წლის 24 მაისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა, რუსი-ამერიკელი პოეტი და ესეისტი **იოსიფ ბროდსკი.** გარდაიცვალა 55 წლის ასაკში, ღორის წელიწადში.



*მოამზადა*

***ქეთევან ხამიცაშვილმა***

## ასტროლოგიური კვირა მიხეილ ცაგარელის მიხედვით

### 23 მაისი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.34 საათზე, ჩადის 19.22 საათზე. **მთვარე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 02.04 საათზე, ჩადის 14.57 საათზე (მთვარის 26-ე დღე იწყება 03.33 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს და ხვალ მეტად აკონტროლეთ ემოციები, ხასიათში აგრესია, სულსწრაფობა, აღმგზნები საშუალებების მიღება. შესაძლებელია თავის ტკივილი, აკონტროლეთ წნევა. შესაძლებელია ქრონიკული დაავადებების გამწვავება, გამახვილდება ინტუიცია. შესაძლებელია საქმის გაფართოება, მნიშვნელოვანი რჩევის მიღება. პარტნიორულ ურთიერთობებში ნუ იკამათებთ, მოერიდეთ სულიერ და ფიზიკურ გადაღლას, ალკოჰოლურ სასმელებს, წესების დარღვევას, ხანგრძლივი მოქმედების დაწყებას, ქორწინებას, საფინანსო ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებებს, ხელშეკრულების დადებას, სტომატოლოგიურ პროცედურებს, თმის შეჭრას, თვალების გადაღლას. სასიკეთო დღეა სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, ტექნიკასთან ურთიერთობისთვის, ხელმძღვანელებთან კონტაქტებისთვის, მგზავრობა-მოგზაურობისთვის, ტანსაცმლის, ავეჯის, ცეცხლსასროლი იარაღის, მჭრელი საგნების შესაძენად, კენკროვანი ხილისა და სამკურნალო ნაყოფების კრეფისთვის, ფუტკრის ოჯახის დამუშავებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, ქარვა. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპებისთვის, ლომისთვის. **ნეგატიურია** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.

### 24 მაისი, შაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.34 საათზე, ჩადის 19.23 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს კუროს ზოდიაქოში 21.46 საათზე. ამოდის 02.28 საათზე, ჩადის 16.16 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 03.31 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 15.45 საათიდან 21.39 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** კარგი დღეა მედიტაციისა და ბუნებაში წყალთან დასასვენებლად. მოსალოდნელია ენერგიის კლება ორგანიზმში. არ ვარგა საბუთებზე ხელმოწერა, მაღალია ავარიული ალბათობა, დაასრულეთ დაწყებული საქმე, შესაძლებელი იქნება კომპლექსური საკითხების სწრაფი, ეფექტური გადაწყვეტა. პარტნიორულ ურთიერთობებში ზედაპირული მსჯელობა შეიძლება გახდეს წყენის საბაბი. ნუ გადაღლით თვალებს, ეფექტურია თირკმლების, შარდსასქესო სისტემის მკურნალობა. საკვებ რაციონში შეიტანეთ თაფლი, ლიმონი. მოერიდეთ ქორწინებას, საფინანსო ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებებს, ხელშეკრულების დადებას, სტომატოლოგიურ პროცედურებს, თმის შეჭრას, წესების დარღვევას. კარგი დღეა სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, ვარჯიშისა და სპორტული ღონისძიებებისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთების, მჭრელი საგნების შესაძენად, ხელმძღვანელებთან ურთიერთობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, ცხვირი. **ქვები:** წითელი იასპი, ლალი, იაგუნდი, ძოწი. ცირკონი. **პოზიტიური დღეა** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, თევზებისთვის.

### 25 მაისი, კვირა

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.33 საათზე, ჩადის 19.23 საათზე. **მთვარე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 02.55 საათზე, ჩადის 17.38 საათზე (მთვარის 28-ე დღე იწყება 03.50 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები: პლანეტა სატურნი დღეიდან 2 სექტემბრამდე გადაინაცვლებს ვერძის ზოდიაქოში** და ამ ზეგავლენის შედეგად განავითარებს ხელმძღვანელ პირებში ენერგიულობას, კომუნიკაბელურობას, მებრძოლ სულისკვეთებას, ორგანიზაციულ მონაცემებს, ოპტიმიზმს, გონებამახვილობას, ამავდროულად განავითარებას ზედმეტ ფანტაზიებს, ეგოიზმის, დიქტატორული თვისებების, კამათის, სულსწრაფობის გამოვლენას. დღეს და ხვალ კარგი დღეებია კონტაქტებისთვის, ახალი ნაცნობობისთვის, ახალი შთაბეჭდილებებისთვის. მეტად აქტიურები იქნებიან კუროს, სასწორის და თხის რქის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულები. დღეს არ აჰყვეთ პროვოკაციებს, მაღალია კონფლიქტების ალბათობა, შესაძლებელი იქნება პრაქტიკული პრობლემების გადაჭრა, ხელსაქმე. პარტნიორულ ურთიერთობებში მოიმატებს სულსწრაფობა, სიჯიუტე, განწყობის მოულოდნელი შეცვლა. კარგია სახის კანის, თმის კვება. მოერიდეთ აგრესიას, განკითხვას. ნეგატიური დღეა კისრის მკვეთრი მოძრაობებისთვის, ცივი, გაზიანი სასმელების მისაღებად, ყურების გასახვრეტად, სარისკო და სულსწრაფი მოქმედებებისთვის, აკონტროლეთ საფულე. სასიკეთო დღეა ქორწინებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ვაჭრობისთვის, მშენებლობისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის, სამშენებლო მასალების, უძრავი ქონების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, პარფიუმერიის, კოსმეტიკის შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ონიქსი, მარგალიტი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპებისთვის.



| ადამიანი, რომელიც ცდილობს, ზუსტად დაიცვას მოდა | თონეში გამომცხვარი მჭადი | პეტერბურგის პოეტური სახელი | სასტამბო შრიფტის სახეობა | სამსახურში დაწინაურება | ძვ. ბერძნული სამოსი | მსახიობი ... ასათიანი |
|---|---|---|---|---|---|---|

| სოფელი ყაზბეგის რაიონში | საცალფეხო გზა | ერთგვარი საწვავი პროდუქტი | ხედვის კუთხე | არქიელის თანაშემწე მართლმადიდებელ ეკლესიაში | ლირიკული პოეზიის ბერძნული მუზა | ქალაქი აფხაზეთში | ... კარენინა (ლიტ.) |
|---|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. ჭადრაკის პარტიის ერთგვარი დასაწყისი; 7. ლუდის სასმისი; 12. ნიდერლანდელი ფილოსოფოსი; 13. არამუსლიმანი ხალხების სამარხი ნაგებობა არაბულენოვანი ავტორების შრომებში; 14. ესპანეთის დედაქალაქი; 15. ერთგვარი მსუბუქი ნამცხვარი; 16. კანის შემაერთებელქსოვილიანი ნაწილი ეპიდერმისის ქვეშ; 17. ინგლისელი მწერალი („აივენჰო"); 18. ფილმი „... უკანასკნელი, ... პირველი"; 19. კარგი საჯდომი ცხენი, ბედაური; 21. ხის აღვირი; 25. ამერიკელი მსახიობი ქალი ...მოსი; 26. ირლანდიურიეროვნული ცეკვა; 28. ორკესტრის ნაირსახეობა; 30. იაპონური თეატრი; 31. მსხვილი მახრჩობელა გველი; 32. ვიტრინების ბინადარი ტანისამოსის დემონსტრატორი; 33. სინჯი ტუბერკულოზზე; 34. ბეწვის სამოსი; 35. ხეებზე მობინადრე მტაცებელი ცხოველი; 36. მეზარბაზნე ძველ რუსეთში; 40. იგივეა, რაც ბრინჯაო; 42. ძიუდოისტების ოსტატობის ხარისხი; 44. საბუნებისმეტყველო მეცნიერება; 47. ქართველი პოეტი ქალი; 49. მნათობი, რომელსაც ხედავდა უსინათლო ხატია (დუმბაძე); 50. ერთგვარი წითელი ღვინო; 51. იტალიელი ფერმწერი; 52. დედამიწის ქერქის ზედა ფენა; 53. ევროპის ებრაელთა ენა; 56. მდინარე ინდოეთში; 57. ძვირფასი ქვების წონის ერთეული; 60. კვერნების ოჯახის პატარა მტაცებელი ცხოველი; 63. იგივეა, რაც ჩიტი (ძვ.); 65. სტუმრობა; 66. მუხის ნაყოფი; 67. ნადირობა აფრიკაში; 68. სასტუმრო; 69. მოკლე სადღეგრძელო.

შვეულად: 1. ბიბლიური ქალაქები სოდომ და ...; 2. იტალიელი მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე ლორენცო ...; 3. ძველი ბერძნული ეპიკური პოემა; 4. ძველებური ქართული შეჯიბრება ცხენოსნობაში — ჯირითი; 5. ღია საშუბლე გვირგვინი; 6. ფრანგი ფერმწერი ანრი ტულუზ ...; 7. პატარა ლირიკული არია ოპერაში; 8. ფუტკრის ნაწარმი; 9. ქალაქი თურქეთში; 10. ქარის სახეობა; 11. ახლად გამოჩეკილი ქათამი; 20. ახალგაზრდა, ყმაწვილი; 22. მდინარე საფრანგეთში; 23. მრწამსი; 24. დიდი და სქელი კუბოკრული და ფოჩებიანი შალი; 26. ჯგუფ „როლინგ სტოუნზის" წევრი; 27. დიდებულთა მემკვიდრეობითი წოდებულება ესპანეთში; 28. კატისებრთა ოჯახის დიდი ნადირი; 29. ჩასაბერი საკრავი; 33. რუსული კოსმოსური ხომალდის სახელი; 36. გაუშლელი ყვავილი; 37. მდინარე აფრიკაში; 38. ერთგვარი თმის ვარცხნილობა; 39. ინგა გრიგოლიას გადაცემა; 41. ტკბილი გაზიანი სასმელი; 42. დროის ათდღიანი მონაკვეთი; 43. სუპერმარკეტთა ქსელი ორი ...; 44. გარეული მტრედის სახეობა; 45. ლითონის ან სასარგებლო მინერალების შემცველი ქანი; 46. ხახის ლორწოვანი გარსის ანთება; 48. აშშ-ის ახლანდელი პრეზიდენტი; 54. ევროპის სახელმწიფო; 55. მომცრო მგალობელი ფრინველი; 57. ეპიკური პოეზიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 58. პირბადე; 59. რაიმე შეჯიბრის გარკვეული ნაწილი; 61. ხელით სასროლი იარაღი; 62. ინდოელი ჯავაჰარლალ ...; 63. „გადაარჩინეთ ჩვენი სულები" — უბედურების სიგნალი; 64. მომღერალი ... ჩარლზი.

კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 29-ე გვერდზე

| ფრანგი დრამატურგი | ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში | მამაკაცის უსახელო სამოსი | ციმციმი | ტუჩის საცხი | ყვავილნარის ზოლი ქუჩის გაყოლებაზე | კინოსახე |
|---|---|---|---|---|---|---|

| მწვანით დაფარული მინდორი | შურისმაძიებელი ღვთაება ბერძ. მითოლოგიაში | რიაზანოვის ფილმი | მოდელი ... კასტა | კეთილ-თვისებიანი სიმსივნე | ფანჯრის ხის საფარი | მხარე ავსტრიაში |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

2025 წლის 19 – 25 მაისი №21 (1592)

გამოდის ორშაბათობით

მეღიაჰოლღინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი


აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.


წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:

mail@asavali.com

„ასავალ-დასავალის" ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: www. facebook.com/Asavali.com

გაზეთი დაბეჭდილია „ასავალ-დასავალის" სტამბაში.




THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001

Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol